

# საქართველო საბუნებისმეტყველო

საქართველოს  
საბუნებისმეტყველო

66  
178



4 1982



# საჭოთა სამართალი

## N<sup>o</sup> 4

ივლისი  
აგვისტო

1926 წელი

შუკნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს,  
კროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს  
მეცნიერულ-კრეატიული ჟურნალი**

### შინაარსი

კვლევა მაღალი შეფასება	3
<u>სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამოცი წლისთავისათვის</u>	
თ. კახაილოვა — კანონი ავტონომიური ოლქის შესახებ მოქმედებს	7
<u>კრიმინოლოგია</u>	
ს. პაპაიორია — სუბიექტის საკუთარი დანაშაულისადმი დამოკიდებულების ტიპოლოგია და მისი მნიშვნელობა დამანაშავეობასთან ბრძოლაში	17
<u>სამართალმცოდნეობის ორგანოების მუშაობის კრეატიულობა</u>	
ა. კობახიძე — ჯარისკაცის, როგორც სასჯელის გამოყენების საკითხისათვის	23
ბ. შარულავა — სპეციალისტის საქმიანობის სასამართლო კრეატიულობის შესახებ	31
შ. ხარია — ავტორიტეტის ვებგეგმვით მუშაობისათვის და პრაქტიკობას	35
ნ. შალვაძე — სანოტარო წარმოების ჯიშობითი საკითხის გამო	38
შ. ნათელაშვილი — საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები	39
<u>ლ. ანდრონიკაშვილის დაბადების ასწამათა წლისთავისათვის</u>	
ბ. მახაშვილი — რევოლუციონერეთა და პროგრესულ საზოგადო მოღვაწეთა თავდადებული შრომა	47
<u>საზღვარგარეთის სოციალისტურ ქვეყნებში</u>	
ი. იანინსკი — დანაშაულის განმეორება და რეციდივი კოლმენტში	53
არბიტრაჟის კრეატიულობა	63
<u>საინტელექტუალური თემატიკა</u>	
ბ. სილაგაძე — ბალახითი ტაბიკა — ლიტერატურული ექსპერიმენტი	65
ბ. გიორგაძე — წარსულის ფურცლებიდან	67
ინფორმაცია	69
ი. ს. დოლიძე	75
ნ. ანდრეასიანი — საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემოღებული ცნობები ავტორთა შესახებ	79
	90



**ЕЩЕ ОДНА ВЫСОКАЯ ОЦЕНКА  
К ШЕСТИДЕСЯТИЛЕТИЮ ЮГО-ОСЕТИНСКОЙ  
АВТОНОМНОЙ ОБЛАСТИ**

**Т. Кобулова — Закон о Автономной Области действует** 7  
**КРИМИНОЛОГИЯ**

**С. Пачкориа — Типалогия отношения субъекта к собственному преступлению и ее значение в борьбе с преступностью** 17

**ПРАКТИКА РАБОТЫ ПРАВООХРАНИТЕЛЬНЫХ ОРГАНОВ**

**А. Кобахидзе — К вопросу о применении штрафа как уголовного наказания** 23

**Г. Парулава — О судебной практике по делам о спекуляции** 31

**Ш. Сария — Активно бороться с туеядством и паразитизмом** 36

**Н. Джгмадзе — Некоторые вопросы нотариальной практики** 38

**Ш. Нателашвили — Правовые аспекты борьбы с международным терроризмом** 39

**К 110-ой ГОДОВЩИНЕ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ Л. Н. АНДРОНИКАШВИЛИ**

**В. Макашвили — Заступник революционеров и прогрессивных общественных деятелей** 47

**В ЗАРУБЕЖНЫХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ СТРАНАХ**

**И. Ясинский — Повторность преступления и рецидив в Польше** 53  
Арбитражная практика 63

**НА ИНТЕРЕСНУЮ ТЕМУ**

**В. Сидамонидзе — Галактион Табидзе — литературный эксперт** 65

**В. Гиоргадзе — Страницы из прошлого** 69  
Информация

**И. С. Долидзе** 75

**Н. Андгуладзе — Здание Министерства юстиции Грузинской ССР** 79  
Сведения об авторах 80



**სარედაქციო კოლეგია:**

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. აღექსიძე, ა. ბარაბაძე,
- გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,
- მ. ლევკვიციანი, გ. ტყეშელაძე, ა. შუშანაშვილი,
- ა. ხოჭოლავა, ს. ჭორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1982 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი, კლავსონის კრ. 103. ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადაეცა ასაწყობად 28. 07. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 09. 82 წ.,  
ფორმატი 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი  
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5

შეკვ. № 1859

ტირაჟი 16.400

უე 00752

საქ კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



# კვლევა მალაქი შეფასება

ახლოვდება ღარსშესანიშნავი თარიღი — სსრ კავშირის შექმნის სამოცი წლისთავი. საბჭოთა ხალხი დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ვითარებაში ეგებება ამ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს. საბჭოთა კავშირი, მსოფლიოში პირველი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, წარმოადგენს თავისუფალ ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობას უზადლო ნიმუშს, ლენინური ეროვნული პოლიტიკის სისწორის განსახიერებას. მის რსებობას და უმდიდრეს სამოცნიერო გამოცდილებას, მთელი კაცობრიობისათვის ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ოქტომბრის რევოლუციამ არა მარტო დაამხვებია მონობისა და ჩაგვრის ბორკილები და გაათავისუფლა რუსეთში მოსახლე ყველა ხალხი ექსპლოატაციისაგან, არამედ შეუქმნა მათ მტკიცე საქარტველი ყოველმხრივი განვითარებისათვის. ამის წყალობით, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ერთობლივი გარჯითა და ბრძოლით შეძლო საბჭოთა ხალხმა აეშენებინა სოციალიზმი ერთ ქვეყანაში, სსრ კავშირში, მოკპოვებინა გამარჯვება ვერაგ მტერზე დიდ სამამულო ომში, უსწრაფესად დაეძლია ომის შემდგომი სიძნელეები და დაემთავრებინა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა. მეორე მსოფლიო ომში სსრ კავშირის ხალხთა უკვდავი გმირობის, აგრეთვე ევროპისა და აზიის ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აწვირთების შედეგად შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური ბანაკი. ჩვენი ქვეყნის ეროვნებათა მჭიდრო თანამშრომლობის, ერთიანობის და მეგობრობის საფუძველზე ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი.

17936


საბჭოთა საქართველო თანასწორობისათვის ხალხთა კავშირის სხვა წარმომადგენლებთან ერთად კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე მოპოვებული ახალი მიღწევებით ხვდება სსრ კავშირის შექმნის სამოცი წლისთავს.

ბოლო ათი წლის მანძილზე ჩვენმა რესპუბლიკამ ქემმართად გალიათური ნაბიჯები გადადგა წინ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში, სოციალურ-კულტურულ სფეროში. საქართველომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის მნიშვნელოვან ზრდას მიაღწია. საგრძნობლად გადიდდა მის მიერ შეტანილი წვლილი ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში. ეს არის საქართველოს მშრომელების უდიდესი პასუხისმგებლობის გამოვლენა მთელი ჩვენი ქვეყნის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წინაშე. ახლა მთავარია, რომ შეუქცევადი ხასიათი მიეცეს ამ პროცესებს.

საქართველოს კომპარტიის დიდმა ორგანიზატორულმა მუშაობამ ეკონომიკური და სოციალური განვითარების, პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის სრულყოფის დარგში, მისმა უნარიანმა მიღგომამ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის არაერთხელ დაიმსახურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრენენვის მაღალი შეფასება.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობის დაფასების კიდევ ერთ ნათელ გამოვლენებას წარმოადგენს ის, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სულ ახლახან, ივლისში მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სსრ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. ეს არის პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგით მეშვიდე დადგენილება საქართველოს შესახებ, რომელიც ბოლო ათწლეულშია მიღებული. იგი ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური

მ. წარმომადგენელი სსრ კავშირის



ნომიკური და კულტურული პოტენციალის განმტკიცებისათვის პარტიის ცენტრალური კომიტეტის დაუღალავი ზრუნვის გამოსატყულებაა. მოახლოებული იუბილეს წინ მიღებული მაღალი შეფასება სიამაყით აღავსებს რესპუბლიკის კომუნისტებსა და უპარტიოებს, ქალაქისა და სოფლის მშრომლებს, ჩვენს სახელოვან ინტელიგენციას.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის დიდმა ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა მუშაობამ, ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად წარმოებულმა თანამიმდევრულმა, გეგმაზომიერმა და უკომპრომისო ბრძოლამ, მისმა შედეგებმა კიდევ ერთი აღიარება მოიპოვა.

ამ უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტში ნათქვამია: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იუბილეს მოსამზადებლად პარტიული, საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები მთელ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას წარმართავს მშრომელთა დასარაზმავად პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებების, 1982 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლიულის გეგმების შესრულებისათვის... პარტიული კომიტეტები ისწრაფვიან დაამკვიდრონ დადებითი შედეგები, რომლებიც რესპუბლიკაშია მიღწეული პარტიის თბილისის კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, პარტიული ხელმძღვანელობისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მომდევნო გადაწყვეტილებების რეალიზაციის პროცესში, უურადლებას არ აკლებენ იმ მითითებებისა და რეკომენდაციების განხორციელებას, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა რომ გამოთქვა 1981 წელს საქართველოში მოგზაურობის დროს“<sup>1</sup>.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ მასშტაბურ, მეცნიერულად დასაბუთებულ დადგენილებას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს არა მარტო ზეიშისათვის რესპუბლიკის მზადების პერიოდში. იგი დიდ როლს შეასრულებს აგრეთვე საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხანგრძლივი დროის მანძილზე, დაგეხმარება მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის კიდევ უფრო გაჯანსაღებაში, რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებაში, კომუნისტური მშენებლობის გაზრდილი ამოცანების განხორციელებაში. როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმზე ითქვა, დადგენილება „რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს უსახავს თვისებრივად ახალ, უფრო მაღალ და უფრო რთულ ამოცანებს, გვაძალექს თანამიმდევრულად განვამტკიცოთ მოპოვებული პოზიციები და მიღწეულზე დაყრდნობით უფრო გაბედულად აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, ვიაროთ, წინ, კიდევ უფრო წინ“<sup>2</sup>.

პარტია მუდამ გვასწავლის, რომ დიდმნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნისა და ზეიშის დღეებშიც ვიყოთ თვითკრიტიკული; უურადლება მივაპროთ ჭერ კიდევ გადაუქრელ ამოცანებსა და პრობლემებს, ერთი წუთითაც არ მოვადუნოთ სიფხვლე, არ შევანელოთ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის სიმწვავე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გვაძალექს, რომ უფრო აქტიურად ვიმუშაოთ ადამიანთა იდეურ-პოლიტიკურა და ზნეობრივი ჩამოყალიბებისათვის, ვიბრძოლოთ ადამიანთა შეგნებაში კერძო მესაკუთრული ფსიქოლოგიის აღმოფხვრისათვის, შევემნათ შრომითს კოლექტივებში სამართალდარღვევებისადმი შეურიგებლობის ატომოფერო, დავამკვიდროთ ყველგან მაღალი შრომითი და საუმსრულებლო დისციპლინა.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ დიდ წარმატებებს სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში თან ახლავს უარყოფითი მომენტიც. ხშირად იგი ქმნის თვითდამშვიდების, თვითკმაყოფილების, ყოყოობის განწყობილებას, რაც საქმიანთვის მტრისმეტად საშიში და საზა-

1 გაზეთი „კომუნისტი“, 1981 წლის 20 ივლისი.

2 სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი ნდიგის ე. ა. შვეარდნაძის მოხსენება — საქართველოს კომპარტიის ამოცანები „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების საქმეში;

ანა. სწორედ ამავე გამახვილა ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმზე. „ღიდად შემაზფოთებელია ისეთი ფაქტები, — თქვა მან, — როცა ცალკეული პარტიული კომიტეტები, აღმინისტრაციული და სხვა მაკონტროლებელი ორგანოები, მიაღწევენ რა სამართალდარღვევათა რაოდენობის გარკვეულ შემცირებას, აღუნებენ სიფხილეს, კარგავენ თვითკრიტიკის უნარს, მასთან ერთად კი გარკვეული პროცესების განვითარებისადმი კონტროლის უნარსაც... მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ჭერ კიდევ ხდება სერიოზული ბოროტმოქმედებანი, სოციალისტური კანონიერების. მართლწესრიგის სერიოზული დარღვევები“<sup>3</sup>.

საქმის ასეთი ვითარება რესპუბლიკის სამართალდაცვის ორგანოებისაგან მოითხოვს რათა მათ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადონ მოპხვეტელებს, მექრთამეებს, მკვლელებს, ქურდებს, ხულიგნებს, გამოძაღველებს და სხვა საწიშ დამნაშავეებს, მეტი ინიციატივა გამოიჩინონ იმისათვის, რომ ჩვენს ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი სუფევდეს. პროკურატურის ორგანოების სერიოზულ შემოფოთებას უნდა იწვევდეს, მაგალითად, ის, რომ ჭერ კიდევ არის მიწების მითაცების, არაუაირათიანი გამოყენების, ბინათმშენებლობის კანონის დარღვევის, გარემოს, ატმოსფეროს, მდინარეების გაბინძურების ფაქტები.

მთავრობის ხუთი ექვსი წლის მანძილზე რესპუბლიკის აღმინისტრაციული ორგანოების პირად შემადგენლობაში დიდი ცვლილებები მოხდა. ბევრგან თითქმის მთლიანად გადახალისდა პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების კადრები. დაწინაურებულ პირთა შორის არიან პატიოსანი, ინიციატივანი ადამიანები, მაგრამ მათ ნაკლები ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილება აქვთ და ამიტომ დახმარება სჭირდებათ. ამოცანა ის არის, რომ შეიქმნას კადრების პროფესიული დახელოვნების, მათი სწავლებისა და გადამზადების მწყობრი სისტემა, ამაღლდეს მათი პასუხისმგებლობის და საშემსრულებლო დისციპლინის დონე. უამისოდ პროკურატურის, იუსტიციის და სასამართლო ორგანოების მუშაკები ვერ შეძლებენ იმ დიდი ამოცანების გადაწყვეტას, რომლებსაც დაევანდელია: უყენებს მათ. ჩვენს ეპოქაში სტიქიურად, თეორიის უცოდინრად და მოუმარკვებლად შეუძლებელია საზოგადოებრივი პროცესების სრულყოფილი და ობიექტური მართვა.

სამართალდაცვის ორგანოების ყველა მუშაკი მოვალეა ყოველმხრივ გაუფრთხილდეს საბჭოთა კანონების ავტორიტეტს, აღზარდოს ხალხს მისდამი მოწინების სულიკვეთებით, აძულოს ყველა თანამდებობის პირი რანგის მიუხედავად პატივი სცეს კანონს. სამართალდაცვის ორგანოების მუშაკებისაგან ეს მოითხოვს, რომ თვითონ იყოს ამ მხრივ მისაბაძი. განუხრელად დაიცვას კანონის მოთხოვნები, არ დაუშვას მისი დარღვევის ფაქტები, საქმის გაჭინურება და ბიუროკრატიზმი.

სამწუხაროდ, სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების საქმიანობაში ბევრი სერიოზული ნაკლია, რაც პარტიული ორგანოების და მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. უხეშად ირღვევა, მაგალითად, საქმეთა გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის კანონით დადგენილი ვადები. ამ მხრივ ძალზე ჩამოვრჩებით შესაბამის საერთო-საკავშირო მაჩვენებლებს. განა ჩვენს შემოფოთებას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ წამატებათა თაობაზე აღძრული ყველა საქმის საგამოძიებო ვადა დარღვეულია. ასევე არ არის დაცული საგამოძიებო ვადა განჯრახ მკვლელობის ბევრი საქმის გამო. საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში განჩინთა დიდი რაოდენობა უქმდება იმ არსებითს დარღვევებთან დაკავშირებით, რომელთა გამოვლენაც შეიძლებოდა და აუცილებელიც იყო საქმის წარმოებაში მიღების სტადიაში. ფაქტები მოწმობს, რომ სასამართლოები ზოგჯერ უპასუხისმგებლობას იჩენენ ნარკოტიკების საქმეთა განხილვის დროსაც. ამ მნიშვნელოვანი კატეგორიის საქმეთა განხილვაში იშვიათად არის ჩაბმული საზოგადოებრივი ბრალმდებელი ან დამცველი, ბევრი საქმის გამო გამოტანილი არ არის კერძო განჩინება, რომელიც უზრუნველყოფს ამ დანაშაულის ხელშეწყობი პირობების და გამომწვევი მიზეზების აღკვეთას.

<sup>3</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1982 წლის 23 ივლისი.

დღეს დამნაშავეობასთან ბრძოლა წარმოუდგენელია მთელი საზოგადოებრიობის მხარდაუჭერლად. დამნაშავეთა წინააღმდეგ უნდა შეიქმნას ერთიანი ფრონტი. მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებაში დიდი როლი შეუძლიათ შეასრულონ შრომითმა კოლექტივებმა და სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა. ფაქტები მოწმობს, რომ სამართალდაცვის ორგანოები ნაკლებად ეყრდნობიან ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებსა და აქტივს. და ეს მაშინ, როდესაც კანონმა სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის წარუწერა დეპუტატის მოვალეობად აქცია. ამ კანონის 25-ე მუხლის მიხედვით „დეპუტატი მოვალეა იდგეს საბჭოთა კანონიერების სადარაჯოზე, აქტიურად მონაწილეობდეს სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში, მშრომელთა აღწერაში სოციალისტური კანონიერების განუხრებლად დაცვის სულისკვეთებით“.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ საზოგადოების მხარდაუჭერლად შეუძლებელია აქტიური ბრძოლა, მაგალითად, ისეთი დიდი ბოროტების წინააღმდეგ, როგორც არის მექრთამეობა. რესპუბლიკის ბევრ რაიონში ბოლო სამი წლის მანძილზე არც ერთი მექრთამე არ არის გამოკვლენილი, რაც რა თქმა უნდა, არ ასახავს საქმის რეალურ ვითარებას.

შეუწყნარებელია, რომ კვლავაც გრძელდება მანკიერი პრაქტიკა, როდესაც ადგილებზე აღამაზებენ დამნაშავეობის ფაქტობრივ მდგომარეობას, რეგისტრაციაში არ ატარებენ ჩადენილ დანაშაულს, მათ შორის მძიმე დანაშაულსაც. მიმდინარე წელს შემოწმებით რამდენიმე ასეთი ფაქტი გამოვლინდა. ყოველივე ამას ბოლო უნდა მოეღოს. სამართალდაცვის ორგანოების თანამშრომელი, რომელიც ამას სჩადის, კარგავს უფლებას პასუხი მოსთხოვოს სამეურნეო და სხვა მუშაკს სახელმწიფო ანგარიშგებაში დამახინჯებისათვის.

რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები და სახალხო მეურნეობის იურიდიული სამსახური მოვალენი არიან დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი დანაპარგების, უყარათობის, სახალხო დოვლათისადმი გულგრილი დამოკიდებულების წინააღმდეგ, გამოიყენონ სამართლებრივი საშუალებანი სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის უზრუნველსაყოფად.

სასამართლოს, პროკურატურის ორგანოებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ დანაშაულის თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ საქმიანობას. ეს შიი უფრო აუცილებელია, რომ, როგორც საქართველოს კომპარტიის IX პლენუმზე ითქვა, ეს მუშაობა ცუდად არის დაყენებული.

რესპუბლიკის სამართალდაცვის ორგანოებს, მის ყველა მუშაკს მართებთ გამოიჩინონ მეტი პრინციპულობა, შეუპოვრობა, ყოველდღიურად სრულყოფნით მთელი ორგანიზატორული საქმიანობა. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი კადრები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ მათ წინაშე დასახული დიდი ამოცანების შესასრულებლად.



1982 წლის 26 ივნისს ზემოთ აღინიშნა დიდი და სასიხარულო მოვლენა მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ცხოვრებაში — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის სამოცი წლისთავი.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ძირეული ცვლილებები მოხდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის და სოციალურ განვითარებაში.

ოლქის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების გარდაქმნაში თავისი წვლილი შეაქვთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ ორგანოებს, აგრეთვე საოლქო საბჭოს.

წინამდებარე სტატიაში გაშუქებულია ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობა სამხრეთ ოსეთის კანონის მიღების შემდეგ.

## კანონი ავტონომიური ოლქის შესახებ მოქმედებს

თ აბაჯლოვა.

სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

**სსრ** კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებით, რომელიც დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ახალი ეტაპი დაიწყო საბჭოების განვითარების ისტორიაში, მან მძლავრი მასტიმულირებელი როლი შეასრულა საბჭოების მთელი მუშაობის გაუმჯობესებაში.

ღირსსახსოვარ 1917 წელს ბოლშევიკების პარტია და მისი გენიალური ბელადი ვ. ი. ლენინი ნათლად ხედავდნენ იმ გზას, რომელიც უნდა გაევიღა ჩვენს ქვეყანას და მოუწოდებდნენ რუსეთის ყველა ხალხს — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ხორცი შეასხა ამ ისტორიულ მოწოდებას, დასაბამი მისცა საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალურ სვლას მთელ ქვეყანაში.

ბოლშევიკების პარტიის ნათელი პროგრამა, რომელიც გასაგები იყო ყველა უბრალო ადამიანისათვის და გამოხატავდა მათს ფიქრებსა და მისწრაფებებს ხორციელდებოდა საბჭოების საქმიანობით. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად პრაქტიკულად ხორცი შეეხსა ლოზუნგს: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ მას შემდეგ საბჭოები წარმოადგენენ მშრომელების, მთელი ხალხის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს და კაცობრიობის ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველს.

**ს**აბჭოები ბევრი ხალხისათვის გადაიქცა მისაბამ მაგალითად, ახალი, სოციალისტური ტიპის ნიმუშად. ვ. ი. ლენინის თქმით, თვით სიტყვა „საბჭო“ მთელ მსოფლიოში გახდა „არა მარტო გასაგები და პოპულარული, არამედ საყვარელი სიტყვა ყველა მუშისა, ყველა მშრომელისათვის“<sup>1</sup>.

ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე საბჭოთა სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებაში.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 38, გვ. 238.





საბჭოების უფლებების გაფართოებაში, მის შემდგომ დემოკრატიზაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი პარტიის XXIII, XXIV, XXV და XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებმა, რომელთა საფუძველზე საბჭოებმა ბოლო წლებში განახორციელეს გრანდიოზული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები. საბჭოთა ხალხმა მეთათუ ხუთწლეულში ახალ და დიდ წარმატებებს მიაღწია კომუნისტურ მშენებლობაში.

ამაში თავისი წვლილი შეიტანეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომლებმაც. ოლქის ტერიტორიაზე აშენდა ახალი სამრეწველო საწარმოები, აღდგენილია მთელი რიგი ძველი საწარმოები და ა. შ. მეთათუ ხუთწლეულში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობამ წინა ხუთი წლის მოცულობას 57 პროცენტით გადააჭარბა. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია ჩვენი საწარმოების 6,8 მილიონი მანეთის საერთო თანხის პროდუქცია, რომელიც ძალზე სჭირდება, სახალხო მეურნეობას. გარკვეული დადებითი ძვრები მოხდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაშიც.

**ს**ამეურნეო მშენებლობაში მიღწეული წარმატებების საფუძველზე წლითიწლობით მალდდება სამხრეთ ოსეთის ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე. 1980 წელს ფულადი შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 1975 წელთან შედარებით 46 პროცენტით გაიზარდა. ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთელი პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია საბინაო მშენებლობა. ახალ ხუთწლეულში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა საბინაო მშენებლობაში გაიზარდა 174 პროცენტით.

მეთათუ ხუთწლეულში მიღწეული ყველა ჩვენი წარმატება განუყრელად არის დაკავშირებული ადგილობრივი საბჭოების საქმიანობასთან. ბოლო ხანს შესამჩნევად გაიზარდა მათი აქტიურობა, ინიციატივა მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა საკითხის გადაჭრაში. ამას ბევრად შეუწყო ხელი ახალი კონსტიტუციის მიღებამ.

ქვეყნის ძირითადი კანონის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების, აგრეთვე ავტონომიური ოლქების კანონების მიღებამ ახალი სტიმული მისცა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში დემოკრატიული საფუძვლების განვითარებას. სსრ კავშირის კონსტიტუციამ კანონმდებლობით განამტკიცა კურსი, რომელსაც კომუნისტური პარტია ადგას ადგილობრივი საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების როლის შემდგომი ამაღლებისათვის, თავის ტერიტორიაზე სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელებასა და ყველა სოციალურ-ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტაში.

ეს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საბჭოების შემდგომი დემოკრატიზაცია და მათი როლის ამაღლება ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვის შედეგია. ამ ზრუნვას მკაფიოდ მოწმობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1980 წლის 12 ნოემბერს მიღებული კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ. ამის შემდეგ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების შესაბამისად ოლქის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება დასახელებული კანონით და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებით. ახალი კანონის მიხედვით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

წარმოადგენს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს. რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით და ავტონომიური ოლქის შესახებ კანონით განეკუთვნება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების კომპეტენციას.

**ს**ამხრეთ ოსეთის საბჭოები სახელმწიფოს და საბჭოების ტერიტორიაზე ნაცხოვრები მოქალაქეების ინტერესების შესაბამისად წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს ისინი თავის ტერიტორიაზე ხელმძღვანელობენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას: ამტკიცებენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს, ადგილობრივ ბიუჯეტს და მათი შესრულების ანგარიშებს: ახორციელებენ მათდამი დაქვემდებარებული სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობას, მონაწილეობენ რესპუბლიკური და საოლქო მნიშვნელობის საკითხების განხილვაში, შეაქვთ ამ საკითხებზე თავიანთი წინადადებები.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბჭოების — საოლქო საბჭოთი დაწესებული სადაბო და სასოფლო საბჭოებით დამთავრებული — თვალთახედვის არეშია პრაქტიკულად ოლქის მოსახლეობის ცხოვრების ყველა სფერო — ეკონომიკა და კულტურა, ყოფა-ცხოვრება და ვაჭრობა, განათლება და ჯანმრთელობის დაცვა.

სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების ორგანოები, ახორციელებენ რა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, აგრეთვე ავტონომიური ოლქია შესახებ კანონის მოთხოვნებს სახავეთ კონკრეტულ ღონისძიებათა ფართო პროგრამაა, რათა ვადამდე შეასრულონ მეთერთმეტე ხუთწლითა დავალებანი, ეფექტიანად გამოიყენონ თავისი უფლებამოსილებანი ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაციის, საბინაო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობის, მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის მოქმედი კანონმდებლობის შესრულებისადმი კონტროლის დარგში.

**ქ**საღმა კანონმა ავტონომიის შესახებ მოგვცა ახალი შესაძლებლობანი, რათა გავაძლიეროთ ჩვენი გავლენა საბჭოების საქმიანობის მრავალფეროვანი სფეროებისადმი, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ მათი მუშაობისათვის დამახასიათებელი სრულიად განსხვავებული ფორმები და მეთოდები. ამის საილუსტრაციოდ ურიგო არ იქნება მკითხველებს გავაცნოთ სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოებისა და მისი აღმასრულებელი ორგანოს — აღმასკომის მუშაობის გამოცდილება.

საოლქო საბჭო შედგება 140 დეპუტატისაგან. ნიშანდობლივია, რომ ხალხის რჩეულთა ნახევარზე მეტს შეადგენენ ქულები და გლეხები. ეს სოციალისტური დემოკრატიის, სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში მშრომელთა აქტიური მონაწილეობის დამაჩერებელი გამოვლინებაა.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო თავი უდგას და ხელმძღვანელობს ქვემდგომ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს — საქალაქო, რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოებს.

ხელისუფლების ქვემდგომი ორგანოების სისტემაში შედიან: ერთი საქა-

ლაქო, 4 რაიონული, 4 სადაბო და 37 სასოფლო საბჭო. მათი დეკრეტები ოლქის მშრომელთა ჭეშმარიტი წარმომადგენლები არიან. გამოხატავენ მათს ფიქრებსა და მისწრაფებებს. საბჭოები უშუალოდ ან მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ხელმძღვანელობენ სახელმწიფო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგს. მათს ფართო ინტერესებს ნათლად მოწმობს შემდეგი მონაცემები: 1980 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონის მიღების შემდეგ განვიღო პერიოდში ჩვენი ოლქის ადგილობრივმა საბჭოებმა განართეს 220-ზე მეტი სესია, რომლებზეც განიხილეს ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 525 საკითხი. საბჭოების მიერ კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში შეძენილი გამოცდილება ახალი კანონის მიღებაც შემდეგ სულ უფრო მდიდრდება.

ჩვენი საბჭოების საქმიანობას საფუძვლად უდევს საკითხების კოლექტიური, თავისუფალი და საქმიანი განხილვა და გადაწყვეტა, საჯაროობა, აღმასრულებელი კომიტეტის რეგულარული ანგარიშგება.

**საოლქო საბჭო.** რომელიც უზრუნველყოფს უფლებამოსილების ფარგლებში, თავის ტერიტორიაზე კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სახელმწიფო გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტების მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს საკითხებით გასაგებია. სწორედ გეგმა და ბიუჯეტი შეეხება ოლქის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მხარეებს, აქ იყრის თავს სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა საკითხი, განისაზღვრება ეკონომიკისა და კულტურის განვითარების კონკრეტული ამოცანები. მათი გადაჭრის გზები, ახალმა კანონმა მნიშვნელოვნად გააფართოვა საოლქო საბჭოს უფლებები საოლქო აღმასკომისადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის, აგრეთვე ზემდგომი დაქვემდებარებულ სამეურნეო ორგანოების საქმიანობის დაგეგმვის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

ამრიგად, ცალკეული კრებითი გეგმები, ადგილობრივი მეურნეობისა და სხვა დარგების განვითარების გეგმა ავტონომიური ოლქისა და მისი რეგიონების ერთიანი ტერიტორიული გეგმის შემადგენელ ნაწილად გადაიქცა. ამჟამად შემოღებულია წესი, რომლის მიხედვითაც საწარმოებისა და ორგანიზაციების გეგმებს, ვიდრე მათ დაამტკიცებდნენ მმართველობის დარგობრივი ორგანოები, განიხილავენ ადგილობრივი საბჭოები იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც უშუალოდ შეეხება რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებს ან ტერიტორიული ორგანოების კომპეტენციას. ეს წესი აკონკრეტებს ადგილობრივი საბჭოების კონსტიტუციურ მოვალეობას, რომ შეათანხმონ გააკონტროლონ ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობა.

ყოველივე ამან საოლქო საგეგმო კომისიას საშუალება მისცა უფრო რეალურად განესაზღვრა ოლქის სახალხო მეურნეობის დინამიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები 1981-1985 წლებისათვის დასახული გეგმების რეალიზაცია ხელს უწყობს მატერიალური სიმდიდრის და სულიერ ღირებულებათა ზრდას.

საოლქო საბჭო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების განხილვისას ჯერჯერობით ბევრ სიძნელესაც აწყდება.

კერძოდ, ყველა სამინისტრო და უწყება არ იღებს მხედველობაში იმ კანონის მოთხოვნებს, რომელიც შეეხება საბჭოების უფლებამოსილებათა გაფართოებას მათი როლის შემდგომი ამოღების საკითხებზე, რომელთა მიხედვითაც იაინი მოვალენი არიან საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებული საქვეუწყებო აწარმოების მაჩვენებლები არ დაგვემონ ჩვენთან შეუთანხმებლად.

**ს**აოლქო საბჭოს დეპუტატები, სამეურნეო ორგანოები აქტიურად მონაწილეობენ ამ სიძნელეების დაძლევაში, სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომი ყველა ამოცანის გადაწყვეტაში. განსაკუთრებით მკაფიოდ და ნათლად განისაზღვრა დეპუტატების პოზიციები საოლქო საბჭოს სესიაზე, რომელიც განიხილავდა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანებს.

სესიაზე, როგორც მოხსენებაში ისე გამოსვლებში, პრინციპული შეფასება მიეცა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კაპიტალური მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კულტურის, მეცნიერების და სხვა დარგების შემდგომ განვითარებას.

დეპუტატები საქმიანად განიხილავდნენ და კონკრეტული წინადადებები შექმნიდათ ისეთ საარსებოდ დიდ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც არის წარმოების გადიდება და სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესება. პარტიამ ეს პრობლემები დაასახელა საკვანძო პრობლემებს შორის, რომლებიც უნდა გადაიჭრას თანამედროვე ეტაპზე. მიღებულ გადაწყვეტილებაში დაისახა ღონისძიებანი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დაჩქარებისათვის.

თუმცა ამ დიდმნიშვნელოვან და საჭირო საქმეში არსებითი ძვრები გვაქვს უნდა აღინიშნოს, რომ სესიაზე. მუდმივი კომისიების სხდომებზე ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები სამართლიანად აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს. დეპუტატებმა საოლქო საბჭოს ყურადღება მიაპყრეს იმ ფაქტს, რომ ჯერ კიდევ გამოდის უხარისხო საქონელი, ღარიბია ასორტიმენტი, მაშინ როცა არის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი გადიდების რეზერვები. ვფიქრობთ, რომ საოლქო საბჭოს, მის აღმასრულებელ კომიტეტს ამ მხრივ ბევრი მუშაობა მართებთ.

**ს**ამხრეთ ოსეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სააოფლო-სამეურნეო წარმოებას. ამიტომ, პუნდბრევია, ადგილობრივი საბჭოების წინაშე დგას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების დიდი ამოცანები. მომავალი წლების აგრარული პოლიტიკის დამახასიათებელი თავისებურებანი, რომელიც განსაზღვრავს სკკპ XXVI ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ. ის არის რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების ეფექტიანობის ზრდას. კაპიტალურ დაბანდებათა უკუეების ამოღებას. აგროსაწარმოო კომპლექსში შემავალი, ერთმანეთთან დაკავშირებული დარგების სრულყოფას. ადგილობრივი საბჭოები სათანადო ყურადღებას უთმობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების

განვითარებას და ამჟამად ქმედითს ღონისძიებებს ახორციელებენ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დასახენრგავად, ოლქის მეურნეობებში ეკონომიკური და საფინანსო მუშაობის გასაუმჯობესებლად, საწარმოო რეზერვების ასამოქმედებლად, სასურსათო პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად, რომლის შემუშავება უკვე მთავრდება, როგორც ოლქისა და ცალკეული რაიონებისათვის, ისე თითოეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვისაც. მეთერთმეტე ხუთწლეულში სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია დიდი კაპიტალური დაბანდებანი. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აშენდება ახალი ფერმები (საძროხეები, სახბორეები, საღორეები, ცხვრის ფარეხები), რომლებიც მთლიანად მექანიზებული და ელექტრიფიცირებული იქნება. მთის სათიბებისა და საძოვრებისაკენ გაგიყვანთ გზებს.

საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც უნარიანად იყენებენ თავიანთ უფლებამოსილებას, საოლქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა და რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დახმარებით წარმატებით წყვეტენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. ჩვენი ოლქის სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვან სფეროში სერიოზული ძვრები, რომ გვაქვს, ამას მეტყველებს შემდეგი ფაქტები: მეათე ხუთწლეულში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სოფლად მეცხრე ხუთწლეულთან შედარებით გაიზარდა თითქმის ორჯერ, აქედან სახსრების 83 პროცენტი მოხმარდა საწარმოო ბაზის განმტკიცებას. განვილილ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მარცვლეულის, ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის, შაქრის ჭარხლის, ხილის, ბოსტნეულის და ა. შ. წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. ერთი სიტყვით, ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა ოლქის სოფლის მეურნეობა მეთერთმეტე ხუთწლეულში მთლიანად გადავიდეს სამრეწველო წარმოების რეულგებზე. ამის საწინდარია ამ საკითხისადმი ჩვენი ადგილობრივი, სადაბო, სასოფლო, რაიონული და საოლქო საბჭოების მუდმივი ზრუნვა.

**ა** აგრამ ჩვენს საქმიანობაში არის ნაკლოვანებანიც ჯერ კიდევ ვაწყდებით შემთხვევებს, როდესაც ადგილობრივი საბჭოები განზე უდგანან მწვავე საჭირობორტო საკითხების გადაჭრას, ან კიდევ გამოდიან სამეურნეო ორგანოების წინაშე მთხოვნელის როლში. სწორედ ამას ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, როდესაც საგანგებოდ აღნიშნა, რომ საჭიროა ადგილობრივი საბჭოები და აღმასკომები „ამგვარ საკითხებზე გამოდიოდნენ არა მთხოვნელების როლში, არამედ მკაცრ და მომთხოვნ მეურნეებად, რომ ისინი უკეთ იყენებდნენ თავის საკოორდინაციო და საკონტროლო უფლებამოსილებებს“

საოლქო საბჭოს აღმასკომი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ადგილობრივი საბჭოების როლის ამაღლებას იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტასა და რეალიზაციაში, რომლებიც დასახულია სამეურნეო ორგანოების წინაშე. აღმასკომის სხდომებსა და საოლქო საბჭოს სესიებზე რეგულარულად ისმენენ სასოფლო და სადაბო რაიონული და საქალაქო საბჭოების ანგარი-

შებს სამეურნეო ორგანოების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის, კოორდინაციის და კონტროლის საკითხებზე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ კანონის ძალაში შესვლის დროიდან საოლქო აღმასკომმა მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, ისეთი საკითხების მოსაწესრიგებლად, როგორც არის გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, სახელმწიფო ორგანოებისა და ადგილობრივი საბჭოების პასუხისმგებლობა ტყეების უკეთ გამოყენების, აღდგენისა და დაცვისათვის.

ამ სფეროში ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ქმედითობა შეიძლება ცხადვით ცხინვალის რაიონის მაგალითით. რაიონში არის დიდი საკარიერო მეურნეობა, რომელიც ამუშავებს ინერტულ საშენ მასალას. მეურნეობა ეკუთვნის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს.

იმის გამო, რომ საშენ მასალაზე როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე ინდივიდუალური მშენებლების დიდი მოთხოვნაა, კარიერის მეურნეობის ხელმძღვანელებმა დაუშვეს ტყის კოდექსის და გარემოს დაცვის კანონების დარღვევა.

მეურნეობის მუშაკების მოქმედება დროზე აღკვეთა რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ჩარევამ. ადგილობრივი მრეწველობის სამმართველომ ანაზღაურა ბუნებისათვის მიყენებული ზარალი --- განახორციელა ეროზიის საწინააღმდეგო და ტყის მოწყობის სამუშაოები. ნოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილობრივმა საბჭომ გამოიყენა თავისი უფლებამოსილება, რომელიც მას მიანიჭა კანონმა ავტონომიური ოლქის შესახებ. სატყეო მეურნეობის და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროვმა განახორციელეს ტყის და გარემოს დაცვის ერთობლივი ღონისძიებები.

**ადგილობრივი საბჭოების სესიებზე.** კერძოდ, საოლქო საბჭოს სესიებზე, მკაცრად გააკრიტიკეს ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელი, რომლებიც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ გარემოს დაცვას. გააკრიტიკეს აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთი აღმასრულებელი კომიტეტი, რომლებიც ჯერჯერობით სუსტად იყენებენ თავის ახალ დამატებით შესაძლებლობებს, ისინი საკმარისად არ იყენებენ, ახალი დებულების თანახმად, იმ სამრეწველო საწარმოების მიერ საზოგადოებრივი წყალსამეურნეო სისტემების მომსახურების გამოყენებისათვის კუთვნილი საფასურის ანარიცხებს, სადაც შემოდის აგრეთვე სახელმწიფო ხარისხისნიშნისანი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული საწარმოთა დამატებითი მოგების ანარიცხები.

მაშასადამე, ადგილობრივ საბჭოებს თავის განკარგულებაში უკვე აქვთ მეტი ფულადი სახსრები და მეტი შესაძლებლობანი გეგმებისა და ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად.

წინამდებარე სტატიის მიზანია წარმოდგენილი ანალიზი არის პირველი ცდა განზოგადდეს ავტონომიური ოლქის შესახებ კანონის ქმედითობა და წარმოვაჩინოთ მისი გავლენა ეკონომიკისა და კულტურის ყველა სფეროზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონმა უკვე ნამდვილად ექონია გავლენა ადგილობრივი საბჭოების მუშაობაზე. მათ დიდი უფლებები ენიჭებათ საბინაო მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, საგზაო მშენებლობის და სხვა დარგებში. საბჭოების უფლებამოსილებათა გაფართოებამ საშუალება მოვ-

გვა შეგვეტანა მნიშვნელოვანი კორექტივები და დაგვეზუსტებინა მშენებლობათა სატიტულო სიები. მათი საუწყებო დაქვემდებარების და დანიშნულების მიუხედავად, იქნება ეს საცხოვრებელი სახლების კომუნალური მეურნეობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა თუ სხვა რამ.

**სკკკ XXVI** ყრილობამ მშენებლებს დაუსახა ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის დიდი ამოცანები. მეთერთმეტე ხუთწლიანი მშენებლებისათვის განსაკუთრებულია: მათი საქმიანობა პირველად შეფუძნდება მთლიანად დამთავრებული ობიექტების გადაცემის დროს, ესე იგი მშენებლების წინაშე დგას პირველი რიგის ამოცანა — სამშენებლო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება. სწორედ ამიტომ შარშან სექტემბერში ამ საკითხს მიეძღვნა სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს სესია, სესიაზე გამოძეურდა ოლქის სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები.

ამ ნაკლოვანებების შესახებ ილაპარაკა თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ: „კაპიტალურ მშენებლობაში ბევრი გადაუჭრელი პრობლემა რჩება, ამასთანავე, — ხაზი გაუსვა მან, — ჩვენ გვაქვს ყველა პირობა, რომ უზრუნველყოთ გარდატეხა ამ დარგში უკვე 80-იანი წლების დასაწყისისათვის“. სესიამ სწორედ ამ პოზიციებიდან განიხილა ოლქის ტერიტორიაზე მშენებლობის საქმის ვითარება და განსაზღვრა სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები მეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული მშენებლობის პროგრამის განხორციელებაში. ოლქის მშრომელები მაღალ შეფასებას აძლევენ ავტონომიური ოლქის შესახებ კანონის მიღებას და დიდად მადლიერი არიან მშობლიური კომუნისტური პარტიისა იმისათვის, რომ იგი დღენიადაგ ზრუნავს პატარა ხალხების ყოველმხრივი განვითარებისათვის. განსაკუთრებით კი მათი ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებისათვის. ახალმა კანონმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილებანი განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში.

ბოლო დროს სამხრეთ ოსეთის სახალხო განათლების ორგანოებმა საოლქო საბჭოს ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში ოსური ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებისათვის. ამჟამად ოლქში არ არის არც ერთი ოსური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, რომელსაც არ ჰქონდეს სპეციალური უმაღლესი განათლება. ოსური ენისა და ლიტერატურის სწავლების პროფესიული დონის სრულყოფას ხელს უწყობს ის, რომ მასწავლებლების მომზადებასა და გადამზადებაში უშუალოდ მონაწილეობენ პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. რომელთა ბიუჯეტები ახლა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე წინათ იყო. მეცნიერთა და სახალხო განათლების ორგანოების ძალებით შემუშავებულია ახალი პროგრამები, რომელთა საფუძველზეც ხდება სახელმძღვანელოების გადამუშავება, სასწავლო გეგმების სრულყოფა. საკმარისია ითქვას, რომ სასწავლო გეგმით 1970 წელს ოსური ენისა და ლიტერატურის შესწავლისათვის (სკოლებში, სადაც რუსული ენის სწავლება იწყება მეოთხე

კლასიდან) გათვალისწინებული იყო კვირაში 33,5 საათი, ახლა მათი რაოდენობა შეადგენს 41,5 საათს.

ოსური ენისა და ლიტერატურის შესწავლის სრულყოფას მომავალში კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ახალი კანონი ავტონომიური ოლქის შესახებ.

საბჭოთა სამხრეთ ოსეთმა ჩვენი ქვეყნის ხალხების ძმურ ოჯახში მიაღწია კოლოსალურ წარმატებებს თავისი ეროვნული კულტურის განვითარებაში. ყოველწლიურად იზრდება გამომცემლობა „ირისთონის“ მიერ გამოშვებული ოსური ლიტერატურა. სახელმწიფო დრამატიული თეატრის სცენაზე კლასიკური და რუსული დრამატურგიის გვერდით, წარმატებით იდგმება ოსი და სსრ კავშირის სხვა ხალხების პიესები. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „სიმღის“ წარმატებები ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი ადგილობრივი საბჭოების ყოველდღიური ყურადღება საშუალებას გვაძლევს აქტიური პროპაგანდა-გავუწიოთ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, ქალაქში და სოფლად საბჭოური ცხოვრების წესს.

**ახალი კანონი** დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის და მოქალაქეთა უფლებების დაცვის სფეროშიც. სამართალწარმოება მშობლიურ ენაზე, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის დიადი მონაპოვარია, ახალმა კანონმა კიდევ უფრო განამტკიცა. ადგილობრივი საბჭოების უფლებების გაფართოება სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის დარგში საშუალებას იძლევა მოწესრიგდეს ან შეჩერდეს საწარმოთა, დაწესებულებათა და ზემდგომი დაქვემდებარების ორგანიზაციათა ხელმძღვანელების კანონსაწინააღმდეგო აქტები წყლით სარგებლობის, გარემოს დაცვის, შრომითი რეჟიმების გამოყენების, კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების და სხვა საკითხებზე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ კანონის მიღებამდე ადგილობრივმა საბჭოებმა დიდი პრაქტიკული მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს შრომითს კოლექტივებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, სადაც ფართოდ განიხილავდნენ კანონის პროექტს. ადგილობრივი საბჭოების სპეციალური სესიები მიეძღვნა საკითხს „ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილებათა გაფართოების შესახებ“, რასაც ითვალისწინებს კანონი, ოლქის მთელი მოსახლეობა კანონიერი სიამაყის გრძნობით შეხვდა ჩვენი პარტიისა და მთავრობის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის კიდევ ერთ ახალ გამოვლინებას. დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობა გასწიეს საოლქო გაზეთების „სოვეტონ ირისტონის“ და „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციებმა, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტმა ახლა, როდესაც კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ. უკვე სისხლსავსე ცხოვრებას შეუდგა, ადგილობრივი საბჭოების წინაშე დგება დიდი და პასუხსავები ამოცანები. სახალხო ხელისუფლების ორგანოებმა ბევრი რამ უნდა გააკეთონ. პირველი რიგის ამოცანად ჩვენ გვესახება ის, რომ დავრავშოთ მშრომელები მეტერთმეტე ხელწოდის ამოცანების განხორციელებისა და წარმატებით შესრულებისათვის.

საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესება მჭიდროდ არის დაკავშირებული



აგრეთვე ისეთი კაპიტალური ამოცანის შესრულებასთან, როგორცაა წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ხარისხის ამაღლება. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ამ უფლებების გამოყენება, მით უფრო, რომ სამეურნეო მშენებლობაში, როგორც ხაზგასმით აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, არის ამოცანები, რომლებსაც ყველაზე უკეთ საბჭოები გადაწყვეტენ.

**ამ** ბოლო წლების მანძილზე ჩვენს ოლქში ბევრი რამ კეთდება, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისათვის, მართვაში დარგობრივი საწყისების გაძლიერებისათვის ამ მიმართულებით შემდგომი მუშაობა ადგილობრივი საბჭოებისაგან. მათი აღმასრულებელი ორგანოებისაგან მოითხოვს სიზუსტესა და ოპერატიულობას ჩვენს ტერიტორიაზე. კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფისათვის ჩვენი ოლქის საბჭოების, მათი სამმართველო ორგანოების განსაკუთრებული ზრუნვის საგანია ტყვია-თუთიის, ელექტროტექნიკური მრეწველობის შემდგომი განვითარება, სახალხო მოთხოვნილებების საქონლის ასორტიმენტის გაფართოება და ხარისხის ამაღლება, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კაპიტალური მშენებლობის მუშაობის გაუმჯობესება. ჩვენ ვეცდებით მივალწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ საბჭოების ყურადღების ცენტრში მუდამ იყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების, გეგმების, სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების მეცხოველეობის, პროდუქტების, ბოსტნეულის, ხილის მიყიდვის გეგმებისა და ვალდებულებათა სასურსათო პროგრამის შესრულება ოლქის მასშტაბით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბჭოების მთელი საქმიანობა, ზრუნვა ყურადღება და ფიქრები მოხმარდება ჩვენი სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებას, სოციალისტური წარმოების რეზერვების ამოქმედებას, ადგილობრივი რესურსების ფართო გამოყენებას. რაც საბოლოო ანგარიშით ხელს შეუწყობს ხალხის კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას.

**ს**ამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ კანონის მიღების დღიდან დიდი ხანი არ არის გასული. უკვე დაგროვდა გარკვეული გამოცდილება მუშაობის ახალ პირობებში. მიმდინარეობს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ახალი მეთოდების ფორმირების პროცესი. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა უფრო სწრაფად გავავრცელოთ ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შეტენილი გამოცდილება, რომელიც დაგვიხმარება იმაში, რომ უფრო სწრაფად დავალწიოთ თავი ნაკლოვანებებს, მივალწიოთ ახალ შემოქმედებებს წარმატებებს, სრულყოთ საბჭოების ყველა რგოლის მუშაობა. ავამაძლოთ მათი ავტორიტეტი და პასუხისმგებლობა ახალი კანონმდებლობით მონიჭებული ფართო უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის.

# სუბიექტის საკუთარი დანაშაულისადმი დამოკიდებულების ტიპოლოგია და მისი გნიშვნალოვან დანაშაულებასთან ბრძოლაში



ს. კაჭკორია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის  
მეცნიერი თანამშრომელი

საბჭოთა კრიმინოლოგიაში პიროვნების მცდარი ზნეობრივი ფორმირება დანაშაულებრივი ქცევის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად არის მიჩნეული. ამიტომ ამ პრობლემის კვლევა კრიმინოლოგიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ითვლება. აღნიშნული პრობლემის შემადგენელი ნაწილია სუბიექტის მიერ საკუთარი დანაშაულის შეფასება საყოველთაოდ აღიარებული მორალური კრიტერიუმების (სამართლიანობის, პატიოსნების, თანაწირობის და სხვ.) თვალსაზრისით.

სუბიექტის „დამოკიდებულებას“<sup>1</sup> დანაშაულისადმი აქვს „კრიტიკული“ ან „არაკრიტიკული“ ხასიათი. თუ სუბიექტი არ კიცხავს და ურიგდება საკუთარ დანაშაულს, საქმე გვაქვს „არაკრიტიკულ“ დამოკიდებულებასთან, რომელიც შეიძლება დანაშაულის სუბიექტურ მიზეზად<sup>2</sup> ჩაითვალოს.

შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ „არაკრიტიკული დამოკიდებულება“ გულისხმობს სუბიექტის მიერ მორალური კრიტერიუმების შეგნებულ უარყოფას. მაგრამ კრიმინოლოგიური დაკვირვებები და გამოკვლევები ცხადყოფს, რომ დანაშაულებრივი საერთოდ არ უარყოფენ მორალურ კრიტერიუმებს. სამართლებრივი და მორალური ნორმების სოციალურ შინაარსს. დამნაშავეთა უმრავლესობა ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და გამომრიცხველი გარემოებები და პრინციპულად არ ამართლებს დანაშაულს<sup>3</sup>.

დამნაშავეთა შორის თვითგამართლებების გავრცელებაზე ჯერ კიდევ არისტოტელე მიუთითებდა<sup>4</sup>.

საბჭოთა და საზღვარგარეთულ კრიმინოლოგიაში დამნაშავეთა თვითგამართლების მექანიზმსა და ფორმებს სპეციალური გამოკვლევებიც კი მიეძღვნა. ჩვენი აზრით, „არაკრიტიკული დამოკიდებულება“ არის თვითგამართლების სხვა დასხვა ფორმით გაშუალებული მორალურად არაადეკვატური შეფასებები.

<sup>1</sup> მორალური კრიტერიუმების თვალსაზრისით სუბიექტის დამოკიდებულებას საკუთარ დანაშაულთან შემოკლებით ერთი სიტყვით — „დამოკიდებულებით“ აღვნიშნავთ.

<sup>2</sup> დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური მიზეზების კლასიფიკაციის თაობაზე იხ. Кудрявцев В. Н. Причины правонарушений. М., 1976, с. 126.

<sup>3</sup> Кондрашков Н. Н., Кудрявцев В. Н. (рук. авт. коллект.), Лейкина Н. С., Миньковский Г. М., Сахаров А. Б. и др. «Личность преступника». М., 1971, с. 251; Яковлев А. М. «Преступность и социальная психология». М., 1971, с. 139.

<sup>4</sup> არისტოტელე, „რიტორიკა“, თბ., 1981, ვვ. 86.

<sup>5</sup> Грешем М., Сеикс. Девид Матза. Сб. ст. «Социология преступности». М., 1966. Ратинов А. Р., Ефремова Г. Х. «Личность преступника как объект психологического исследования». М., 1979; Пачкорья С. Г., «Мацне». Известия АН ГССР, 1975, № 3.

2. „საბჭოთა სამართალი“ № 4

17936

ს. მანუჩის სსრ. სსრ. სსრ.  
საბჭოთა კრიმინოლოგია  
2020

დაწინაშეაშულისადმი „დამოკიდებულების“ არსის გარკვევისათვის აუცილებელია აიხსნას მიზეზები, წინამძღვრები, თუ რა განაპირობებს მსჯავრდადებულთა ერთი ნაწილის „კრიტიკულ“, ხოლო მეორისას — „არაკრიტიკულ დამოკიდებულებას“.

მორალურ კრიტერიუმებს ზოგიერთი პირისათვის პიროვნული წონა, შინაგანი ძალა აქვს. ეს ნიშნავს, რომ პიროვნება ესწრაფვის მორალური კრიტერიუმების დაცვასა და რეალიზაციას, ხოლო სხვა შემთხვევებში — არა. მორალური კრიტერიუმების დაცვისა და რეალიზაციისადმი მისწრაფებას, ამ ერთგვარ შინაგან მორალურ კონტროლს, პირობითად შეიძლება „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილება“ ვუწოდოთ.

თეორიული გამოკვლევით „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილება“ დაკონკრეტდა როგორც სუბიექტის სურვილი სიმპათიასა და უშუალო პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა იქონიოს სხვასთან. უშუალო პატივისცემა გულისხმობს პატივისცემას თავისდათავად, მიუხედავად სარგებლობისა, სიამოვნებისა თუ სხვა ანგარიშებისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პიროვნულ მისწრაფებათა სტრუქტურაში „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილების“ არსებობა „კრიტიკული დამოკიდებულების“ ჩამოყალიბების წინამძღვარია, რადგან იგი სუბიექტს განაწყობს გამოუმუშავდეს მორალურად ადეკვატური შეფასებები. „არაკრიტიკული დამოკიდებულება“ კი „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილების“ არარსებობით უნდა იყოს განპირობებული.

თუმცა მარტოოდენ „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილება“ არ არის „კრიტიკულ“ და „არაკრიტიკულ დამოკიდებულებათა განმასხვავებელი, სპეციფიკური ნიშანი. ვფიქრობთ, „კრიტიკული დამოკიდებულების“ შემუშავება შინაგანად უკავშირდება პიროვნების უნარს წინააღმდეგობა გაუწიოს ემოციურად მიმზიდველს, მაგრამ არაადეკვატურ შეფასებებს. ამ უნარს პირობითად მაღალი „პიროვნული აქტიურობის დონე“ ვუწოდებთ. მაღალი „პიროვნული აქტიურობის დონე“ ჩვენს მიერ განისაზღვრა და დაკონკრეტდა როგორც პიროვნების მიღრეკილება განვითარებისადმი, აქტიური და დაძაბული მოღვაწეობისადმი.

„არაკრიტიკული დამოკიდებულება“. „კრიტიკულისაგან“ განსხვავებით დაბალი „პიროვნული აქტიურობის დონით“ უნდა აიხსნას.

განხორციელებული წინასწარი მოსინჯვითი ხასიათის გამოკვლევით, „არაკრიტიკული დამოკიდებულების“ დამნაშავენი თავისი ქმედობის შეფასებისას საგრძნობლად განსხვავდებიან გამოთქმის „მანერითა“ და „სტილით“. ამან შესაძლებლობა მოგვცა მოგვეზინა გარკვეული კლასიფიკაცია. სუბიექტები, რომლებიც საკუთარი დაწინაშეაშულის შესახებ საუბრის დროს ერთგვარ დაძაბულობას, შებოჭილობას ავლენენ, გავაერთიანეთ ერთ ჯგუფში პირობითი სახელწოდებით „კონფლიქტური დამოკიდებულების“ მქონე პირები. იმ სუბიექტებს შორის, რომლებსაც აქვთ უდარდელი, უკონფლიქტო მანერა, გვხვდება საგრძნობი განსხვავებანი არაადეკვატური შეფასებების „სტილის“ მიხედვით. ნაწილს, რომელსაც ახასიათებს აშკარა წინააღმდეგობრიობა, არ იჩენს ელემენტარული თვითკრიტიკულობის უნარს. პირობითად ვუწოდოთ „ზედაპირული დამოკიდებულება“, სხვებს კი, რომლებსაც აქვთ გარკვეული თანამიმდევრობა და სისტემურობა აღნიშნავთ „ფსევდოკრიტიკული დამოკიდებულებით“.

ისმის კითხვა: არის თუ არა არსებითი, შინაგანად სტაბილური განსხვავება „კრიტიკულ“, „კონფლიქტურ“, „ზედაპირულ“ და „ფსევდოკრიტიკულ“ დამოკიდებულებებს შორის. აქვთ თუ არა მათ სხვადასხვა წინამძღვრები და შესაბამისად შეიძლება თუ არა მათი დანაშაულისადმი „დამოკიდებულების“ მიხედვით ცალკეულ ტიპებად ცნობა.

იმისათვის, რომ ჩვენი მოსაზრებები ემპირიული კვლევით შემოწმებულიყო, შევიმუშავეთ სპეციალური მეთოდია, ე. წ. „პროექციული კაზუსების“ მიხედვით და კრიმინოლოგიაში გავრცელებული სხვადასხვა ხერხის (ანკეტა, ინტერვიუ და სხვ.) მეშვეობით გავარკვიეთ ხუთასამდე მსჯავრდადებულის დამოკიდებულება საკუთარი დანაშაულისადმი<sup>6</sup>.

კვლევას უნდა ეჩვენებინა, თუ როგორ ურთიერთშიმართებაში აღმოჩნდებოდნენ, ერთი მხრივ, „დამოკიდებულების“ სხვადასხვა ვარიანტები: 1. „კრიტიკული“, 2. „კონფლიქტური“, 3. „ზედაპირული“ და 4. „ფსევდოკრიტიკული“ და, მეორე მხრივ, მათი სავარაუდო წინამძღვრები: 1. „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილების“ არსებობა, 2. „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილების“ არარსებობა, 3. მაღალი „პიროვნული აქტიურობის დონე“, 4. დაბალი „პიროვნული აქტიურობის დონე“. თუმცა ფორმალურ ლოგიკურად შეიძლება წარმოვიდგინოთ  $4 \times 4 = 16$  ვარიანტი, მაგრამ ემპირიული გამოკვლევით მკვეთრად და დამაჯერებლად მხოლოდ ოთხი ტიპი გამოიყო:

1. „კრიტიკული დამოკიდებულება“, „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილების“ არსებობა, მაღალი „პიროვნული აქტიურობის დონე“;
2. „კონფლიქტური დამოკიდებულება“, „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილების“ არსებობა, დაბალი „პიროვნული აქტიურობის დონე“;
3. „ზედაპირული დამოკიდებულება“, „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილების“ არარსებობა, დაბალი „პიროვნული აქტიურობის დონე“;
4. „ფსევდოკრიტიკული დამოკიდებულება“, „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილების“ არარსებობა, მაღალი „პიროვნული აქტიურობის დონე“.

იმისათვის, რომ გაირკვეს: 1. აქვს თუ არა მოცემულ შეთანხმებებს შინაგანად კანონზომიერი ხასიათი და შესაბამისად გვეძლევა თუ არა უფლება ვისაუბროთ „დამოკიდებულების“ ცალკეულ ტიპებზე. შინაგანად კანონზომიერ კომპლექსებზე და სხვ. 2. რა სისხლისსამართლებრივი (ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე<sup>7</sup>, საერთო, თუ სპეციალური რეციდივი) და კრიმინოლოგიური (მწვავე, თუ ნეიტრალური წინაკრიმინალური სიტუაცია) ნიშნებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ცალკეული ტიპები. საჭიროა ისინი განვიხილოთ ცალ-ცალკე:

1. „კრიტიკული დამოკიდებულება“. „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილების“ არსებობა, მაღალი „პიროვნული აქტიურობის დონე“. ამ შეძთხვევაში ჩვენი მოსაზრება გამართლდა. „კრიტიკული დამოკიდებულება“ შინაგანად დაკავშირებულია „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილების“ არსებობასთან და მაღალ „პიროვნული აქტიურობის დონესთან“. „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილება“, უნდა ვიგულისხმოთ, განსაზღვრავს სუბიექტის

<sup>6</sup> გამოკვლევა მოეწყო მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორებით კოლონიაში ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის, მკვლელობის, სხეულის მძიმე დაზიანების, გაუპატიურების, თაღლითობისა და გამოძალისათვის მსჯავრდადებულთა შორის.

<sup>7</sup> მოცემული კვლევის მიხედვით მძიმეს მიკუთვნებული იქნა დანაშაულობანი კომპლექსებისათვის მსჯავრდადებულებს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.



დაინტერესებას მორალურად ადეკვატურ შეფასებებში, ხოლო მაღალი „პიროვნული აქტიურობის დონე“ ამ დაინტერესებას შინაგან ძალასა და თანამიმდევრობას ანიჭებს, თუნდაც ეს, თავის მხრივ, დიდ ფსიქიკურ დაძაბვას მოითხოვდეს.

„კრიტიკული დამოკიდებულების“ მსჯავრდადებულები „შემთხვევითი“<sup>8</sup> კატეგორიის დამნაშავეებს უნდა მიეკუთვნონ. მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზად მწვავე წინაკრიმინალური სიტუაცია (86,3 პროცენტი) შეიძლება ჩაითვალოს, რამაც მოახდინა ამ პირთათვის დამახასიათებელი მაღალი „პიროვნული აქტიურობის დონის“ ბლოკირება და ზედპირული, სიტუაციური ინტერესებისადმი დაქვემდებარება. მწვავე წინაკრიმინალური სიტუაციის გავლის შემდეგ სუბიექტს მაღალი „პიროვნული აქტიურობის დონე“ შინაგანი კანონზომიერებით აღდგება, რაც „კრიტიკული“ დამოკიდებულების ფორმირებით პოულობს რეალიზაციას.

ამ ტიპის მსჯავრდადებულთა „შემთხვევითი“ კატეგორიის დამნაშავეებისადმი მიკუთვნების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მათ ნაკლებად მძიმე დანაშაული (70,5 პროცენტი) აქვთ ჩადენილი და მათთვის შედარებით იშვიათია სპეციალური რეციდივის შემთხვევები (29,4 პროცენტი)<sup>9</sup>.

„დამოკიდებულების“ ცალკეული ტიპის დამნაშავეების შედარებით თვალსაჩინო წარმოდგენისათვის მოვიშველიოთ მხატვრული ნაწარმოების გმირთა სახეები. „კრიტიკული დამოკიდებულების“ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს დათა თუთაშხიას მიერ მასთან ოჯახში სტუმრად მყოფი მხატვრის დუელში სასიკვდილოდ დაჭრის მორალურად ადეკვატური შეფასება (ჭ. ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“).

2. „კონფლიქტური დამოკიდებულება“, „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილების“ არსებობა, დაბალი „პიროვნული აქტიურობის დონე“. ნიშანდობლივია ემპირიულად გამოვლენილი კანონზომიერება, რომ „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილება“ მაღალი „პიროვნული აქტიურობის დონის“ გარეშე საკმარისი არ ყოფილა მორალურად ადეკვატური, „კრიტიკული დამოკიდებულების“ ფორმირებისათვის.

საკუთარი დანაშაულის სწორი მორალური კვალიფიკაცია დაკავშირებულია, როგორც წესი, უარყოფითს განცდებთან, დაძაბულობასთან. თუ სუბიექტს დაბალი „პიროვნული აქტიურობის დონე“ აქვს (რასაც შეიძლება ჰქონდეს როგორც დროებითი ისე სტაბილური ხასიათი), იგი შინაგანად თავს აარიდებს ფსიქიკურ დაძაბულობას, დაექვემდებარება სიტუაციურ, მომენტალურ ინტერესებს და შეეცდება მოიპოვოს ფსიქიკური კომფორტი საკუთარი დანაშაულის შერბილებული, შელამაზებული, არაადეკვატური შეფასებებით.

„კონფლიქტური დამოკიდებულების“ მსჯავრდადებულები, გარკვეული დათ-

<sup>8</sup> გავრცელებული შეხედულების მიხედვით კრიმინოლოგიურ კვლევას არ შეუძლია გვერდი აუაროს დანაშაულის სუბიექტების მკაფიო განწილებას ორ ტიპად, კატეგორიად — „ბიოროტ“ და „შემთხვევით“ დამნაშავეებად. „შემთხვევითი“ დამნაშავეებისათვის ჩადენილი დანაშაული მხოლოდ ეპიზოდია ცხოვრებაში, რაც მკვეთრად უპირისპირდება მისთვის საერთოდ ჩვეულ ქცევას ტიპებს. იხ. Кондрашков Н. Н., Кудрявцев В. Н., (Рук. авт. кол.); Лейкина Н. С., Миньковский Г. М., Сахаров А. Б. и др. «Личность преступника», М., 1971, с. 332.

<sup>9</sup> პროცენტულ შეფარდებათა სანდოობა პარსონის — მიხედვით შემოწმდა.

ქმით, „შემთხვევით“ დამნაშავეთა კატეგორიას მიეკუთვნებიან. მათს პიროვნულ მისწრაფებათა სტრუქტურაში „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილების“ ფუნქციონირება“ მოწმობს, რომ დანაშაულებრივი ქცევა მათთვის შინაგანად მიუღებელია, თუმცა ისინი მაღალი „პიროვნული აქტიურობის დონის“ უქონლობის გამო არ არიან დაზღვეული მძიმე დანაშაულის (54.5 პროცენტი) ჩადენისაგან. „კონფლიქტური დამოკიდებულების“ მქონე მსჯავრდადებულთა „შემთხვევითი“ დამნაშავეებისათვის მიეკუთვნების სასარგებლოდ მეთყველბის მათ მიერ დანაშაულის ჩადენა ძირითადად მწვავე წინაკრიმინალურ სიტუაციაში (72.8 პროცენტი) და სპეციალური რეციდივის შედარებითი იშვიათობა (27 პროცენტი).

დანაშაულისადმი „კონფლიქტური დამოკიდებულების“ თვალსაჩინო ლიტერატურული მაგალითია, ჩვენი აზრით, რასკოლნიკოვის დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი მკვლელობისადმი (თ. დოსტოევსკი, „დანაშაული და სასჯელი“). ამასთანავე „კონფლიქტური დამოკიდებულება“ რასკოლნიკოვთან განპირობებულია მისთვის საერთოდ დამახასიათებელი მაღალი „პიროვნული აქტიურობის დონის“ დროებითი ბლოკირებით, რაც მწვავე წინაკრიმინალური სიტუაციის ზეგავლენით უნდა აიხსნას.

3. „ზედაპირული დამოკიდებულება“ „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილების“ არარსებობა, დაბალი „პიროვნული აქტიურობის დონე“. ამ შემთხვევაში საკუთარი დანაშაულის მორალურად არაადეკვატური შეფასებები გაცილებით მარტივად და ერთსახოვნად აიხსნება, ვიდრე „კონფლიქტური“ დამოკიდებულების დროს. „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილების“ არარსებობა სუბიექტს არ განაწყობს, რომ გამოიძუშაოს მორალურად ადეკვატური შეფასებები. გარეგნული მორალური კონტროლი კი მორალური პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და გამოძრისხველი გარემოებების დაქმნითა და შეთხზვით ნეიტრალიზდება. მოცემულ „დამოკიდებულებაში“ ყურადღებას აქცევს არაადეკვატური შეფასებების ზედაპირული, წინააღმდეგობრივი ხასიათი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილების“ არარსებობა დაბალ „პიროვნული აქტიურობის დონესთან“ ერთობლიობაში განაპირობებს სუბიექტის შეფასებების ზერელე ხასიათს. ელემენტარული კრიტიკული დამოკიდებულების უგულებელყოფას, მსჯელობებს სიტუაციური განწყობილების ზეგავლენით.

„ზედაპირული დამოკიდებულების“ მსჯავრდადებულები „ბოროტ“ დამნაშავეთა კატეგორიას განეკუთვნებიან. შინაგანი მორალური კონტროლის, „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნილების“ არარსებობა, სიტუაციურ, მომენტალურ ინტერესებისადმი დაქვემდებარება, დაბალი „პიროვნული აქტიურობის დონის“ გამო, განაპირობებს იმას, რომ მიუხედავად ნეიტრალური ხასიათის წინაკრიმინალური სიტუაციისა (81.3 პროცენტი), მოცემული კატეგორიის დამნაშავეთა შორის ხშირია მძიმე დანაშაულის (57.4 პროცენტი) და სპეციალური რეციდივის (72.2 პროცენტი) შემთხვევები.

„ზედაპირული დამოკიდებულების“ ლიტერატურულ სახეს, ჩვენი აზრით, ლორანის საკუთარი დანაშაულისადმი დამოკიდებულება წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ლორანი დანაშაულის ჩადენის შემდეგ დიდ შიშსა და ძრწოლვას განიცდის (ე. ზოლა, „ტერეზა რაკენი“).

4. „ფსევდოკრიტიკული დამოკიდებულება“. „ზნეობრივი ურთიერთობის

მოთხოვნების“ არარსებობა, მაღალი „პიროვნული აქტიურობის დონე“. მოცემულ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მაღალ „პიროვნული აქტიურობის დონეს“ შინაგანი მორალური კონტროლი. „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნების“ გარეშე არ შესწევს უნარი საკუთარი დანაშაულის შეფასებებს მორალურად ადეკვატური ხასიათი მიანიჭოს.

„ზედაპირული დამოკიდებულებიდან“ განსხვავებით „ფსევდოკრიტიკული დამოკიდებულებისათვის“ დამახასიათებელია გარკვეული თანამიმდევრობა და დასაბუთებულობა მსჯელობებში, რაც მაღალი „პიროვნული აქტიურობის დონის“ ზემოქმედებით შეიძლება აიხსნას.

**კ**მ კატეგორიის დამნაშავენი. იმის გამო, რომ არ ფლობენ „ზნეობრივი ურთიერთობის მოთხოვნებს“ და დანაშაულის ჩადენა ძალუძთ ნეიტრალური ხასიათის წინაკრიმინალურ სიტუაციაში (67,4 პროცენტი), შეიძლება „ბოროტ“ დამნაშავეთა ტიპს მიეკუთვნონ. საინტერესოა ერთი გარემოება: „ფსევდოკრიტიკული დამოკიდებულების“ მქონე პირები სწადიან შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულს (45,6 პროცენტი). „კონფლიქტური“ და „ზედაპირული დამოკიდებულების“ მქონე პირთაგან განსხვავებით, ამაში, ალბათ, დადებითს როლს ასრულებს მათთვის დამახასიათებელი მაღალი „პიროვნული აქტიურობის დონე“. რაც სავარაუდოა გავლენას ახდენს, რომ მათ მეტი სიფრთხილით იმოქმედონ. მეორე მხრივ, სპეციალური რეციდივის მაღალი სიხშირე (50 პროცენტი) შესაძლებლობას იძლევა „ფსევდოკრიტიკული დამოკიდებულების“ მსჯავრდებულები „ბოროტ“ დამნაშავეთა ტიპს მივაკუთვნოთ. „ფსევდოკრიტიკული დამოკიდებულების“ მკაფიო ლიტერატურულ მაგალითს, ჩვენი აზრით, კვაჭი კვაჭანტირაძის სახე წარმოადგენს (მ. ჯავახიშვილი, „კვაჭი კვაჭანტირაძე“).

ზემოთ განხილული „დამოკიდებულების“ ოთხი ტიპიდან „კრიტიკული დამოკიდებულება“ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც დანაშაულებრივი ქცევისადმი შეურიგებელი დამოკიდებულება. იმ პირებს შორის, რომლებმაც უკვე ჩაიდინეს დანაშაული, „კრიტიკული დამოკიდებულების“ ფორმირება მათი მორალური რეაბილიტაციის უპირველესი ნიშანია.

რაც შეეხება დანარჩენ სამ ტიპს — „კონფლიქტურ“, „ზედაპირულს“ და „ფსევდოკრიტიკულს“. ისინი წრმოადგენენ დანაშაულისადმი შემრიგებლური „არაკრიტიკული დამოკიდებულების“ ფორმებს. „არაკრიტიკული დამოკიდებულებისას“ მორალურად არაადეკვატური შეფასებებით ნეიტრალიზებულია მორალური კონტროლის შემაკავებელი მნიშვნელობა და სუბიექტს შინაგანად გზა ხსნილი აქვს, რათა დანაშაულებრივი, ამორალური ქცევა ჩაიდინოს.

**დ**ამნაშავეების ტიპობრივი კლასიფიკაცია, საკუთარი დანაშაულისადმი „დამოკიდებულების მიხედვით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

1. სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისას — სასჯელის ინდივიდუალიზაციის, საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენების, პირობითი მსჯავრის, ვადამდე განთავისუფლებისა და სხვა საკითხების გადაწყვეტისას.

2. პენიტენციურ საკმახობაში — სხვადასხვა „დამოკიდებულების“ მქონე დამნაშავეთა შორის შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებების დიფერენცირებული შერჩევისას.



# ჯარიმის, როგორც სასჯელის გამოყენების საკითხისათვის

ბ. კობახიძე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე იურიდიულ მეცნიერებათა  
კანდიდატი

**ბ**ოლო ხანს საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ ბევრი იწერებოდა ჯარიმის, როგორც სასჯელის შესახებ.<sup>1</sup> წამოყენებულია არაერთი საინტერესო წინადადება, მათ შორის ზოგიერთი კანონმდებლობაშიც აისახა. მაგრამ, ვფიქრობთ, ეს საკითხი ჯერჯერობით მთლიანად არ არის მოგვარებული. საჭირო ყურადღება არ ექცევა დადგენილი ნორმების განხორციელებასაც. წინამდებარე სტატიის მიზანია ამ სასჯელის გამოყენების სრულყოფის საკითხებს.

ჯარიმა, როგორც სასჯელის (სახდელის) სახეობა, გათვალისწინებულია როგორც საბჭოთა ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, ე. წ. „ადმინისტრაციული გადაცდომისათვის“ სახდელების ყველაზე უფრო გავრცელებული სახეობა სწორედ ჯარიმაა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის მოქალაქეთა პასუხისმგებლობას აწესრიგებს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები“, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულება „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“. ასეთი ჯარიმა შეიძლება დაედოს 16 წელს მიღწეულ პირს. როგორც წესი, მისი ოდენობა მოქალაქის მიმართ არ აღემატება 10 მანეთს, თანამდებობის პირის მიმართ კი 50 მანეთს. გამონაკლის შემთხვევაში მოქალაქის მიმართ — 50 მანეთს და თანამდებობის პირის მიმართ — 100 მანეთს. ადმინისტრაციული წესით ჯარიმა პირს არ შეიძლება დაედოს გადაცდომის დღიდან ორი თვის გასვლის შემდეგ. ჯარიმის დადების უფლება ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად მინიჭებული აქვთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, მმართველობის საუწყებო ორგანოებს, სხვადასხვა ინსპექციას.

დაწესებულია ადმინისტრაციული წესით დაჯარიმება ისეთი სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც დანაშაულად არ ითვლება (წვრილძანი ხელიგნობა, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება პირ-

<sup>1</sup> იხ. И. В. Смолькова — Штраф как мера наказания по советскому уголовному праву, 1979; М. Д. Шаргородский — Наказание, его цели и эффективность, 1973 г.; З. А. Тадевосян — Штраф как мера наказания, 1978 г.; В. П. Федорченко — Административные штрафы, М., 1971 г.; И. А. Исмаилов — Штраф как мера уголовного наказания, «Правоведение», 1972, № 5 და სხვა.



ველად. წვრილმანი სპეკულაცია და სხვა). მთელი რიგი ნორმატიული აქტები, ითვალისწინებს ჯარიმებს სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების დარღვევისათვის.

გარდა ამისა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 20 აპრილის ბრძანებულებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილია დამატებები (კოდექსის 51-ე მუხლის მესამე ნაწილი და 51-ე მუხლი), რომელთა მიხედვითაც იაეთი დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და რომლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს ერთი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და მიეცეს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში, თუ მიიჩნევენ, რომ მისი გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შეიძლება სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოუყენებლად.

**კ**რაქტიკა გვიჩვენებს, რომ ადმინისტრაციული წესით ჯარიმის გამოყენება ყოველთვის ვერ აღწევს სათანადო ეფექტს. ამის მიზეზი ის არის, რომ ეს ნორმები ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს ცხოვრების მოთხოვნებს, მცირეა ჯარიმის დადგენილი ოდენობაც. უპირველესად ეს შეეხება ქვეითად მოსიარულეთა დაჯარიმებას ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულების მე-7 პუნქტით დადგენილია: „მოსიარულენი, მგზავრები, ველოსიპედისტები, მზიდავები და სხვა პირნი, რომელნიც გზებით სარგებლობენ, მოძრაობის წესების უხეში დარღვევისათვის, რასაც მოჰყვება ან შესაძლო იყო მოჰყოლოდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, დაჯარიმდებიან თანხით 10 მანეთამდე“. როგორც ვხედავთ, ქვეითი ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევისათვის ყოველთვის არ აგებს პასუხს. კანონით ამ დარღვევას უნდა მოჰყვეს ან შესაძლოა მოჰყოლოდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა. ეს არ მიგვაჩნია სწორად, ვინაიდან ნორმის გამოყენება შეზღუდულია. ამასთან ერთად ჯარიმის ოდენობაც ასეთი დარღვევისათვის უმნიშვნელოა. საქმე ის არის, რომ ეს და საერთოდ სხვა ნორმებიც ადმინისტრაციული ჯარიმების გამოყენების შესახებ კარგა ხანია მიღებულია. მას შემდეგ დიდი ცვლილებები მოხდა ჩვენი ხალხის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, გაუმჯობესდა ადამიანთა მატერიალური ცხოვრების პირობები და, როგორც ჩანს, ზოგიერთს, რომელიც თავხედურად არღვევს ქუჩაში მოძრაობის წესებს, ეს თანხა არაფრად მიაჩნია. ხომ არ არის საჭირო, საგრძნობლად გაიზარდოს ჯარიმის ოდენობა ასეთ პირთა მიმართ? ჩვენ ამ კითხვას დადებითად ვუპასუხებთ. ეს ბევრ უსიამოვნებას და უბედურებას აგვაცილებს თავიდან.

ავტოსაგზაო შემთხვევები უმთავრესად ქვეითთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევით არის გამოწვეული. ასეთ დამრღვევთა მიმართ მატერიალური პასუხისმგებლობის გაზრდა ხელს შეუწყობს ამ დარღვევების თავიდან აცილებას. ვფიქრობთ, მიზანშეწონილია ჯარიმა გამოყენებულ იქნეს ქუჩაში მოძრაობის წესების ყოველი დამრღვევის მიმართ, ხოლო უხეში დარღვევისათვის, რასაც შედეგად მოჰყვება ან შესაძლოა მოჰყოლოდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, — დაწესდეს ჯარიმის უფრო გაზრდილი ოდენობა.

ჩვენი აზრით, ბევრი რამ არის მოსაწყენებელი ჯარბმის, როგორც სისხლის სამართლის სასჯელის, გამოყენებაშიც.

როგორც ზემოთ ითქვა, კანონმდებელმა დაუშვა, რომ ისეთ დანაშაულებში, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს და რომლისთვისაც სასჯელად გათვალისწინებულია ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, როცა დამნაშავე შეიძლება გამოსწორდეს სისხლის სამართლის სასჯელის გამოუყენებლად, იგი შეიძლება მიეცეს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. უკვე ხუთ წელზე მეტი გავიდა ამ ნორმის მიღებიდან, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლოები თითქმის არ იყენებენ მას.

ასევე იშვიათად გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში ჯარბმა, როგორც სისხლის სამართლის სასჯელის სახეობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კი სასჯელის სხვა სახეობებთან ერთად ადგენს ჯარბმასაც, სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლით ჯარბმა გამოიყენება როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სახით. ადმინისტრაციული ჯარბმისაგან განსხვავებით სისხლის სამართლის სასჯელის სახით დადებული ჯარბმა იწვევს ნასამართლობას. ნასამართლობა გაქარწყვლდება მხოლოდ ჯარბმის გადახდიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

სისხლის სამართლის წესით ჯარბმას უფარდება მხოლოდ სასამართლო კანონით დადგენილ შემთხვევებში და ფარგლებში. საქართველოს სსრ სსკ განსხვავებით რსფსრ სსკ-გან ადგენს ჯარბმის მინიმალურ ზღვარს — 10 მანეთს, ხოლო მაქსიმალური ოდენობა განსაზღვრულია ცალკეული მუხლების სანქციებში. მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ 176<sup>1</sup> მუხლით ადამიანთა ჯანმრთელობის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებით ზღვის გატუქყიანება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარბმით ათი ათას მანეთამდე, ხოლო თუ ამ მოქმედებას არსებითი ზიანი მოჰყვა, დამნაშავე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე ან ჯარბმით ოცი ათას მანეთამდე.

საერთოდ, სისხლის სამართლის კოდექსი ჯარბმას, როგორც სასჯელს, ითვალისწინებს ალტერნატიულად სხვა ძირითად სასჯელებთან ერთად. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ერთადერთი მუხლია (182-ე), რომელიც სახელმწიფოსათვის ოქროს ჩაბარების წესების დარღვევას შეეხება და ერთადერთ ძირითად სასჯელად ითვალისწინებს ჯარბმას — ათას მანეთამდე. (რსფსრ სსკ 167-ე მუხლი).

ასევე ერთადერთი მუხლია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსში (203ე-), რომლითაც ჯარბმა დამატებით სასჯელად არის გათვალისწინებული (სსრ კავშირის სახელმწიფო აღმის უკანონო აღმართვა სავაჭრო გემზე). საქართველოს სსრ სსკ 225-ე მუხლით (რომელიც ანალოგიურ დანაშაულს ეხება), დამნაშავე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე, გემის კონფისკაციით ან ჯარბმით ათას მანეთამდე. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარების ავტორები რატომღაც მიუთითებენ, რომ თითქოს 225-ე მუხლის ძირველი ნაწილით ჯარბმა დამატებით სასჯელად არის გათვალისწინებული<sup>2</sup>, რაც სწორი არ არის.



ძირითად სასჯელად ჯარიმის გამოყენება შეიძლება მაშინაც, როცა სასამართლო სსკ 45-ე მუხლის გამოყენებით უფარდებს სანქციით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქ სასჯელს, ანდა სსკ 54-55-ე მუხლების საფუძველზე დანიშნულ სასჯელს ცვლის უფრო მსუბუქი სასჯელით.

**ს**აქართველოს სსრ სსკ 95-ე მუხლი ამას გარდა ადგენს, რომ პირი, რომელმაც პირველად ჩაიდინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება მცირე ოდენობით (100 მანეთამდე) და მისი პიროვნების გათვალისწინებით აუცილებელი არ არის შეეფარდოს სანქციით გათვალისწინებული სასჯელი, იგი შეიძლება დაჯარიმდეს დატაცებული ქონების ღირებულების სამმაჯ ოდენობამდე.

სხვა შემთხვევებში, როგორც უკვე ითქვა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი ჯარიმას ითვალისწინებს ალტერნატიულად როგორც ერთ-ერთ შესაძლო ძირითად სასჯელს. ამგვარ სასჯელად ჯარიმა გათვალისწინებულია დანაშაულის 87 შემადგენლობაში კოდექსის 287-დან 75 მუხლში, უმთავრესად სამეურნეო დანაშაულთა მიმართ. კერძოდ, ჯარიმა გათვალისწინებულია 22 ასეთი სახეობის დანაშაულისათვის და საკმაოდ დიდი ოდენობითაც — 100 მანეთიდან ოცი ათას მანეთამდე. მხოლოდ ერთ შემთხვევაში — შინ გამოხდილი მაგარი სპირტიანი სასმელების დამზადების ან გასაღებისათვის (173-ე მუხლი) არის დაწესებული ჯარიმა 50 მანეთამდე.

მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის 18 სახეობა ითვალისწინებს ჯარიმის გამოყენებას. ამდენივე მუხლში არის გათვალისწინებული იგი, როგორც ძირითადი სასჯელი, კოდექსის იმ თავში, რომელიც შეეხება საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს.

ჯარიმების გამოყენება ალტერნატიული წესით შეიძლება აგრეთვე ზოგიერთი ისეთი სახეობის დანაშაულის მიმართ, როგორიც არის პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების, მოქალაქეთა პოლიტიკური და შრომითი უფლებების, მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. სახელმწიფო დანაშაულის ერთი სახეობა — საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა — თავისუფლების აღკვეთის გარდა ალტერნატიულად ითვალისწინებს ათას მანეთამდე ჯარიმას. ასევე სოციალისტური საკუთრების ხელყოფაც მხოლოდ ერთ შემთხვევაში — წვრილმანი გატაცებისას ითვალისწინებს 100 მანეთამდე ჯარიმას.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის კოდექსით ფართოდ არის გათვალისწინებული ჯარიმის გამოყენება, მაგრამ რატომღაც სასამართლოები თითქმის არ იყენებენ ამ სანქციას. ეს, ჩვენი აზრით, არა მარტო გაუმართლებელია, არამედ გაუგებარია.

**მ**ვალს თუ გადავავლებთ ჩვენს ქვეყანაში დასჯითი პრაქტიკის ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ ყოველთვის ასე არ ყოფილა. პირიქით, ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში — 1918-1919 წლებში ქ. მოსკოვის სახალხო სასამართლოების პრაქტიკაში თავისუფლების აღკვეთა 19-20 პრო-

ცენტს შეადგენდა, ჯარიმა კი 44-48 პროცენტს<sup>3</sup>. არა მარტო სახალხო სასამართლოები, არამედ რევოლუციური ტრიბუნალებიც კი ფართოდ იყენებდნენ ჯარიმებს. მაგალითად, 1918 წელს რევტრიბუნალების მიერ მსჯავრდადებულთა 3,2 პროცენტს ჯარიმა შეეფარდა<sup>4</sup>.

მართალია, 1928 წლიდან თანდათან შემცირდა ჯარიმების გამოყენება, მაგრამ დიდი სამამულო ომის შემდეგ კვლავ გაიზარდა ჯარიმის, როგორც სასჯელის, გამოყენება და 1951-1959 წლებში შეადგენდა 12,6-16,3 პროცენტს<sup>5</sup>. შემდგომ წლებში კვლავ შემცირდა ჯარიმის გამოყენება და 1964 წელს შეადგინა 5,9 პროცენტი, 1972 წელს კი 6,1 პროცენტი<sup>6</sup>. თუ ავიღებთ ჩვენი რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის სასამართლო ორგანოების დასჯითი პრაქტიკის უკანასკნელი წლების მონაცემებს, ჯარიმების გამოყენების პროცენტი კიდევ უფრო დაბალია. სახელდობრ, საქართველოს სსრ სასამართლოების დასჯითი პრაქტიკაში 1978 წელს ჯარიმებმა შეადგინა 2,4 პროცენტი, 1981 წელს კი 2,5 პროცენტი, ჭ. თბილისის სასამართლოებში შესაბამისად 2,1 პროცენტი და 1,5 პროცენტი.

როგორც ვხედავთ, სასამართლო ორგანოები ძალიან იშვიათად იყენებენ ჯარიმებს მაშინაც კი, როცა ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული სანქციით. ზოლო რაც შეეხება საქართველოს სსრ სსკ 45-ე მუხლის გამოყენებით ჯარიმის შეფარდება სასამართლო პრაქტიკაში თითქმის გამორიცხულია. ამას ისიც განპირობებს, რომ ზოგადი ნორმა არ განსაზღვრავს ჯარიმის, როგორც სისხლის სამართლის სასჯელის, მაქსიმალურ ოდენობას<sup>7</sup>, არადა, პრაქტიკაში ხშირად არამძიმე დანაშაულისათვის მსჯავრი ედება ინვალიდს ან შრომისუნარმოკლებულ პირს, რომელსაც ვერ შეუფარდებ ვერც გამასწორებელ სამუშაოებს, ვერც შრომაში სავალდებულო ჩაბმას. თავისუფლების აღკვეთა მისთვის მკაცრად ითვლება, პირობითი მსჯავრი კი ლმობიერად. სწორედ ამ დროს ყველაზე უკეთესი სასჯელი ჯარიმა იქნებოდა. პრაქტიკაში ასეთი რამ არ ეტოლება, რადგან სანქცია არ ითვალისწინებს ჯარიმას, თუმცა სსკ 45-ე მუხლით ეს აკრძალული არ არის. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ისიც არის, რომ სსკ 30-ე მუხლში იმპერატიულად არის ნათქვამი, რომ არ დაიშვება ჯარიმის შეცვლა თავისუფლების აღკვეთით და თავისუფლების აღკვეთისა — ჯარიმით. ამის გათვალისწინებით, სასამართლო იმ შემთხვევაში, როცა მუხლის სანქცია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას ანდა თავისუფლების აღკვეთას ან ჯარიმას ითვალისწინებს, არჩევს პირს შეუფარდოს სწორედ თავისუფლების აღკვეთა (ალბათ, იმიტომ, რომ დასჯითი პრაქტიკის პროცენტი არ შემცირდეს).

<sup>3</sup> А. Герцензон — Губернские революционные трибуналы, народные суды и товарищеские суды в 1918—20 гг. (Материалы к истории советской уголовной политики), «Советское государство», 1933, № 6, с. 61 მონაცემები აღებულია ზ. ა. თადევოსიანის ზემოთდასახელებული წიგნიდან.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 25.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 66.

<sup>7</sup> მხოლოდ ესტონეთის და თურქმენეთის რესპუბლიკების სსკ-ები ითვალისწინებენ უფრო მსუბუქ სასჯელზე გადასვლის შემთხვევაში ჯარიმის მაქსიმალურ ოდენობას — 100 ბანკის. საერთოდ, ეს საკითხი საღაოა იურიდიულ ლიტერატურაში.  
 (იხ. Борисов Э., Смирнова А. О назначении штрафа в порядке перехода к более мягкому виду наказания — «Советская юстиция», 1972, № 3).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სწორი არ არის არა მარტო ასეთი პრაქტიკა, არამედ ცვლილებაა შესატანი კოდექსის 80-ე მუხლის ბოლო დებულებაშიც, რომლის მიხედვით არ შეიძლება თავისუფლების აღკვეთის ჩარიმით შეცვლა.

პირიქით კი უნდა ხდებოდეს. ცნობილია, რომ ნაკლებად საშიშ დამნაშავეთა მიმართ ჩარიმების ფართოდ გამოყენებაზე ბევრი იწერება და კეთდება საზღვარგარეთის ქვეყნებში, მათ შორის მოძმე სოციალისტურ ქვეყნებშიც. მაგალითად, უნგრეთში, როგორც ცნობილია, დამნაშავეთა 40 პროცენტს ჩარიმებს უფარდებენ, მათ შორის ზოგიერთი საშიში დანაშაულისთვისაც<sup>8</sup>. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მსჯავრდადებულთა მესამედს სასჯელის ამ სახეობას უფარდებენ და ჩარიმის თანხა 100 ათას მანეთსაც კი აღწევს<sup>9</sup>.

ჩვენს ქვეყანაშიც თანდათან ფართოვდება იმ დანაშაულთა რიცხვი, რომლებისთვისაც სასჯელის სახეობად ჩარიმა გათვალისწინებული. მაგალითად, თუ რსფსრ პირველი კოდექსი მხოლოდ 58 შემთხვევაში ითვალისწინებდა ჩარიმის გამოყენებას, ამჟამად 84-მდე გაიზარდა ამ სასჯელის რიცხვი<sup>10</sup>. ჩარიმების ფართოდ გამოყენებას არა მარტო თეორეტიკოსი კრიმინალისტები უჭერენ მხარს<sup>11</sup>, არამედ პრაქტიკული მუშაკებიც. არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება ჩარიმების გამოყენების აუცილებლობაზე სსრ კავშირისა და რსფსრ უმაღლესი სასამართლოების პლენუმებს<sup>12</sup>.

ჩვენ აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო არსებული ნორმების გამოყენებას, არამედ შემუშავდეს კიდევ ახალი ნორმები, რომლებიც გაბედულად დაადგენს ჩარიმების ფართო გამოყენებას ზოგიერთი კატეგორიის დამნაშავეთა მსჯავრდადებისას.

ისეთი პირების მიმართ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს არცთუ ისე საზოგადოებრივად საშიში ხასიათის დანაშაული და რომელთა პიროვნული მონაცემებით აუცილებელი არ არის მათი საზოგადოებისაგან იზოლაცია, თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად სასჯელის ზომად შეიძლება დაწესდეს ჩარიმა. სასჯელი უნდა იყოს ალტერნატიული და სასჯელიც ალტერნატიულად დაინიშნოს — თავისუფლების აღკვეთა ამა თუ იმ ვადით ან გარკვეული თანხის ჩარიმა. უნდა დადგინდეს ჩარიმის ოდენობაც თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის მიხედვით (ვთქვათ, ერთი წლის თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად 2-3 ათასი მანეთი), ამასთან, თანხის გადახდა პირობითი უნდა იყოს, ვინც თავს აარიდებს ამ თანხის გადახდას, მან უნდა მოიხადოს თავისუფლების აღკვეთა. შესაძლოა და იქნებ უფრო მიზანშეწონილიც, დადგინდეს ჩარიმის ნაწილ-ნაწილ გადახდა, მსჯავრდადებულის შემდგომი მუშაობის პერიოდში, გარკვეული ვადის განმავლობაში.

<sup>8</sup> «Социалистическая законность», 1982, № 2, стр. 63—64.

<sup>9</sup> იხ. „საბჭოთა სამართალი“, 1980, № 6, გვ. 75.

<sup>10</sup> И. В. С. молькова — Штраф как мера наказания по советскому уголовно-му праву, 1979 г., стр. 25.

<sup>11</sup> М. Д. Шаргородский, დასახელებული ნაშრომი, გვ. 95 და სხვ.

<sup>12</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1973, № 6, стр. 11, 15, 1974 г., № 3, стр. 28; «Бюллетень Верховного суда РСФСР», 1976 г., № 3, стр. 4.

**ბ**რძანებები, ასეთი დიდი ოდენობის ჯარიმის შეფარდების დროს სასამართლო უნდა დაეყრდნოს ორ ძირითად საფუძველს: პირველი, თვით დამნაშავეს პიროვნების მონაცემებს, რამდენად შეიძლება მისი გამოსწორება საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე და, მეორე, რა წყარო გააჩნია მსჯავრდადებულს ჯარიმის გადასახდელად. სწორედ ეს წყარო არის საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანი სოციალური თვალსაზრისით. ჯარიმის ოდენობის გაზრდის მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისი სწორედ იმას ემყარება, რომ ნორმალურ პირობებში პატიოსან მოქალაქეს არ შეიძლება ჰქონდეს ამ თანხის გადახდის საშუალება და შესაძლოა ამან პირს სხვა სახელი დანაშაულისაქენ უბიძგოსო.

ჯერ ერთი, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებამ, ხელფასების სისტემატიურმა ზრდამ, საგრძობლად შეცვალა ჩვენი აღმანიების სოციალური მდგომარეობა. დღეს მუშა-მოსამსახურის თუ კოლმეურნის შემოსავალი ის აღარ არის, რაც 15-20 წლის წინათ იყო. ამით აიხსნება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბოლო წლებში მიღებული ბრძანებულებებით ცალკეული სამართალდარღვევებისათვის დააწესა უწინდელზე გაცილებით დიდი ოდენობის ჯარიმები — ისინი ხშირად 500, 1000 და 10 ათას მანეთსაც კი აღწევს. ამიტომ უიში, რომ პირი დაქისრებულ თანხას ვერ გადაიხდის, უსაფუძვლოა.

მეორე, ამას ემატება სხვა გარემოებაც. დამნაშავე პიროვნება მარტო არ არის, მას ჰყავს ოჯახი, ახლობლები, ნათესავები (ამას ადასტურებს ნებისმიერი სასამართლო პროცესი), რომლებიც ყოველთვის აღმოუჩენენ დახმარებას თავის ახლობელს, თუ ხელავენ, რომ ამ უკანასკნელმა შემთხვევით ჩაიდინა დანაშაული. ამასთან დაკავშირებით, სავსებით სწორად მიუთითებდა პროფ. მ. დ. შარგოროდსკი: „დავა იმაზე, რომ დიდი ოდენობის ჯარიმები (100 მანეთი და მეტი) გავლენას ახდენს არა მარტო მსჯავრდადებულის, არამედ ხშირად მოსი ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობაზე, არადაამაჯრებელია, რამდენადაც იგივე პირის მოთავსება თავისუფლების აღკვეთის ადგილას საერთო საფუძველზე უფრო მეტ გავლენას ახდენს მისი ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობაზე, ვიდრე ჯარიმის გადახდა“<sup>13</sup>.

მესამე, რაც მთავარია, საკითხის გადაწყვეტისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ თვითონ დამნაშავე რა წყაროს შესთავაზებს სასამართლოს, რა შეუძლია მას გააკეთოს, რა სპეციალობა აქვს, სახალხო მეურნეობის რომელ მნიშვნელოვან დარგში შეიძლება იმუშაოს. ცნობილია, რომ სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში მუშაკს შეუძლია საკმაოდ დიდი მატერიალური ანაზღაურება მიიღოს. ამიტომ სავსებით შეიძლება ამ პირების იქ გამოყენება. ეს არა მარტო ბევრ პირს ააცილებს მოუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმის გამო საპატიმრო ადგილებში მოხვედრას და ამასთან დაკავშირებულ სხვა ბევრ უბედურებას, არამედ მის ოჯახსაც (და არა მარტო მის ოჯახს) ააცილებს თავიდან იმ ტრაგედიას, რომელიც მანამდე დანაშაულში შეუმჩნეველი პირის დაპატიმრებას მოჰყვება. ამასთან, ეს ხელს შეუწყობს დანაშაულის შემთხვევით ჩამდენი პირების ჩაბმას სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში სამუშაოდ. საბოლოო ანგარიშით ეს სასარგებლოა სოციალური

<sup>13</sup> М. Д. Шаргородский, დასახელებული ნაშრომი, გვ. 96.

და ეკონომიკური თვალსაზრისით საზოგადოებისათვის, მისი თითოეული წევრისათვის და, ცხადია, სახელმწიფოსთვისაც.

ყოველივე ამის საფუძველზე ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჯარიმების გამოყენების მოწესრიგების მიზნით საჭიროა კანონმდებლობაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) გაიზარდოს ადმინისტრაციული ჯარიმების ოდენობა, პირველყოფლისა ქვეითთა მიერ გზებზე მოძრაობის წესების დარღვევისათვის;

ბ) დაწესდეს თავისუფლების აღკვეთის პირობით შეცვლა ჯარიმით და ჯარიმის ოდენობა განისაზღვროს საკმაოდ დიდი თანხით;

გ) საკანონმდებლო წესით იქნეს მოწესრიგებული ჯარიმის გამოყენება მსჯავრდადებული პირების მიმართაც, მათთვის სასჯელის შეცვლით თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილის ადმინისტრაციის წარდგენის საფუძველზე, ცხადია, განსაზღვრული პირობებით;

დ) დადგინდეს ჯარიმის გადახდის უზრუნველყოფის საშუალებები, სახელდობრ, ადმინისტრაციული წესით ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში დაჯარიმებული პირი იძულებითი წესით გაიგზავნოს ამა თუ იმ სამუშაოზე გარკვეული ვადითა და პირობით, ზოლო სისხლის-სამართლის წესით ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მსჯავრდადებულმა მოიხადოს თავისუფლების აღკვეთა.

5. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ პლენუმის სახელმძღვანელო გაზმარტებით სასამართლო ორგანოების მნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნიოს ჯარიმების ფართო გამოყენება, მათ შორის იმ შემთხვევაშიც კი, როცა სანქცია ამას არ ითვალისწინებს.

ამ საკითხების მოწესრიგება საკანონმდებლო წესით და ბრძოლა მისი განხორციელებისათვის ფრთად მნიშვნელოვანი საქმეა.

## საქველასიის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესახებ

**სსსს** ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ცნობილმა დადგენილებამ „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, პარტიულ, საბჭოთა და სამართალდამცავ ორგანოებს სხვა ამოცანებს შორის დაუსახა სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, იმ პირობით, რომელიც მოიცავს და უზრუნველყოფს, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და დანაშაულებრივი გზით ცდილობენ გამდიდრებას.

სპეკულაციის საქმეთა განზოგადების მასალები ცხადყოფს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლით მსჯავრდადებულთა რიცხვი, სამწუხაროდ, არ კლებულობს, მათ შორის საგრძნობია ქალთა და მუშა-მოსამსახურეთა ხვედრითი წილი.

სპეკულაცია, როგორც წესი, სათავეს იღებს მუქთახორობიდან, რაც კარგად ჩანს სასამართლო სტატისტიკის მონაცემებითაც. ამ დანაშაულისათვის გასამართლებულ პირთა უმრავლესობა დანაშაულის ჩადენის მომენტში არ მუშაობს და არ სწავლობს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა ამ დანაშაულის გამომჟღავნება, სპეკულანტთა დროული გასამართლება, დასაბუთებული განაჩენის გამოტანა, სასჯელის ზომის სწორი შეფარდება. განზოგადება გვიჩვენებს, რომ სახალხო სასამართლოები ძირითადად მართებულად წყვეტენ ამ საკითხებს.

სასამართლოს მიერ დადგენილ განაჩენებში დანაშაულის საშიშროებისა და დამნაშავე პირის მონაცემების გათვალისწინებით ვხვდებით სასჯელის თითქმის ყველა სახეობას: თავისუფლების აღკვეთას, გამასწორებელ სამუშაოებს, პირობით სასჯელს, პირობით თავისუფლების აღკვეთას შრომაში სავალდებულო ჩაბმით და სხვა.

სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ სახალხო სასამართლოები ყოველთვის არ იცავენ კანონის იმ მოთხოვნას, რომ სპეკულაციისათვის მსჯავრდადებულ პირს შეეფარდოს სასჯელის დამატებითი ღონისძიება (ქონების კონფისკაცია), ამასთან განაჩენში არ ასაბუთებენ, თუ რით არის გამოწვეული მათი გამოუყენებლობა ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 ივლისის № 4 დადგენილების 25-ე პუნქტით.



ასეთი დარღვევა დაუშვა გლდანის რაიონის სახალხო სასამართლომ შ. ლეკიშვილის საქმის განხილვის დროს, ქ. სოხუმის სახალხო სასამართლომ გ. კასპარიანის საქმის განხილვის დროს და ქ. ბათუმის სახალხო სასამართლომ კ. კილერაძის საქმის განხილვის დროს.

სახალხო სასამართლოები ზოგჯერ გაუმართლებლად უგულებელყოფენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის მოთხოვნას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის ან სხვა ფასეულობათა სახელმწიფო შემოსავალში ჩარიცხვის შესახებ.

ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოს 1981 წლის 3 ივნისის განაჩენით მ. ცერცვაძე ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის მეორე ნაწილით. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მან სასპეკულაციოდ შეიძინა სხვადასხვა დასახელების სამრეწველო საქონელი და მისი რეალიზაციის შედეგად მიიღო 810 მანეთი მოგება. სახალხო სასამართლომ ეს თანხა არ ჩარიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. ანალოგიური დარღვევები დაუშვეს აგრეთვე ქ. რუსთავის სახალხო სასამართლომ ნ. ქვაჭრელიშვილის საქმის განხილვისას და მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ შ. ბაბილოძის საქმის განხილვისას.

სახალხო სასამართლოები ხშირად სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სასპეკულაციო საგნების შეძენის წყაროს დადგენას, ასეთი საგნების ყიდვა-გაყიდვაში დამხმარე პირების გამოვლენას. შესწავლილ საქმეებში ვერ შევხვდით ფაქტს, როდესაც სახალხო სასამართლომ დაადგინა სასპეკულაციო საგნების შეძენის წყარო. ხოლო იმის გამო, რომ სასამართლოები ზოგჯერ საქმეებს ნივთმტკიცების გარეშე იღებენ, განაჩენის დადგენის შემდეგ გაურკვეველია მათი რეალიზაციის ბედი. ყურადღება არ ექცევა აგრეთვე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის სრულყოფილ აღსრულებას, რადგან საქმეთა დიდ ნაწილს თან არ ერთვის დამნაშავე პირის ქონების ან სასპეკულაციო საქონლის კონფისკაციისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

მაგალითად, ასეთი აუცილებელი დოკუმენტები არ ერთვის ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლოში განხილულ ნ. ყალიჩავასა და თ. კუპრეიშვილის საქმეს, სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოში განხილულ გ. ლაგვილავასა და მ. ქობალიას საქმეს, ქობულეთის რაიონის სახალხო სასამართლოში განხილულ მ. კვირიკაშვილის და ნ. ალშანიძის საქმეს.

სპეკულაციის საქმეებს სახალხო სასამართლოები ზოგჯერ განიხილავენ საპროცესო ნორმებით დადგენილი ვადების დარღვევით, რაც, ძირითადად, იმით არის გამოწვეული, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა საქმის განსახილველად მომზადების ორგანიზაციას.

ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ ყ. მჭედლიძის საქმე (საქართველოს სსრ სსკ 165-ე მუხლის მეორე ნაწილი) 1981 წლის 9 აპრილს მიიღო წარმოებაში და მისი განხილვა 20 აპრილისათვის დანიშნა. ამის შემდეგ, ხან დაზარალებულის და ხან მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო საქმე ოთხჯერ გადაიდო და საბოლოოდ განაჩენი გამოტანილ იქნა 5 ივნისს.

ვადის დარღვევით აქვს განხილული აგრეთვე ამ კატეგორიის საქმეები ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს, ავტოსაქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოს ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს და სხვა.

განზოგადების მასალები გვიჩვენებს, რომ სახალხო სასამართლოები სისხ-

ლის სამართლის საქმეთა განხილვისას ყოველთვის არ ავლენენ დანაშაულის ხელშემწყობ მიზეზებსა და გარემოებებს, არ გამოაქვთ კერძო განჩინებანი, მაშინ, როდესაც არის ამის საფუძველი. შესწავლილი 797 საქმიდან კერძო განჩინება გამოტანილია მხოლოდ 127 საქმის გამო. ეს კი არ შეესაბამება ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანებს.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1981 წლის 14 სექტემბრის განაჩენით ნ. მიქაძე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის პირველი ნაწილით, 186-ე მუხლის მეორე ნაწილით და 229-ე მუხლის პირველი ნაწილით. მუშაობდა რა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს ქ. თბილისის მეათე ავტოგასამართი სადგურის მეექვსე ბაქანზე ოპერატორ-გამმართველად, ნ. მიქაძემ ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა, შეღავათიან ფასებში სასპეკულაციოდ შეიძინა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ერთიანი ფონდის ბენზინის ტალონები და მათი რეალიზაციით შემოსული ფულადი თანხა მთლიანად მიითვისა.

სახალხო სასამართლომ არ გამოიტანა კერძო განჩინება ამ საქმის გამო, დაშვებულ დარღვევებზე არ გაამახვილა ქ. თბილისის ავტოგასამართი სადგურის კანტორის აღმინისტრაციის ყურადღება. ეს კი ხელს შეუწყობდა ამ სისტემაში ახლოგეიური დანაშაულის თავიდან აცილებას მომავალში.

სპეკულაციის საქმეთა განხილვას გამსვლელ სხდომებზე და პროცესში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. მაუხედავად ამისა, შესწავლილი 149 საქმიდან მხოლოდ 18 საქმე განიხილეს გამსვლელ სხდომაზე, ხოლო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს შვადი საქმის გამო. საყურადღებოა ისიც, რომ გამსვლელი სხდომები და განხილვაში საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობა ფორმალური ხასიათისაა. ეს იმიტომ ხდება, რომ სახალხო სასამართლოები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან გამსვლელი სხდომების გასამართავად ადგილის შერჩევას. ხშირად პროცესი იქ კი არ იმართება, სადაც მას ნამდვილად აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნებოდა. არამედ თავისუფალ კლუბში ან წითელ კუთხეში. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გამსვლელი სხდომები პროკურორისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლის დაუსწრებლად მიმდინარეობს, რაც კვლავ მათს ფორმალურ ხასიათზე მეტყველებს.

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლომ განიხილა პენსიონერ ნ. ქვაჭრელი-შვილის საქმე, რომელიც ეწეოდა სამრეწველო საქონლის სპეკულაციას ხელობის სახით. სასამართლო პროცესი გაიმართა რუსთავის ვაჭრობის სამმართველოს კლუბში, მაგრამ მასში საზოგადოებრიობის წარმომადგენელი არ მონაწილეობდა.

მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა სიღნაღის რაიონის სოფელ ნუქრიანის მკვიდრის გ. მაზანაშვილის საქმე, რომელმაც 1.280 კილოგრამი მზესუმზირა სასპეკულაციოდ ჩაიტანა გურიაში. პროცესი საქალაქო



საბჭოს კლუბში გაიმართა საზოგადოებრიობის წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე.

ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოში საკოლმეურნეო ბაზრის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ საზოგადოებრივ ბრალმდებლად გამოყოფილი თ. გერგედავა სამსჯავრო სხდომაზე გამოვიდა როგორც საზოგადოებრივი დამცველი და სპეკულაციისათვის სამართალში მიცემულ ნ. ჩიქობავასთვის მოითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

შესწავლილ საქმეთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახალხო სასამართლოები ხშირად უშვებენ შეცდომებს, არღვევენ პროცესუალურ ნორმებს, რაც შემდეგ ზემდგომ ინსტანციებში განაჩენების გაუქმების ან შეცვლის საფუძველი ხდება.

საჩხერის რაიონის სახალხო სასამართლოს 1981 წლის 2 ივლისის განაჩენით ჯ. გაბაძე ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17,165-ე მუხლის მეორე ნაწილით, მას ორი წლის თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, რაც შემდგომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლით ჩაეთვალა პირობით შრომაში სავალდებულო ჩაბმით. ჯ. გაბაძეს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ გადაყიდვისა და გამორჩენის მიღების მიზნით ქ. გორში შეიძინა 1.037 მანეთის 17 გაპქურა, რომლის რეალიზაცია ვერ მოასწრო მისგან დამოუკიდებელი მიზეზებს გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა აღნიშნული განაჩენი, როგორც აშკარად ლმობიერი. ამავე მოტივით გაუქმდა აგრეთვე ქ. ბათუმის სახალხო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ნ. ზებელაშვილს სამი წლის და ექვსი თვის თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა სპეკულაციისათვის. ამ შემთხვევაში ნ. ზებელაშვილმა საპაექულაციოდ 27.439 მანეთის სამრეწველო საქონელი და ოქროს ნივთები შეიძინა.

ზოგჯერ სახალხო სასამართლოს განაჩენი უქმდება მოკვლევის, წინასწარი ან სამსჯავრო გამოძიების ცალმხრივობის, საპროცესო ნორმების დარღვევის, არასწორი კვალიფიკაციის და სხვა მიზეზების გამო.

ქუთაისის ავტოსაქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოს 1981 წლის 6 ივლისის განაჩენით ა. ბაჩილავას ბრალი დაედო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17,165-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა ორი წლის თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ 25 მუხლით ჩაეთვალა პირობით შრომაში სავალდებულო ჩაბმით.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ ეს განაჩენი გააუქმა და საქმე დააბრუნა ხელახალი გამოძიებისათვის, რადგან წინასწარი და სამსჯავრო გამოძიება ცალმხრივად, არასწორად იყო ჩატარებული. სპეკულაციის საქმეები ხელახალი გამოძიებისათვის დაუბრუნდათ აგრეთვე გარდაბნის რაიონს, ქუთაისის ლენინის რაიონს და სხვა.

ეს შეცდომები და ხარვეზები უმთავრესად გამოწვეულია სპეკულაციის საქმეთა განხილვისადმი მოსამართლეთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით, მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის უცოდინარობით, აგრეთვე ქვემდგომი სასამართლოებისადმი ზემდგომი სასამართლო ინსტანციების არასაკმაოდ დახმარებით და საპროკურორო ზედამხედველობის შესუსტებით.

სამართალდამცავი ორგანოების მიერ სპეკულაციასთან ბრძოლის შესუსტებაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ რესპუბლიკის ბევრ რაიონში (ამბროლაური, ადიგენი, ახმეტა, ახალციხე, თიანეთი, ორჯონიკიძე, ონი, წალკა, წულუკიძე და სხვა) ბოლო ორი წლის მანძილზე სპეკულაციის არც ერთი შემთხვევა არ გამოუვლენიათ. ეს კი, რა თქმა უნდა სრულყოფილად ვერ ასახავს საქმის ნამდვილ, ფაქტობრივ მდგომარეობას ამ რაიონებში.

საქმეთა განზოგადების ანალიზი ცხადყოფს, რომ სპეკულაციის გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ნამდვილად არის სავაჭრო ორგანიზაციების და სამრეწველო დაწესებულებების მიუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, გამოშვებული პროდუქციის დაბალი ხარისხი, დეფიციტური საქონლის უმართებულო განაწილება. კარგი იყო, ეს ნაკლოვანებანი სასამართლოთა კერძო განჩინებებში ასახულიყო.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ თავის კოლეგიაზე შეიმუშავა სპეკულაციასთან ბრძოლის კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს სახალხო სასამართლოების ეფექტიანობის ამაღლებას ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ა. ფარულავა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსის მოადგილე.

# აქტიურად პარაზიტობა მუქთახორობასა და პარაზიტობას

**სკკპ** პროგრამაში ნათქვამია: „თითოეული შრომისუნარიანი ადამიანი უნდა მონაწილეობდეს იმ საშუალებათა შექმნაში, რომლებიც საჭიროა მისი ცხოვრებისა და საქმიანობისათვის, საზოგადოებრივ კეთილდღეობისათვის. ადამიანი, რომელიც საზოგადოებისაგან იღებს რაიმე სიკეთეს, ისე, რომ შრომაში არ მონაწილეობს, მუქთახორაა და სხვის ხარჯზე ცხოვრობს“.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მესამე მუხლით „სსრ კავშირის თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმეა კეთილსინდისიერად შრომობდეს საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობის არჩეულ დარგში, იცავდეს შრომის დისციპლინას. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის თავის არიდება შეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოების პრინციპებთან“.

ეს სახელმძღვანელო დებულებები საფუძვლად დაედო კანონმდებლობას, რომელიც აწესრიგებს პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლას. მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლა გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლით. მის მიხედვით „სისტიმატური მაწანწალობა ან მათხოვრობა, აგრეთვე ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხვაგვარი პარაზიტული ცხოვრება“.

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით, ერთ წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც წინათ გასამართლებული იყო ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე“.

**რ**ოგორც ვხედავთ პარაზიტული ცხოვრება კანონმდებლის მიერ გათანაბრებულია მაწანწალობასთან და მათხოვრობასთან. და ეს საფუძვლით გამართლებულია. ყოველმა მუქთახორამ უნდა შეიგნოს, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის არიდება მაწანწალობის და მათხოვრობის ტოლფასია და ის ამ კანონით ისჯება.

რას ნიშნავს ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხვაგვარი პარაზიტული ცხოვრება?

ამ საკითხს სწავლული და პრაქტიკოსი იურისტები სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ, რაც ართულებდა მუქთახორობის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას. პრაქტიკაში წამოჭრილი სიძნელეების გათვალისწინებით სათანადო ცვლილება შეტანილი კანონმდებლობაში და მოცემულია ამ დანაშაულის ერთიანი გაგება.

დადგენილია, რომ სხვაგვარი პარაზიტული ცხოვრება ნიშნავს შრომისუნარიანი სრულწლოვანი პირის მიერ ხანგრძლივი დროის მანძილზე, ესე იგი, სამი თვე ზედიზედ ან წლის განმავლობაში სამი თვე საზოგადოებრივად სასარ-

გებლო შრომისათვის თავის არიდებას. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს ვის კმა-  
ყოფაზე არის ის, შემოსავლის და არსებობის რა წყარო აქვს. ვერძო პირთან და  
ქირავებული მუშაობა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი თავის  
არიდებას წარმოადგენს.

მოქალაქე, რომელიც არღვევს ამ ნორმას, მუქთახორად ითვლება. მას  
იბარებს მილიციის განყოფილება და აფრთხილებს ოფიციალურად, რომ თუ  
ერთი თვის ვადაში ის არ დაიწყებს მუშაობას, მიეცემა სისხლის სამართლის  
პასუხისგებაში. ამასთან მილიციის განყოფილება და აღმასკომის შესაბამისი  
კომისია ლებულობს ზომებს, ვამ პირის სამუშაოზე მოსაწყობად. თუ ოფიცია-  
ლური გაფრთხილებიდან ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ პირი კვლავ აგრ-  
ძელებს პარაზიტულ ცხოვრებას, მის მიმართ აღიძვრება სისხლის სამართლის  
საქმე საქართველოს სსრ სსკო 234-ე მუხლით.

სოფელ კახათის მცხოვრებებს გურამ ეგგენის ძე რატყას მიმართ არ გასჭ-  
რა გაფრთხილებამ და განხორციელებულმა აღმზრდელობებმა დონისძიებებმა.  
მას მრავალგზის განუმარტეს, რომ მისი მუქთახორობა ეფარცხვენს კახათის  
კოლმეურნეობას, რესპუბლიკაში ერთ-ერთ მოწინავე კოლმეურნეობას, სადაც  
კეთილსინდისიერი მშრომელის შემოსავალი უმაღლესი სასწავლებლის პრო-  
ფესორის შემოსავალს უდრის.

ახალსოფლელი თეიმურაზ ვლადიმერის ძე პაჭკორიაც არ დაემორჩილა  
კანონის მოთხოვნას. ამ კოლმეურნეობაში ბევრი შესანიშნავი ახალგაზრდა  
აღიზარდა, მაგრამ პაჭკორიას მიმართ შეგონებამ არ გასჭრა. სასამართლო  
იძულებული იყო ორივე მუქთახორისათვის სასჯელის ზომად პატივრობა  
შეეფარდებინა.

ეს ელის ყველას, ვინც არ შეწყვეტს პარაზიტულ ცხოვრებას.

**მ**უდამ თანადროულად უღერს კონსტანტინე გამსახურდიას რომანის  
„დიდოსტატის მარჯვენის“ გმირის კონსტანტინე არსაკიძის გამოთქმა: „შრო-  
მა უდიდესი სიქველე ამ ქვეყნად და არაფერი ამშვენებს ისე ვაჟაკს, რო-  
გორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე“.

ვინც შრომას გაურბის, ვინც არაფრად აგდებს მოქმედ სამართლებრივ  
ნორმას, მას კანონი მოუჭრის გზას.

შ. სარია,

ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე



# სანოტარო ნარეზის ზოგადი საკითხის გამო

ნოტარიუსი ლათინური სიტყვაა და სიტყვასიტყვით „სწრაფ მწერალს“ ნიშნავს. ნოტარიუსს ჯერ კიდევ ძველი რომის იმპერიაში ვხვდებით, სადაც კვირსხვიადანსხვადგარი აქტების შემდგენელი და დამოწმებელი თანამდებობის პირი იყო.

დღეისათვის ნოტარიუსი აღგენს, ამოწმებს აქტებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო, საოჯახო, საავტორია და სხვა სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებაში, გასცემს სამემკვიდრეო მოწმობას და სხვ.

ნოტარიუსის დამოწმებულ ყველა დოკუმენტს გარკვეული იურიდიული შედეგი მოაქვს ზოლმე, ამიტომ მათი შედგენის, დამოწმების და გაცემის დროს უაღრესად დიდი სიფრთხილე და ზედმიწევნითი სიზუსტე უნდა იქნეს დაცული.

ცნობილია, რომ ზოგჯერ ანდერძი ნაწილობრივ ან მთლიანად ზღუდავს მემკვიდრეთა უფლებებს. ანდერძის დამტოვებლის გარდაცვალების შემდეგ სამემკვიდრეო ქონების მიღებასთან დაკავშირებით წარმოიშობა დავა მემკვიდრეთა შორის ან იმ პირთან, ვისაც მოანდერძემ ქონება დაუტოვა. ამტკიცებენ, რომ ბოლო ანდერძის დატოვებამ დროს მოანდერძე იყო სულით ავადმყოფი, ვერ განაგებდა თავის ქვევას, ჰქონდა სკლეროზი, იყო არაქმედუნარიანი და სხვა. ყოველივე ეს სსსამართლოს და სამედიცინო ექსპერტთა მსჯელობის საგანი ხდება და ზოგჯერ სსსამართლოს წარმოება ამ კატეგორიის საქმეთა გამო თვეობით, ზოგჯერ კი წლობითაც ვერ მთავრდება. ეს იწვევს სამოქალაქო საქმეთა რიცხვის ზრდას, უქმყოფილებს მემკვიდრეთა შორის, ასე იყო მოქ. ა. ქ.-ს მიმართ, რომელმაც ანდერძი გაუფორმა 1961 წლის 5 ივლისს თავის შვილს და ქ.-ს. მამა-შვილს შორის მოხდა უსიამოვნება. მამამ შვილისათვის გაცემული ანდერძი სანოტარო წესით გააქმვა 1975 წლის 12 მარტს. ანდერძის გაუქმებით განაწყენებულმა შვილმა გვარი გამოიცვალა. ამის გამო მამამ 1976 წლის 12 ნოემბერს მთელი ქონება უანდერძა შვილიშვილს. შემდეგში მამამ უჩივლა შვილს და მოითხოვა დაბრუნებული ანდერძის გაუქმება, სსსამართლო პროცესი წლობით გრძელდებოდა.

კალინინის სახელობის რაიონის სსსამართლოში განხილვებოდა თ. ნ.-ს მიერ 1975 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული ანდერძი. შვილზე განაწყენებულმა მამამ ქონების ნახევარი დაუტოვა მეუღლის ძმის შვილს ბ. ა.-ს, ნახევარი ქონება კი დატოვა უგანგარგულბოდ. შვილის მტკიცებით, იმ დროისათვის მოანდერძე შეურაცხადი იყო.

ასეთ დავათა თავიდან აცილებისა და საქმეთა განხილვის დროულად დამთავრებისათვის მიზანშეწონილია შემოღებულ იქნეს ანდერძის გაფორმების შემდეგი წესი: მოანდერძე შემოწმდეს ბოლიკლინიკის მკურნალექიმთან ერთად უსიქიატრის მიერ, თუ რამდენად ნორმალურია მოანდერძე და არის თუ არა ქმედუნარიანი, ასეთი დასკვნის წარდგენის შემდეგ სოტას რიუსს გაუადვილებდა ანდერძის გაფორმება. უფრო მეტიც, საქმეში კომისიის დასკვნა ექსპერტ-ფსიქიატრის ჩარევით ნოტარიუსმა უნდა მოითხოვოს იმ მოანდერძესაგანაც, რომელსაც თავითონ მიდის სანოტარო კანტორაში ანდერძის გასაფორმებლად, თუ ის სამოც წელს აქტიურად გადაცილებული.

მოანდერძის განმრთვლობის შესახებ დასკვნის საბით გაცემული ცნობა ძალაში შეიჭრება იქონ 10 დღის განმავლობაში. თუ ამ დღეში არ იქნა გაფორმებული ანდერძი, ხელახლა უნდა მოხდეს მოანდერძის შემოწმება და დასკვნის გაცემა. ჩვენი აზრით, ასეთი სიზუსტით გაფორმებული ანდერძი, ჩვეულებრივ, აღარ განდება სსსამართლოს მსჯელობის საგანი.

სანოტარო კანტორების მუშაობის მოწესრიგებისათვის და მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით კარგი იქნება, თუ დასკვნების დღეებში დიდი ქალაქების და რესპუბლიკის ცენტრალური I სანოტარო კანტორებში დაწესდება მირიტიკობა.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის უკეთ მომსახურებას, შეამცირებს განუწყვეტელ რიგებს სამშაბათობით და ყველა სამუშაო დღე თანაბრად იქნება დატვირთული.

ნ. შლახაძე,

თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი

# საერთაშორისო ტერიტორიულ-გეოგრაფიული საგარეო პოლიტიკის საბაზისური ასპექტები

ფ. ნათელაშვილი.

ჩვენი საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს დასაბუთების შენელების პროცესი საგრძნობლად შეაფერხა საერთაშორისო ასპარეზზე იმპერიალისტური და ჰეგემონისტური ძალების პროვოკაციულმა მოქმედებამ. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი, რომელიც ცდილობს ხელთ იგდოს მსოფლიო ლიდერობის სადავეები და შეინარჩუნოს თავისი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, ყველაფერს კადრულობს: იჭნება ეს სწრაფი რეაგირების კორპუსის შექმნა თუ ადამიანის უფლებათა დამცველის ყალბი ნიღაბი. პირდაპირი და არაპირდაპირი ჩარევა სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, რათა კიდევ უფრო გაამწვავოს ისედაც დაძაბული საერთაშორისო ვითარება, დაუბრუნოს კაცობრიობას დაგმობილი და უარყოფილი „ცივი ომის“ შავბნელი პერიოდი, უკუღმა დაატრიალოს ისტორიის ჩარხი.

ამერიკის შეერთებული შტატების ყოველი ახალი ადმინისტრაცია უკვე, ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად, თავს ვალდებულია თვლის მემკვიდრეობით მიიღოს წინამორბედთა მილიტარისტული, რეაქციული კურსი საგარეო პოლიტიკაში და ამასთანავე თავისი ვითომდა პოლიტიკური დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად შეიტანოს მასში, გარკვეული სიხალე, განავითაროს იგი უკიდურესი რეაქციული მიმართულებით, სწორედ ამ გეზით წარიმართა რ. რეიგანის ადმინისტრაციის საქმიანობაც, რომლის პროგრამის თანახმადაც კიდევ უფრო დიდდება კოლოსალური სამხედრო ხარჯები, გრძელდება „ნატოს“ სამხედრო აგრესიულ ბლოკში ევროპის სახელმწიფოთა ჩათრევის პროცესი, იჭმნება და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საამებლად წარმოებაში ინერჯება ახალ სახეობათა ბირთვული იარაღი. ზრტუნვა არ აკლდება უბადაღებულ ადამიანის უფლებათა დაცვას მთელ მსოფლიოში. ანტიკომუნისმის არქივიდან ამოქექეს ამჟამად უკვე საყოველთაოდ ცნობილი „საერთაშორისო ტერიტორიების“ პრობლემა, რომელმაც როგორც ნოვლენათა შემდგომი განვითარება ადასტურებს, წამყვანი საგარეო პოლიტიკური როლი უნდა შეასრულოს რეიგანის თეთრ სახლში ყოფნის ოთხი წლის მანძილზე.

რ. რეიგანი და მისი ადმინისტრაციის განცხადებით, „თანამედროვე პირობებში მოვლენა, რომელიც წარმოადგენს მთავარ საფრთხეს და ყველა თავისუფალი ქვეყნის შემფოთების წყაროს, ეს არის საერთაშორისო ტერიტორიები და მასთან დაკავშირებული უკანონო ჩარევა ე. წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომები რომლებსაც თითქოს ეწევიან საბჭოთა კავშირი ან მის მფარველობაში მყოფი ორგანიზაციები და ბირები. „საბჭოთა კავშირი არა მარტო





ყოველნაირად იცავს და აიარაღებს მარიონეტულ მთავრობებსა და ქვეყნებს, სადაც აუფევეს ტერორი და გენოციდი, არამედ წერგავს ყველგან მკაცრ დიქტატორულ რეჟიმებს შემდგომი ექსპანსიის მიზნით“.<sup>1</sup>

ამერიკის პოლიტიკანი თეორეტიკოსები ცდილობენ დაასაბუთონ და თეორიული საფუძველი შეუქმნან კონცეფციას იმის შესახებ, რომ ტერორიზმი კომუნისტური საზოგადოების განუყოფელი თანამგზავრია. ზოგიერთი კიდევ უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, თითქოს „საბჭოთა ტერორიზმის და აქედან გამომდინარე საერთაშორისო ტერორიზმის ფესვები მოემართება 1879 წლიდან როდესაც რუსეთში შეიქმნა ორგანიზაცია „ნაროდნაია ვოლია“.<sup>2</sup>

**მ**არქსიზმი იმთავითვე ურყოფდა ტერორიზმს, როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას. ფართოდ არის ცნობილი ჭაბუკი ლენინის სიტყვები, როდესაც შეიტყო თავისი ძმის სიკვდილით დასჯის ამბავი: „არა, ჩვენ ამ გზით არ წავალთ“. ვ. ი. ლენინი, პარტიის II ყრილობისათვის რეზოლუციის პროექტს რომ ამზადებდა, აღნიშნავდა: „II ყრილობა მტკიცედ უკუაგდებს ტერორს... როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას, რომელიც ანგრევს რევოლუციონერთა კავშირს მოსახლეობის რევოლუციური კლასების მასებთან“.<sup>3</sup>

თანამედროვე ეტაპზე მემარცხენე ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობა ხელს უშლის მასების რევოლუციურ ბრძოლას, ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აძლევს საბაბს, რომ გააძლიეროს რეპრესიები პროგრესული ძალების მიმართ, ხოლო ხშირ შემთხვევაში ჩირქი მოსცხობს საბჭოთა კავშირს და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს.

როდესაც იტალიაში „წითელმა ბრიგადებმა“ მოიტაცეს და მოკლეს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე ალდო მორო, რეაქციული პრესა ალაპარაკდა „მოსკოვის ხელზე, რასაც თან ერთვოდა იტალიის სახელმწიფო მოღვაწეთა ანტისაბჭოთური განცხადებები. მაგრამ ეს ხომ აშკარად სიცრუეა, ცნობილია, რომ ალდო მორო იყო თავისი დროის პროგრესული მოღვაწე, საჭიროდ ცნობდა ქვეყნის მართვაში კომუნისტურ პარტიასთან თანამშრომლობას. 1948 წელს, როდესაც „ნატოს“ აგრესიულ ბლოკში იტალიის შესვლის საკითხი იხილებოდა, ა. მორო მთავრობის სხდომაზე არ გამოცხადდა, ამ დროს მას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა. ეს მას ძვირად დაუჯდა: ა. მორო გამოყვანილი იქნა მთავრობის შემადგენლობიდან.

საერთაშორისო ურთიერთობის ატაბილურობას არანაკლებ საფრთხეს უქმნის სემეარჯვენეთა ტერორისტული საქმიანობა, რაც კიდევ უფრო ძლიერდება იმიტომ, რომ ხშირად მათ ზურგს უკან დგას ბურჟუაზიული სახელმწიფო კაპიტალიზმმა წარმოშვა ფაშიზმი, ეს აშკარად ტერორისტული დიქტატურის ფორმა.

**მ**თანამედროვე იმპერიალისტური სახელმწიფოები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აქტიური ჩარევით ყოველნაირად იცავენ და აიარაღებენ ფაშისტურ რეჟიმებს ჩიღუ-

<sup>1</sup> «Правда» 1 февраля, 1981 г.

<sup>2</sup> Л. Махсудов. Подлинные организаторы «международного терроризма». «Международная жизнь», 1981, № 10, стр. 32.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 588.

ში, პარაგვაიში, ივანტემალაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სალვადორში, ისინი ამერიკული იარაღით უსწორდებიან სხვარიგ მოაზროვნეთ. გრძელდება გამოუცხადებელი ომი თავისუფალი ავღანეთის წინააღმდეგ.

საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევები, ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ ხელისუფალთა უმოქმედობა ტერორისტული აქტების მიმართ, ხშირად წამქეზებლური საქმიანობაც მყარ საძირკველს უქმნის ტერორიზმის აყვავებას და დაკანონებას ამ ქვეყანაში. შეუძლებელს ხდის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ნორმალურ ფუნქციონირებას.

საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე იყო ცდები (ოცინი წლების შუა ხანებში), რათა ტერორიზმი მუშათა მოძრაობის სინონიმად გადაექციათ. მაშინ არსებული „უნიფიკატორული მოძრაობა“ სისხლის სამართლის დარგში აქტიურ საქმიანობას ეწეოდა ამ მიმართულებით: ეწყობოდა საერთაშორისო სიმპოზიუმები, ქვეყნდებოდა სტატიები, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ფ. შისტეები. მას შემდეგ არასოდეს შეწყვეტილა ცდები დაეკავშირებინათ ტერორიზმი მუშათა მოძრაობასთან, მიესადაგებინათ იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის.

**საბჭოთა** იურიდიული მეცნიერება, სამწუხაროდ, არ იჩენდა საჭირო ყურადღებას ამ სერიოზული პრობლემისადმი. ბრალდება, რაც უნდა ცხადი იყოს მისი აბსურდულობა, მაინც მოითხოვს პრინციპულ, მეცნიერულ, კლასობრივ პასუხს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მისი მეგობრებისა და ქომაგების მიმართ ცილისწამებას. დასავლეთის წიგნის თაროებზე ასეთი ლიტერატურა მომრავლდა.

ჩვენში გამოცემულია მხოლოდ და მხოლოდ ე. გ. ლიახოვის ერთადერთი მონოგრაფია, რომელშიც განხილულია სახელმწიფოთა თანამშრომლობის პერსპექტივები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე ი. კარპეცის, ლ. გალენსკაიას, ი. ბლიშჩენკოს, ნ. ყდანოვის სტატიები.

საერთაშორისო ტერორიზმთან სახელმწიფოთა კონვენციური თანამშრომლობის პრაქტიკა, ჩვენი აზრით, შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად. ქვემოთ განვიხილოთ ეს პერიოდები ცალ-ცალკე.

**სიტყვა „ტერორი“** ლათინურად ნაშნავს შიშს, საშინელებას. საერთაშორისო ტერორიზმი, როგორც ცნება, იურიდიულად გაფორმდა 1937 წლის 16 ნოემბერს ენევეაში მიღებულ პირველ საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტში, რომელსაც ეწოდება „კონვენცია ტერორიზმის თავიდან აცილებისა და აღსაფრთხილებლად შესახებ“. მის შემუშავებას ბიძგი მისცა ევროპაში ფაშიზმის გაძლიერებამ. როგორც ცნობილია, 1934 წლის 9 ოქტომბერს მარსელში მოკლეს იტალიის მეფე ალექსანდრე I და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლუი ბარტუ. ამან და სხვა შემთხვევებმა აიძულა ევროპის საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები, გამოენახათ ტერორისტული აქტების წინააღმდეგ ბრძოლის გზები. კონვენციაში განსაზღვრული იყო მიზანი, ეერძოდ კი მისი საერთაშორისო ხასიათი. კონვენცია ტერორიზმს მიიჩნევდა რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებად. მისი არსი და ხასიათი დახასიათებული იყო იურიდიული თვალსაზრისით. კონვენცია, თუმცა ოღარ ზოგიერთ მართებულ სამართლებრივ დებულებას შეიცავდა, მაინც არ იყო უნივერსალური ხასიათისა. ამის თაობაზე სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული. ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ კონვენცია ძალიან ფართოდ განმარტავდა ტერორ-

რიზმის ცნებას. ჩვენი აზრით, მის უნივერსალურ საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტად გადაქცევის ხელი შეუშალა იმ პერიოდში საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობამ და მოახლოებულმა მსოფლიო ომმა. კონვენციისა და ტერორიზმისათვის აღარავის ეცალა. უკანასკნელი როლი როდი შეასრულა აგრეთვე ერთა ლიგის სისუსტემ და მისმა დაბალმა საერთაშორისო ავტორიტეტმა.

ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი ეტაპი იწყება სამოციანი წლებიდან. ამ პერიოდში შეინიშნება ტერორისტული ელემენტების მომძლავრება. 1963 წლის 14 სექტემბერს ტოკიოში ჩელმოწერილ იქნა კონვენცია „სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში სამართალსაწინააღმდეგო ჩარევასთან საბრძოლველად“. ეს დოკუმენტი სრულყოფილია 1970 წლის 16 დეკემბრის ჰააგაში მიღებულ და მონრეალის 1971 წლის 23 სექტემბრის კონვენციებში საპაერო ხომალდის უკანონოდ ხელში ჩაგდებას შესახებ. ამ შეთანხმებებში განმტკიცდა მნიშვნელოვანი დებულებები: დანაშაულისათვის სასჯელის გარდაუვალობა, საქმის გადაცემა სისხლისსამართლებრივი დევნისათვის რამე გამონაკლისის გარეშე. კონვენციების მოქმედება გავრცელდა როგორც სამთავრობო, ასევე კერძო ავიაკომპანიებზე.

ამერიკის კონტინენტზე ტერორიზმის სულ უფრო მზარდ გავრცელებასთან დაკავშირებით 1971 წლის 2 თებერვალს ვაშინგტონში ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრებმა ხელი მოაწერეს კონვენციას „ტერორისტული აქტების თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ“. ამ კონვენციამ შესაძლებლობა მისცა ამერიკის იმპერიალიზმსა და ლათინური ამერიკის დიქტატორულ რეჟიმებს საკმაოდ მარჯვედ გამოეყენებინათ იგი პარტიზანული და განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ლათინურ ამერიკაში.

საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტიანი საერთაშორისო-სამართლებრივი ღონისძიებების გამონახვისა და შემუშავების მესამე ეტაპი იწყება 1972 წლიდან, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ინიციატივით, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნის საფუძველზე, გენერალური ასამბლეის XXVI სესიის დღის წესრიგში განსახილველად შეტანილი იქნა პუნქტი ტერორიზმისა და ძალადობის სხვა ფორმების თავიდან აცილების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლეს ან მათ ძირითად უფლებებს. პროექტი განსახილველად გადაეცა მეექვსე კომიტეტს. კომიტეტის „მეორე შემუშავებული რეზოლუცია დაამტკიცა გენერალურმა ასამბლეამ. შეიქმნა საერთაშორისო ტერორიზმის საკითხთა სპეციალური კომიტეტი.

სესიაზე თავის გამოვლაში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. გლომიკომ აღნიშნა, რომ „საბჭოთა კავშირი ადგას პრინციპულ პოზიციას და გამოხატავს საერთაშორისო ტერორიზმის აქტებს, რომლებიც არღვევენ სახელმწიფოთა და მათი წარმომადგენლების დიპლომატიურ საქმიანობას, სატრანსპორტო კავშირურობას, მათ შორის საერთაშორისო კონტაქტების და შეხვედრების ნორმალურ მსვლელობას ძალადობის აქტების წინააღმდეგ, რომლებიც არ ემსახურება არავითარ დადებით მიზნებს და შედეგად მოჰყვება ადამიანთა მსხვერპლი“.<sup>4</sup>

<sup>4</sup> «Правда», 1972, 27 сентября.

სპეციალური კომიტეტის მიერ გამართულმა სხდომებმა და აზრთა გაზიარებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაზით ცდილობენ ჩირქი მოსცნონ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ისრაელის წარმომადგენლის განცხადების თანახმად. „არაბთა ტერორისტული ჯგუფების უმკაცრესი აქტები, მიუხედავად მათი მეთოდებისა და საქმიანობისა, ითვლება ისეთ აქტებად, რომლებიც წარმოადგენენ დანაშაულს და ექვემდებარებიან დასჯას კანონის მიხედვით“. როგორც ვხედავთ, ისრაელი ცდილობს პალესტინის არაბი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დაუკავშიროს საერთაშორისო ტერორიზმს და ამით თავის აგრესიულ პოლიტიკას შეუქმნას გარკვეული სამართლებრივი საფუძველი.

სწორედ ეს თეორია უდევს საფუძვლად ისრაელის დღევანდელ აგრესიასაც, რომლის მიზანია ფიზიკურად გაყლიტოს ლიბანის ტერიტორიაზე მცხოვრები პალესტინელები. ეს აქტი სახელმწიფო ტერორიზმის ნიმუშია.

ისრაელს და მის დასავლელ მფარველებს ავიწყდებათ, რომ არაბი ხალხის ბრძოლა, ისევე როგორც მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კანონიერება განმტკიცებულია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპით, რომელსაც ერთა თვითგამორკვევის უფლება ეწოდება. იგი დაკანონებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებითაც. ისინი უგულვებელყოფენ ხალხთა უფლებებსა და მისწრაფებებს, ცდილობენ „ტერორიზმის“ გამოკლინებად წარმოსახონ ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა.

უკანასკნელ ხანს გაზიარდა ადამიანების აყვანა მძევლებად სხვადასხვა პოლიტიკური და ანგარებითი მიზნით. ამის წინააღმდეგ ნიუიორკში, 1979 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო კონვენცია, რომლის დაცვასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოთა შორის ნორმალური საერთაშორისო ურთიერთობისათვის.

1977 წლის იანვარში ევროპის 17 სახელმწიფომ ხელი მოაწერა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციას, რომელსაც იმპულსი მისცა ევროპის ქვეყნებში ტერორისტული აქტების სერიამ.

ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იხილება საკითხი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ კონვენციის შემუშავებისა და მიღების შესახებ. ამ პრობლემის გამო საბჭოთა და უცხოელ სწავლულთა შორის დიდია აზრთა სხვადასხვაობა.

ბლიზჩენკოსა და ნ. ჟდანოვის აზრით, „ყველაზე სწორი და რეალური გზა ამ მხრივ ეს არის უარის თქმა საერთო, უნივერსალური კონვენციის შემუშავებაზე, მისი რთული შედგენილობის გამო როგორც სუბიექტის, ისე ობიექტთან დაკავშირებით“.<sup>5</sup> ჩვენი შეხედულებით, ეს მოსაზრება ზედმეტად პესიმისტურ ხასიათს ატარებს. XX საუკუნის მეორე ნახევარში ეკობრიობამ არაერთი უნივერსალური, თავიანთი შედგენილობით უფრო რთული და პოლიტიკური შინაარსის საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების წარმატებით შემუშავებისა და მიღების შემთხვევა იცის. ამ დანაშაულის მიმართ მტკიცე საერთაშორისო

<sup>5</sup> И. П. Блищенко, Н. В. Жданов. Международно-правовая борьба с терроризмом. «Правоведение», 1975, № 1, стр. 61.

სო სახელმწიფოებო საფუძვლის შექმნით დაინტერესებულია მსოფლიოს სახელმწიფოების უმრავლესობა, ვინაიდან ეს პრობლემა პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეხება ან შეიძლება შეეხოს მის ინტერესებს. ამასთანავე პრაქტიკამ დაამტკიცა უნივერსალური საერთაშორისო კონვენციის ეფექტიანობა და სიცოცხლისუნარიანობა. მცდარი იქნება, დავდგომოდით ტერორიზმის თაობაზე კონვენციის ცალკეული სახეების შემუშავებისა და მიღების გზას და ამით კიდევ უფრო გაგვერთულებინა ისედაც გართულებული პრობლემის საერთაშორისო-სამართლებრივი გადაწყვეტის პროცესი.

ერთი რამ ცხადია, მიღებული იქნება უნივერსალური თუ სხვა კონვენცია, აუცილებელია აღიარებულ იქნეს იმ ერთა თვითგამორკვევის უფლება რომლებიც რასისტულ და კოლონიურ ჩაგვრას განიცდიან და ხელმომწერმა სახელმწიფოებმა ვალდებულება იკისრონ ხელი შეუწყონ კონვენციის განხორციელებას.

საერთაშორისო ტერორიზმის ცნების გარკვევა დაგვეხმარება სწორი თეორიულ-მეთოდოლოგიური დასკვნების შემუშავებაში, მას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დანაშაულის ადვილისა და დონის განსაზღვრისათვის, საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედობათა სისტემის დასადგენად. საბჭოთა დოქტრინა საყოველთაოდ აღიარებს მის დაყოფას საერთაშორისო დანაშაულად და საერთაშორისო ხასიათის სხვა დანაშაულად.

არსებობს, საერთაშორისო დანაშაულის სხვადასხვა განმარტება. მას თავის დროზე შეეხნენ საბჭოთა მკვლევარები: მ. ლაზარევი, ლ. მოჯორიანი, დ. ლევინი, ა. ტრანინი და სხვები. მ. ლაზარევი საერთაშორისო დანაშაულს მიაკუთვნებს ქმედობას, „რომელიც ხელყოფს თითოეული ხალხის დამოუკიდებლობას და ხალხთა შორის მშვიდობიან ურთიერთობას“.<sup>6</sup> ა. ტრანინის აზრით, „ეს არის კაცობრიობის საწინააღმდეგო დანაშაული, ხელყოფა ხალხის თანაარსებობასა და პროგრესულ განვითარებაზე“.<sup>7</sup>

ჩვენი აზრით, საერთაშორისო დანაშაული კაცობრიობის მშვიდობიანი, სახელმწიფოებრივი და ბიოლოგიური არსებობის საწყისების ხელყოფაა. იგი გულისხმობს ადამიანთა საწინააღმდეგო აქტებს, რომლებმაც შეიძლება კატასტროფული შედეგები მოუტანოს ცივილიზაციას. ზოგიერთი მათგანი განსაზღვრული და ჩამოყალიბებულია კონვენციით, ზოგიერთი კი შემუშავება-განხილვის პროცესშია. მათ მიეკუთვნება შემდეგი აქციები: აგრესიული ომი, სამხედრო დანაშაულებანი კაცობრიობის წინააღმდეგ, ომში აკრძალული საშუალებებისა და ხერხების გამოყენება, გენოციდი, ეკოციდი, ბიოციდი, აპარტეიდი და სხვ. როგორც ვადავით სწორად მიუთითებს გ. ტუნკინი „საერთაშორისო დანაშაულთა კატეგორიას აქვს ტენდენცია გაფართოებისადმი“<sup>8</sup> არ არის გამორიცხული, რომ მომავალში ასეთ დანაშაულებრივ ქმედობებს დაემატოს სხვა სახეებიც.

უცმეორე ჯგუფს ქმნის საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა სისტემა, რომლებიც ხელყოფენ სახელმწიფოთა შორის ნორმალურ, მშვიდობიან ურთიერთობას, მაგრამ თავისი ხასიათით და ხარისხით არ მიეკუთვნებიან კაცობრი-

<sup>6</sup> М. И. Лазарев, Империалистические военные базы на чужих территориях и международное право, 1966. М., стр. 178.

<sup>7</sup> А. Н. Трайнин. Защита мира и уголовный закон. М., «Наука», 1969, стр. 271.

<sup>8</sup> Г. И. Тункин. Теория международного права. М., 1970, стр. 223.



ობის საწინააღმდეგო დანაშაულთა რიგს. ბუნებრივია, ისმება კითხვა, თუ რომელ ჯგუფს ეკუთვნის საერთაშორისო ტერორიზმი? ა. კარპეცის პოზიცია, მაგალითად, გაურკვეველია. მისი განმარტებით, „საერთაშორისო ტერორიზმი უნდა მივაკუთვნოთ როგორც საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა ჯგუფს, ასევე ვაღიაროთ საერთაშორისო დანაშაულად“.<sup>9</sup> როგორც ვხედავთ, ავტორი საჭიროდ არ ცნობს პირდაპირ გამოთქვას თავისი მოსაზრება და ფაქტობრივად ღიად ტოვებს საკითხს. ჩვენ<sup>10</sup> მიგვაჩნია, რომ ტერორიზმი მაშინ შეიძლება მიეკუთვნოს დანაშაულთა კატეგორიას, როდესაც არის ერთი სახელმწიფოს არაპირდაპირი, ფარული აგრესიის მეორის წინააღმდეგ, რომელიც გამოხატულია საერთაშორისო ტერორიზმის ფორმით, ე. ი. როდესაც ამოქციის ორგანიზატორებად და სუბიექტებად გვევლინებიან სახელმწიფოები.

ი. კარპეცი საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის შემდეგნაირ განსაზღვრებას გვაძლევს: „საერთაშორისო ხასიათის დანაშაული — ეს არის ქმედობა, გათვალისწინებული საერთაშორისო შეთანხმებით (კონვენციებით) რომელიც არ მიეკუთვნება კაცობრიობის საწინააღმდეგო დანაშაულებს, მაგრამ ხელყოფს სახელმწიფოთა შორის ნორმალურ ურთიერთობას“.<sup>10</sup> თუგეს ასეა, მაშინ არც საერთაშორისო ტერორიზმი და არც სხვა დანაშაული, რომლებსაც ჯერჯერობით არ მიუღიათ კონვენციის სახე, არ შეიძლება მივაკუთვნოთ საერთაშორისო დანაშაულთა კატეგორიას. ამრიგად ეს განმარტება მეტის მეტად სადავოა.

**ტერორიზმის** ცნების განმარტების გამო საბჭოთა მეცნიერებს შორის არის აზრთა სხვადასხვაობა, რაც გამოწვეულია ამ დანაშაულის ელემენტთა რთული შედგენილობით. ი. კარპეცი შემდეგნაირ ფორმულას გვთავაზობს: „ტერორიზმი — არის საერთაშორისო ან შიდა სახელმწიფოებრივი, მაგრამ საერთაშორისო ხასიათის მქონე, ორგანიზაციული და სხვა საქმეანობა, რომელიც მიზნად ისახავს სპეციალური ორგანიზაციებისა და ჯგუფების შექმნას მკვლელობის ჩადენის ან მკვლელობის მცდელობისათვის სხეულის დაზიანებას, ადამიანთა გატაცებას გამოსასყიდის მიღებისათვის წამებისა და შანტაჟის გამოყენების გზით. ტერორიზმს შეიძლება თან ახლდეს შენობათა დაზარევა, აგრეთვე საცხოვრებელი და სხვა ობიექტების განადგურება“.<sup>11</sup>

ე. ლიახოვი კი თავის მონოგრაფიაში „სახელმწიფოთა თანამშრომლობის პრობლემები საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში“<sup>12</sup> ტერორიზმის ცნებას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „საერთაშორისო ტერორიზმი ეს არის ძალადობის აქტი (აქტები), გამოხატული ფიზიკური პირის (ან პირთა დანაშაულებრივი ორგანიზაციის) მოქმედებით, საიღუმლოდ ორგანიზებულად ან სახელმწიფოს მოქმედებით უკანონოდ დაშვებული, რომელიც ზიანს აყენებს საერთაშორისო ნორმებით რეგულირებულ საერთაშორისო ურთიერთობას“.

**შეიქრობთ,** რომ არც ერთი ცნება არ გამოხატავს მართებულად ამ პრობლემის საერთაშორისო — სამართლებრივ არსს. თუ კარპეცისეული განსაზღვრება ზედმეტად ზოგადი ხასიათისაა და დაწვრილმანებულობის კლიაზოვისეული ცნება უაღრესად კონკრეტულია, რაც საკითხის არასწორი გაფართოების გამო-

<sup>9</sup> И. Карпец. Преступления международного характера, М., 1980, стр. 87.

<sup>10</sup> И. Карпец. Цит. соч., стр. 48.

<sup>11</sup> И. Карпец, «Преступления международного характера», стр. 98.

<sup>12</sup> Е. Ляхов, Проблемы сотрудничества государств в борьбе с международным терроризмом. М., 1979, стр. 40.

ცანას ემსახურება. არც ერთგან არ არის აღნიშნული ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ტერორიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია მისი ანტიდემოკრატიული, რეაქციული ხასიათი და, აქედან გამომდინარე, გამოტოვებულია პოლიტიკური მომენტის მნიშვნელობა. ამ ასპექტს კი განსაკუთრებით დიდი რეზონანსი აქვს, იმიტომ რომ იმპერიალისტური პროპაგანდა ცდილობს ტერორიზმის იარაღი მიაკრას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

**ყ**ოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ საერთაშორისო ტერორიზმის ცნება: საერთაშორისო ტერორიზმი — ეს არის უკიდურესი მემარჯვენე ან მემარცხენე ძალების ისეთი ძალადობის აქტები, რომლებიც საშიშია საზოგადოებისათვის, მიმართულია საერთაშორისო ელემენტების წინააღმდეგ, რომლის მიზანია სახელმწიფოში თუ საერთაშორისო ასპარეზზე დემოკრატიული ინსტიტუტების მოსპობა და ამის შედეგად სახელმწიფოთა შორის ნორმალური თანამშრომლობისა და საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებისათვის ძირის გამოთხრა, საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავება.

ჩვენ ვერ გავიზარებთ ე. ლიახოვის მსჯელობას, ამ პრობლემების კვლევისას გამოყენებულ იქნეს კიდევ ერთი კრიტერიუმი — „წყაროების კრიტერიუმი, ანუ ტერორიზმის გამომწვევი მიზეზების შესწავლის მეთოდი“.<sup>13</sup> საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების აწავლულმა იურისტებმა საკმაოდ ნათლად უჩვენეს და დააბათეთეს საერთაშორისო სამართალდარღვევის გამომწვევი მიზეზები. ამგვარ დანაშაულს წარმოშობა: იმპერიალიზმი, ფაშიზმი, სიონიზმი და, საბოლოო ანგარიშით, ექსპლუატატორული საზოგადოება.

**რ**ა შეიძლება ითქვას საერთაშორისო ტერორიზმის ობიექტის თაობაზე. აქ, ჩვენი აზრით, დასაშვებია გამოვიყენოთ აისხლის სამართლის კლასიკური დებულება, რომელიც ითვალისწინებს დანაშაულის საერთო, გვარეობით და უშუალო ობიექტებად დაყოფას, ამ დანაშაულია საერთო ობიექტი იქნება სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობა და საერთაშორისო მართლწესრიგი. გვარეობითი ობიექტია დიპლომატიური ურთიერთობა, სახელმწიფოთა შორის, სამთავრობათაშორისო ან არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციათა ნორმალური მუშაობა, სახელმწიფოთა შორის კულტურული. ავავტრო, სპორტული ურთიერთობა, საერთაშორისო ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეთა დელეგაციათა, სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწეთა უშიშროება. უშუალო ობიექტი — ეს არის ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, უცხო სახელმწიფოს და იურიდიული პირების საკუთრება. ამრიგად, მოვლენა, რომელიც გამოხატულებას პოულობს სახელმწიფოთა საერთაშორისო და ეროვნული ტერორიზმის ფორმით, წარმოადგენს საშიშროებას მთელი საერთაშორისო ურთიერთობის სტაბილურობისათვის. მისი ფესვები მომდინარეობს იმპერიალისტური, ფაშისტური, სიონისტური იდეოლოგიიდან და პრაქტიკიდან. იმიტომ საჭიროა მტკიცე საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძველი შეექმნას ამ საშიში დანაშაულის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ერთობლივ ბრძოლას.

<sup>13</sup> Цит. соч., Е. Ляхов, стр. 30.



# რეპოლუციონერთა და კრობრესულ საზოგადო მოღვაწეთა თავდაჯგული ქოქები\*

## 3. მასაშვილი

გრად იგნატიევის მკვლევლობის საქმე განსახილველად მიიღო ქ. ტვერის დროებითმა სამხედრო სასამართლომ. ილინსკის ბრალდება წაუყენეს იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებდა თანამდებობის პირის მკვლელობას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ან ამ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, რისთვისაც კანონი სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა.<sup>6</sup>

ლ. ანდრონიკაშვილი გაბედულად გამოდიოდა ამ ეკალიფიკაციის წინააღმდეგ, იგი ამტკიცებდა, რომ გრაფი იგნატიევი არ მოუტყუავთ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. მკვლელობის დროს იგი იჯდა ბუფეტში და ესაუბრებოდა კერძო პირს.

მკვლელობა არ მომხდარა აგრეთვე არც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. აქ. ლ. ანდრონიკაშვილმა მოიყვანა მარჯვე, მახვილჯონიერი არგუმენტი, რამაც სასამართლო ჩიხში მოაქცია და დამცველს გამარჯვება მოუტანა. თუ სასამართლო იმ აზრს დაადგება, მსჯელობდა ლ. ანდრონიკაშვილი, რომ იგნატიევი მოკლეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, მაშინ სასამართლომ ისიც უნდა ცნოს, რომ შავრაზმელთა მიერ მოწყობილი დარბევები, რევოლუციონერთა მკვლელობანი და სხვა ბოროტებანი, რომლებმაც რევოლუციონერები გრაფ იგნატიევის მოსპობის გადაწყვეტილებამდე მიიყვანა, შედიოდა მისი სამსახურებრივი მოვალეობის სფეროში, ე. ი. ყველაფერ ამას მას მეფის ხელისუფლება ავალებდა. რა თქმა უნდა, სასამართლომ ვერ გაბედა ამ გზით წასვლა. მან ამჯობინა იმის აღიარება, რომ იგნატიევი იმიტომ მოკლეს, რომ, რევოლუციონერების აზრით, გრაფის შეხედულებანი და მათი გავლენა საზოგადოებაზე მავნე იყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ილინსკი გადაურჩა სახრჩობელას, მას შეუნარჩუნდა სიცოცხლე.

პოლიტიკურ საქმეებზე დამცველს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო ბოლომდე

შეესრულებინა თავისი მოვალეობა, თუ თავის ბედზე არ იფიქრებდა. არ შეეშინებოდა სახელი გასტეხოდა მეფის ხელისუფალთა თვალში; უფრო მეტიც, თუ კი ამას საზოგადოებრივი ინტერესი მოითხოვდა, მზად იქნებოდა აშკარად ბრძოლაში გამოეწვია მეფის ხელისუფლება. ლ. ანდრონიკაშვილის გამოსვლა და სასამართლოში მთელი მისი საქმიანობა სწორედ მაღალი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობის ნიმუში გახლდათ.

ლ. ანდრონიკაშვილი იცავდა ლეგენდარულ კრეისერ „ოჩაკოვის“ მეზღვაურთა დიდ ჯგუფს, რომლებიც ლეიტენანტ შმიდტის მეთაურობით იარაღით ხელში აღდგნენ. მათ მძიმე ბრალდება წაუყენეს — შეიარაღებული აჯანყება არსებული წყობილების დამხობის მიზნით. მშობარა მოსამართლეები განსასჯელში მიცემულთა მხრივ რაიმე მოსალოდნელი ექსცეპტისაგან რომ დაეცვათ (მათი რიცხვი 400-მდე იყო), სასამართლოს დარბაზში დადგეს რკინის მსხვილი გისოსები, რომლებიც მოსამართლეებს განსასჯელებისაგან შყოფდა. დამცველებს მოსამართლეთა მხარეს დასხდომა შესთავაზეს. დამცველები ამას არ დასთანხმდნენ იმ მოტივით, რომ ისინი განსასჯელთა გვერდით უნდა ყოფილიყვნენ. და მოითხოვეს, აეღოთ გისოსები, რაზეც სასამართლომ უარი თქვა. მაშინ დამცველებმა განაცხადეს, მეზღვაურებთან ერთად ვიქცნებით „გალიაშიო“. ისინი „გალიაშიო“ შეუშვეს და მეზღვაურებთან ერთად ჩავეტეს, შექმნილი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდა მეზღვაურებსა და მათს დამცველებზე. ამით აღშფოთებულმა ლ. ანდრონიკაშვილმა განსასჯელთა პირველადი გამოკითხვის შემდეგ მოითხოვა სიტყვა, რომელიც ასე დაიწყო: „ბატონო მოსამართლენო, თქვენს თავს შეხედეთ და განსაჯეთ, ვინ არის სამართალში მიცემული. გალიაში ხომ თქვენ სხედხართ?... და აი მე, საგონებელში ვარ ჩავარდნილი, ვინ დავიცავა, თქვენ — თუ ისინი.

6 „ანდრ. ფ.“ II-44; გაზ. „პრაგო“, 1907 წ. 24 ივნ., № 25; სვეტი 1813-1820.





ვინც თავისუფლად არიან და არაფრისა უშინაოთ, არავის ემალებიან? ეს სიტყვა მოყვანილია პოლიტიკური სასამართლო პროცესების ისტორიკში როგორც ვაჟაკობისა და გაბედულების ნიშნად. გამოჩენილი პროცესუალისტი ნ. ნ. პოლიანსკი წერს: „რა ხშირად გაისმოდა სასამართლოს პროცესების ისტორიაში როგორც ვაჟაკობის სიტყვა, ზოგჯერ იმდენადვე გაბედული, როგორც იმათი სიტყვები, ვისაც ისინი იცავდნენ. ასეთი გაბედული სიტყვის მაგალითია ნაფიცო ვექილის ანდრონიკოვის გამოსვლა მეზღვაურთა სამიდან ერთერთი ჯგუფის საქმის გამო, რომელთაც ბრალი ედებოდათ ი კრეისერ „ოჩაკოვზე“ აჯანყებისათვის“.<sup>8</sup>

ანდრონიკაშვილის სიტყვებში იგრძნობოდა არა მარტო უშიშარი შეტევა მეფის მოსამართლეების მისამართით, არამედ ღრმა აზრიც. ამ სიტყვებში თვითმპყრობელობის გონებაშეზღუდულ დამქაშებს, მშიშარა მოსამართლეებს, თავის ტყავს რომ უფრთხილდებოდნენ, უპირისპირდებოდნენ სულით თავისუფალი, გაბედული, თავის სიმართლეში დარწმუნებულ მეზღვაურები. მათი ეს მორალური უპირატესობა იყო საწინდარი იმისა, რომ ისტორიის წინაშე ისინი კი არ ისხდნენ განსასჯელის სკამზე, არამედ — თვითმპყრობელობა, რომელიც სასტიკად უსწორდებოდა მათ.

„ოჩაკოველთა“ პროცესის დროს ყურადსაღებო ინიციდენტი მოხდა. მეზღვაურები საშინლად აღშფოთდნენ, როცა ბრალდების მოწმეთა შორის აღმოჩნდა პროვოკატორი, რომელიც აჯანყებაში მეზღვაურებთან ერთად მონაწილეობდა. აღშფოთებული მეზღვაურები მთელი ძალით არყევდნენ გისოსებს. შეშინებულმა მოსამართლეებმა სხდომათა დარბაზში შემოიყვანა ჯარი, რომელიც მზად იყო ცეცხლი დაეშინა მეზღვაურებისათვის „მხოლოდ დაცვის ჩარევის წყალობით, იგონებს ლ. ანდრონიკაშვილი, იქნა თავიდან აცილებული საშინელი სისხლის დერა“.<sup>9</sup>

ანდრონიკაშვილის საქმიანობა ხელისუფლებას შეუმჩნეველი არ დარჩენია. მეფის საიდუმლო პოლიციის „ფხიზელ თვალს“ არ ეძინა. ლ. ანდრონიკაშვილი პოლიციის

საიდუმლო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა და მას „განსაკუთრებით არასაიმედოთა“ შორის მიიჩნევდა. პირველი სახალხო რევოლუციის დღეებში მის წინააღმდეგ ორი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. 1905 წლის 10 თებერვალს ქ. ბაქოში ნავთობის მრეწველთა ყრილობაზე წარმოქმნილი სიტყვის გამო, რომელშიც იგი თვითმპყრობელობის დამხობისათვის მოუწოდებდა, შემდეგ კი იმის გამო, რომ იგი ეკუთვნოდა იმ „ადვოკატთა კავშირს“, რომელიც შიზნად ისახავდა არსებული წესწყობილებს ძალით დამხობას. დაპატიმრების თავიდან ასაცილებლად ლ. ანდრონიკაშვილი არაღვალურ მდგომარეობაზე გადავიდა და რამდენიმე თვე იმალებოდა ორივე სისხლის სამართლებრივი საქმე შეწყდა 1905 წლის 23 ოქტომბრის ამნისტიით.

ანდრონიკაშვილის საქმიანობა თავის აღრიცხვაზე ჰქონდათ აგრეთვე შავრამულ მონარქიულ ორგანიზაციებს — „რუსი ხალხის კავშირს“, „მთავარანგელოზ მისიელის კავშირს“. ამ ორგანიზაციის წევრები, რომლებიც არბევდნენ და ხოცავდნენ რევოლუციონერებსა და პროგრესულ საზოგადო მოღვაწეებს და სწადიოდნენ სხვა დანაშაულს ხალხის წინააღმდეგ, მეფის ხელისუფლების მფარველობის მიუხედავად, ზოგჯერ მაინც განსასჯელის სკამზე აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. ასეთ შემთხვევაში პოლიტიკური დამცველები ფორმალურად გამოდიოდნენ როგორც სამოქალაქო მოსარჩელები, თავის ძირითად ამოცანად კი თვლიდნენ შავრამელთა „მოღვაწეობის“ საჯარო მხილებას; და მათთან ერთად მეფის ხელისუფლებისა, რომელიც ამ არაზნაულებს ხელს უწყობდა, ასე მოიქცა ლ. ანდრონიკაშვილი, როცა სასამართლოში იცავდა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის, პირველი სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატის მ. გერცენშტეინის ქვრივის ინტერესებს (სამოქალაქო სარჩელი შეადგენდა... 10 მანეთს). ტერორისტული აქტი განხორციელდა ვინეთში, სადაც პროფესორი ოჯახითურთ ისვენებდა. მკვლელობა უკავშირდებოდა პირველ სახელმწიფო სათათბიროში გერცენშტეინის მიერ წარმოქმნილ სიტყვას, რომელშიც იგი მემამულეთა მიწების ექსპრო-

7 Н. Николаев. После восстания (воспоминания матроса), Сб. «Революционное движение в Черноморском флоте». М., 1925, стр. 124.

8 Н. Н. Полянский. Царские военные суды в борьбе с революцией 1905—1907 гг., М., 1958, стр. 231.

9 „ანდრ. ფ.“, დ.—4.

პრიაციასა და მათი გლახებისათვის გადაცემას მოითხოვდა. პროცესში აღმოჩნდა მასალები, რომლებიც გერცენშტეინის მკვლელობაში ამხელდა „რუსი ხალხის კავშირის“ თავმჯდომარეს დუბროვინსა და მის დამქაშებს. ამასთან დაკავშირებით საქმე გადაიდო და ფინეთის სასამართლომ დასვა საკითხი იუსტიციის მინისტრის წინაშე, რათა იძულებით მოეყვანათ სასამართლოში ეჭვმიტანილი დუბროვინი, რაზეც მინისტრმა უარი თქვა. მას არ სურდა სასამართლოსათვის მიეცა საშუალება დაედგინათ, თუ ვინ იყვნენ მკვლელობის ნამდვილი სულისჩამდგმელები. ესენი კი იყვნენ არა მარტო დუბროვინი, არამედ სხვა მაღალი თანამდებობის პირებიც, მთავრობის წევრებიც კი. მაგრამ დუბროვინის გამოუცხადებლობის მიუხედავად, მისი და მისი დამქაშების „მოღვაწეობა“ ლ. ანდრონიკაშვილის დამსახურების შედეგად მაინც ნათელი გახდა საზოგადოებრიობისათვის. ლ. ანდრონიკაშვილმა თავისი სიტყვა წარმართა არა მარტო განსასჯელის სკამზე მსხდომთა წინააღმდეგ, არამედ იმათ წინააღმდეგაც, ვინც ამ ბინძური საქმის ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო. ეს, რა თქმა უნდა, მას არ აპატიეს. როცა ლ. ანდრონიკაშვილი მულნგვორსიდან პეტერბურგში ბრუნდებოდა, მის მანქანას ესროლეს, მაგრამ, საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ დამე მის ბინაში კარები შეამტვრიეს და შეცვივდნენ შავრაზმელები. ლ. ანდრონიკაშვილმა მოახერხა უკანა კარიდან გასვლა და იმავე სახლში მცხოვრებ მეუღლის ნათესავეებთან დამალვა. აი, რა საშიშროებასთან იყო დაკავშირებული იმ პოლიტიკურ დამცველთა საქმიანობა, რომლებიც ბოლომდე ერთგულად ასრულებდნენ თავიანთ საზოგადოებრივ მოვალეობას.

ლ. ანდრონიკაშვილის განსაკუთრებით მაღალმა ზნეობრივმა თვისებებმა, კრისტალურმა სინამდობამ, ყოველი საკითხის განწყვეტის დროს უმნიშველო ეთიკურმა პოზიციამ ისეთი ღრმა კვალი დატოვა, რომ მას ახლაც, რამოდენიმე ათეული წლის შემდეგაც, კვლავ თვლიან პროფესიული სინამდის ეტალონად პრაქტიკული და თეორიული იურისპრუდენციისაგან სრულიად დაშორებულ სფეროებშიც კი.

ცნობილი მუსიკათმცოდნე კ. აჯემოვი აღნიშნავს, რომ, როცა ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე სუსტად მომზადებულები, ზოგჯერ უბრალოდ უმწეო შემსრულებლები უკრავდნენ, წამოიჭრებოდა საკითხი, რომელიც უკვე კონკურსის ეთიკურ მხარეს ეხებოდა. აჯემოვის აზრით, იმის გადასაწყვეტად, მოწაწილეობა მიიღოს თუ არა ამა თუ იმ პიანისტმა კონკურსში, საჭიროა მოძიქვე ის, როგორც ამას შერებოდა წარსულშიც. ანდრონიკაშვილი. „თავის დროზე“ წერს აჯემოვი, გამოჩენილი იურისტი ანდრონიკოვი (ირაკლი ანდრონიკოვის მამა) იმისათვის, რომ სასამართლოში ამა თუ იმ საქმის დაცვას დასთანხმებულყო, წინასწარ სამ, თავისთვის მნიშვნელოვან საკითხს გადაწყვეტდა ხოლმე: „თუ მე დავთანხმდები და ამ საქმეს მოვკიდებ ხელს, რას იტყვის თვით ის, ვინც მე მენდო, რას იტყვიან ამხანაგები, რას მეტყვის ჩემი სინდისი?“ და დაცვაზე თანხმდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამივე შეკითხვაზე იყო პასუხი — „მხოლოდ აუცილებელია“. „ამგვარი ეთიკური მომენტი, — ასკვნის აჯემოვი, — შე ვფიქრობ, დგება ისეთი საპასუხისმგებლო საერთაშორისო შეჯიბრებაში მოწაწილეობისათვის, როგორც არის ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსი. „რას იტყვის კომპოზიტორი, რას იტყვიან ამხანაგები, რას იტყვის სინდისი“.<sup>10</sup>

თებერვლის რევოლუციის მოხდენისთანავე ლ. ანდრონიკაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მთლიანად იცვლება. თვითმყვრობელობის დამხობასთან ერთად წარსულს ჩაბარდა პოლიტიკური სასამართლო პროცესები, სისხლის სამართლის საქმეები კი მას არ აინტერესებდა და, როგორც წესი, ასეთ საქმეებს არ ლეუბლობდა. და თუმცა თებერვლის რევოლუციის შემდეგ იგი კვლავ დარჩა ადვოკატურის რიგებში, ადვოკატურამ მისთვის დაკარგა ძველი მიზნადეველობა. მის წინაშე გადაიშალა ახალი მუშაობის პერსპექტივა. 1917 წლის აპრილში დროებითა მთავრობამ ლ. ანდრონიკაშვილი გამოჩენილ სწავლულ იურისტებთან — ლ. ი. პეტრაჟიციუსთან, კ. კ. არსენიევთან, მ. ა. დიაკონოვთან, ი. ს. ლამბაროვთან და სხვებთან ერთად სენატორად დანიშნა. შემდეგში, 1923 წელს ლ. ანდრონი-

<sup>10</sup> К. А д ж е м о в. Первый этап позади. Международный конкурс им. П. И. Чайковского. «Пресс-бюллетень» № 7... მ. აპრილ-მაისი, 1962, გვ. 2.



კაშვილისათვის სამეცნიერო წოდების მი-  
ნიჭებასთან დაკავშირებით ი. ს. ლამბაროვი  
წერდა: „მე როგორც თვითმხილველმა, შე-  
მიძლია დავადასტურო, რომ მთელი სენატი  
ყველა თავისი დეპარტამენტების საერთო  
კრებებზე განსაკუთრებით უგდებდა ყურს  
ლ. ანდრონიკაშვილის გამოსვლებს და საე-  
რთოდ ეთანხმებოდა მას“.<sup>11</sup>

ლ. ანდრონიკაშვილი შეჰყავთ 1907 წლის  
სისხლის სამართლის სჯულდების გადასა-  
სინჯავ კომისიაში, ამ კომისიაში მუშაობდ-  
ნენ ნ. ტაგანცვეი, ა. კონი, ა. ჟიჟილენკო,  
პ. ლიუბლინსკი და სხვა გამოჩენილი კრი-  
მინალისტები. ლ. ანდრონიკაშვილს დავა-  
ლებული ჰქონდა მოემზადებინა სჯულდე-  
ბის ორი თავი სახელმწიფო დანაშაულთა  
და რელიგიურ დანაშაულთა შესახებ. მაგ-  
რამ ამ კომისიამ დიდხანს ვერ იარსება.

1917 წლის დიდი ოქტომბრის რევოლუ-  
ციამ დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობ-  
რიობის ისტორიაში. გაჩნდა თავისი ბუნე-  
ბითა და ფორმით სოციალისტური საბჭო-  
თა სახელმწიფო, მსოფლიოს სხვა სახელ-  
მწიფოთაგან სრულიად განსხვავებული. იმ  
დროისათვის ინტელიგენციის ერთი ნაწი-  
ლი მტრულად იყო განწყობილი ახალგაზ-  
რდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი და და-  
ადგა მის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის, ან  
ფარული საბოტაჟის გზას. მეორე ნაწილმა  
შეიგნო ოქტომბრის რევოლუციის არსი და  
მნიშვნელობა, გაიგო ის ისტორიული კა-  
ნონზომიერება, რომელმაც წინასწარ გან-  
საზღვრა რუსეთის მისია — გამხდარიყო  
მსოფლიოში პირველი კომუნიზმის მშენე-  
ბელი ქვეყანა. ერთსულოვნება არ სუფევდა  
ყოფილ პოლიტიკურ დამცველთა შორისაც.  
მხოლოდ მისმა უმნიშვნელო ნაწილმა ცნო  
ოქტომბრის რევოლუცია, არ უღალატა  
ხალხს და საბჭოთა ხელისუფლებასთან  
გულწრფელი თანამშრომლობის გზას და-  
ადგა. „...ოქტომბრის რევოლუცია, — წერს  
ყოფილი ნაფიცი ვეჟილი და შემდეგ ცნო-  
ბილი საბჭოთა მეცნიერი ბ. ს. უტევესკი, —  
გამოდგა ის სასინჯი ქვა, რომლის გამო-  
ცდას პოლიტიკურ დამცველთაგან ცოტამ

გაუძლო. მათ ეკუთვნის ლ. ნ. ანდრონიკო-  
ვი“.<sup>12</sup>

დადგა ახალი ხანა ლ. ანდრონიკაშვილი  
ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. ღირსეულ  
შეასრულა რა დამცველის როლი მეფის რე-  
სეთის პოლიტიკურ სასამართლო პროცესებ-  
ში, მან საბოლოოდ დატოვა ადვოკატურა-  
რიგები. ლ. ანდრონიკაშვილის წინაშე გადა-  
შალა სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანო-  
ბისა და ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწი-  
ფოს უზენაეს და სამეურნეო ორგანოებში  
საკონსულტაციო მუშაობის ფართო ასპარე-  
ზი. ეს განაპირობა არა მარტო იმან, რო-  
დ ლ. ანდრონიკაშვილი ღრმად განსწავლული  
იყო სამართლებრივ მეცნიერებებსა და  
ფილოსოფიაში და ჰქონდა შემოქმედებითი  
მეცნიერული აზროვნების უნარი, არამედ  
აგრეთვე სამეცნიერო-პედაგოგიური მუშა-  
ობის გარკვეულმა ჩვევებმაც. 1906 წლი-  
დან 12 წლის მანძილზე ლ. ანდრონიკა-  
შვილს ნაფიც ვეჟილთა საბჭო უცვლელად  
ირჩევდა ახალგაზრდა ადვოკატების „თეო-  
რიული კონფერენციების“ ხელმძღვანე-  
ლად<sup>13</sup>. თითოეული ახალგაზრდა ადვოკატ-  
ვალდებული იყო წაეითხა რამდენიმე მეც-  
ნიერული რეფერატი, ხელმძღვანელს კი  
კონსულტაცია უნდა გაენია მისთვის არჩე-  
ული თემის მიხედვით, შემდეგ კი თანამე-  
დროვე ცოდნის დონეზე მიეცა დასკვნა  
მოსხვენებისათვის. ამ რთული საქმიანო-  
ბის ხელმძღვანელებად ირჩევდნენ ყველაზე  
ნიჭიერ, თეორიულად და პრაქტიკულად  
მომზადებულ, დიდი ავტორიტეტის მქონე  
ნაფიც ვეჟილებს.

ლ. ანდრონიკაშვილმა ახალ ასპარეზზე  
თავისი პირველი ნაბიჯები ტულაში<sup>14</sup> გა-  
დადგა, სადაც იგი 1919—1920 წლებში  
უმაღლეს პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხუ-  
ლობდა ლექციებს ახალ ფილოსოფიაში.  
1920 წელს იგი ოჯახით საცხოვრებლად გა-  
დადის მოსკოვში და სიტყვის სახელმწიფო  
ინსტიტუტში კითხულობს ლექციებს სა-  
სამართლო მჭევრმეტყველებაზე. დაემავე  
დროს მუშაობს სახალხო მეურნეობის უმაღ-  
ლესი საბჭოს სისტემაში იურისკონსულტად.

<sup>11</sup> „ანდრ. ფ.“, დ.-8.

<sup>12</sup> მოგონებანი ლ. ანდრონიკაშვილზე ბ. ს. უტევესკიმ გამოგზავნა ლ. ანდრონიკაშვილის და-  
ბადების 90-ე წლისთავთან დაკავშირებით 1963 წ. 19 თებერვალს.

<sup>13</sup> არის ცნობები იმის შესახებ რომ ვ. ი. ლენინი პეტერბურგში 1893—1895 წლებში  
ნაფიც ვეჟილის თანაშემწედ ყოფნის დროს, მონაწილეობდა ამ კონფერენციებში. იხ.  
Стерник И. Б. Из юридической практики В. И. Ульянова (Ленина) в Петербурге  
«Советское государство и право». 1960. № 4, გვ. 108.

<sup>14</sup> პეტროგრადში სამრეწველო კრიზისის გამოწვევასთან დაკავშირებით ლ. ნ. ანდრო-  
ნიკაშვილი იძულებული გახდა ოჯახითურთ გადასულიყო ტულის გუბერნიაში.



საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დადგა თბილისის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის (ან განყოფილების) დაარსების საკითხი. მაგრამ არ იყვნენ მეცნიერი იურისტები, რომელთაც შეეძლოთ ამ მნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელება. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მიემართა ლ. ანდრონიკაშვილისათვის და შეეთავაზებინა მისთვის საქართველოში გადმოსვლა. იგი უმაღლესი განათლების უნივერსიტეტის მოწვევას და 1921 წლის შემოდგომაზე მთელი ოჯახით სამუდამოდ გადმოდის თბილისში, რათა საფუძველი ჩაუყაროს საქართველოში უმაღლეს იურიდიულ განათლებას.

ლ. ანდრონიკაშვილმა მისთვის ჩვეული ტემპერამენტით მოჰქიდა ხელი ახალ საქმეს. თბილისის უნივერსიტეტის საბჭოში დაავალა მას სათანადო ძალების მოძებნა და ახალგაზრდა სამართალმცოდნე სწავლულთა აღზრდა. პირველ ხანებში საჭირო გახდა ლ. ანდრონიკაშვილს თვითონ წაეკითხა რამდენიმე ძირითადი კურსი — სამართლის თეორია, სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი; ფილოსოფიის ფაკულტეტზე მიჰყავს სემინარი პეგელის შესახებ. ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კითხულობს ადმინისტრაციული სამართლისა და საგაჭრო სამართლის ლექციებს. შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილს, უნივერსიტეტში მიჰყავდა სამოქალაქო სამართლის პროცესის კურსი, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ხელმძღვანელობდა სამოქალაქო სამართლის კათედრას და იყო სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი. გარდა ამისა, მან შექმნა ორიგინალური კურსები — დანაშაულის ფსიქოლოგია, სასამართლო მეტყველების კულტურა, ჩამოყალიბდა მაღალი ტიპის სემინარი სისხლის სამართალში, სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკაში. სემინარის თავისებურება გამოიხატებოდა არა მარტო კონკრეტულ მასალის კომპლექსური განხილვით სისხლისსამართლებრივი პროცესუალური და კრიმინალისტიკური თვალსაზრისით, არამედ იმითაც, რომ სემინარის ხელმძღვანელი ან მისი ასისტენტები ამ მასალის შესწავლისას წამოჭრილ თეორიულ საკითხებზე აკეთებდნენ მოხსენებებს პრობლემების ფართო მეცნიერული ანალიზით. ამგვარად, თვალსაზრისით თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირი, ურთიერთგამდირება.

ლ. ანდრონიკაშვილმა სწრაფად მოიპოვა

ალიარება, როგორც განუმეორებელმა ლექტორმა, რომლის პოპულარობა მხოლოდ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებით არ შემოიფარგლებოდა. მისი ლექციები ყოველთვის ფართო აუდიტორიას, სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებსა და ხშირად უცხო პირებსაც იზიდავდა. ეს ლექციები იყო მეცნიერული აზროვნების ჩამოყალიბების ნამდვილი სკოლა.

ლ. ანდრონიკაშვილს ოსტატურად შეეძლო გამოენახა ამოსავალი დებულებანი, რომელთა საფუძველზე შემდეგ თანდათან არკვევდა შესასწავლი პრობლემის არსსა და მნიშვნელობას, შესასწავლი ინსტიტუტებისა და ცნებების ბუნებას. ზგი მსმენელებს არ უმაღავდა ფიქრების მთელ ლაბორატორიას, ფიქრებისას, რომლებმაც განსაზღვრეს მისი საკუთარი მოსაზრებანი თუ აიძულეს მიმხრობოდა სხვა ავტორთა მიერ გახლართულ ამა თუ იმ თეორიას და ცალკეულ შეხედულებებს. ამის გამო მსმენელს ეძნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს აქ, აუდიტორიაშივე პირველად დამდგარიყოს განსახილველად ეს საკითხები და მათზე ლექტორი უშუალოდ აქვე იძლევა პასუხს. მსჯელობისათვის მეტი სიმწვავე რომ მიეცა და რაც შეიძლება ღრმად მიეპყრო მსმენელთა ყურადღება, ჩაება ისინი თვით კვლევის პროცესში, ლ. ანდრონიკაშვილი ხშირად პოლემიკური პლანიტ გადმოსცემდა რთულ პრობლემას, რომელიც კონტროლერებს იწვევდა. გამოჩენილ სასამართლო მოღვაწეს კარგად ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა და ძალა ჰქონდა პაექრობის საწყისს. იგი მრავალჯერ დარწმუნებული იმავა, რომ ჭეშმარიტებას უკეთ მიაღწევს სხვადასხვა თვალსაზრისის ბრძოლისა და დაპირისპირებისას და ამის გარდა მსჯელობის დროს უფრო ადვილად შეიძლება აღმოაჩინო ნაკლი, თუ განსახილველი საკითხის გარშემო წამოჭრილ მოსაზრებებს თვისებებისა და ანტითვისების სახით დაყოფ ცალკეულ დებულებებად. ამასთან ერთად ამ წესით ან თვითონ ეპაექრებოდა ამა თუ იმ კონცეფციას, ან ამ სახით გადმოსცემდა საწინააღმდეგო თეორიების წარმომადგენელთა ბრძოლას. თან რა წარმტაცად გადმოსცემდა იგი ცნობილ მიუნხენის ორთაბრძოლას კლასიკოს კრიმინალისტ კარლ ბრეჟმაიერისა და სოციოლოგიური სკოლის მამამთავარ ფრანც ლისტს შორის. ამ სახით ჯგუფდებოდა და ერთმანეთს უპირისპირდებოდა არგუმენტები, რომლებიც მოჰყავდა მას სასჯელი-მისაგებელისა თუ სასჯელის, როგორც სოციალური დაცვის ღონისძიების



იდებების სასარგებლოდ. მაგრამ ლ. ანდრონიკაშვილი არ შემოიფარგლებოდა მოდავე სკოლებისა თუ სხვადასხვა თვალსაზრისის დებულებებისა და კონტრდებულებების მიუკერძოებელი გადმოცემით; იგი, აწონ-დაწონიდა რა საპირისპირო მოსაზრებებს, დამოუკიდებელი ანალიზისა და მსჯელობის მეშვეობით ყოველთვის გაარკვევდა ხოლმე დავის საგნისადმი თავის დამოკიდებულებას. ასე აგებული ლექცია აზრის მახვილი დაილექტიკური განვითარებით ყოველთვის აღწევდა სიძლიერესა და დრამატიზმს.

ლ. ანდრონიკაშვილის ლექციებისათვის დამახასიათებელია სხვა თავისებურებაც — სიმსუბუქე, რომელსაც აღწევდა ლექტორი ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ისტორიის, მხატვრული ლიტერატურის, ზოგჯერ კი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებში ექსპურსებით, როცა საჭირო ხდებოდა სამართლებრივი პრობლემის უფრო ღრმა და მრავალმხრივი გაშუქება. მას შეეძლო ერგენობა, თუ რა აუცილებელია ცოდნის სხვადასხვა დარგის ურთიერთკავშირი, — და, კერძოდ, ზოგჯერ რა აუცილებელია, რომ სამართლებრივი ცნებები სხვადასხვა მეცნიერების მიერ გამოტანილ დებულებებს ემყარებოდეს.

დიდი ორატორული ნიჭის მქონე ლ. ანდრონიკაშვილი მსმენელებს იზიდავდა არა ლამაზი სიტყვებითა და პარადოქსული მსჯელობებით ან სხვა იაფფასიანი ეფექტური საშუალებებით, არამედ ურყევ ლოგიკაზე აგებული შემოქმედებითი აზრის სიღრმითა და გულწრფელი მეცნიერული მრწამსით. სწამდა რა გადმოცემული დებულებების ჭეშმარიტება, იგი ცოცხლად გადმოსცემდა თავის თანავგრძნობასა და მოწოდებას; მაგრამ დაუზოგავად ესხმოდა თავს იმ კონცეფციას, რომელსაც მცდარად თვლიდა, განსაკუთრებით, თუ იგი მის ზნეობრივ შეხედულებებს ეწინააღმდეგებოდა.

დიდ ძალასა და ყურადღებას ახმარდა ლ. ანდრონიკაშვილი ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდას. იგი დაულაღავად და გატაცებით მუშაობდა ასპირანტებთან და კარგ შედეგსაც მიაღწია. საკმარისია ითქვას, რომ მისი ყველაზე ახლობელი და საყვარელი მოწაფე თინათინ წერეთელი შემდეგ გახდა თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილი სამართლებრივი პრობლემების შეს-

წავლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უცვლელი ხელმძღვანელი.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღემდე ლ. ანდრონიკაშვილი ინტენსიურ საკონსულტაციო მუშაობას ეწეოდა. იყო ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ უმაღლესი ორგანოების (ამიერკავკასიის ცაკ-ი, ასფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს) იურისკონსულტი. მან მონაწილეობა მიიღო მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტების მომზადებაში, მუშაობდა იურისკონსულტად აგრეთვე ჯერ ასფსრ, შემდეგ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატებში.

1930 წელს საქართველოში ჰარიმანის კონცესიის ლიკვიდაციის გამო ლ. ანდრონიკაშვილი საბჭოთა მთავრობამ წარგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც საერთაშორისო არბიტრაჟში წარმატებით გამოსვლის შემდეგ მიაღწია საბჭოთა სახელმწიფოს პრეტენზიების დაკმაყოფილებას. მრავალმხრივი და ღრმა საერთო განათლებულ ლ. ანდრონიკაშვილს საშუალებას აძლევდა აქტიური მონაწილეობა მიეღო ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. იგი ხშირად გამოდიოდა საჯაროდ ლიტერატურის, ხელოვნების, თეატრის, ფერწერისა და სხვა საკითხებზე.

ბალხისადმი თავდადებული სამსახურის ესტაფეტა ლ. ანდრონიკაშვილმა გადასცა არა მარტო თავის მოწაფეებს, არამედ თავის ორ ვაჟს — ჩვენს ქვეყანაში დიდად პოპულარულ და საყვარელ მწერალს, ლიტერატურათმცოდნესა და განუყოფელი ზეპირი ჟანრის შემქმნელს, ლენინისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი ელვთერ ანდრონიკაშვილს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში ფიზიკის მეცნიერების განვითარებაში.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ამალღებულმა, შემოქმედებითმა, კეთილშობილებითა და ვაჟკაცობით აღსავსე ცხოვრებამ, სიმართლისა და სამართლიანობისათვის შთაგონებულ ბრძოლას რომ შესწირა, ადამიანმა, რომელმაც დასაბამი მისცა ქართველი იურისტების მთელი თაობის აღზრდას, არ შეიძლება აღფრთოვანება და თაყვანისცემის გრძნობა არ გამოიწვიოს.



# დანაშაულის განაოკება და კრიმინოლოგიის პოლონეთში

პროფ. იეჟი იასინსკი,

პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიის განყოფილების გამგე

ტრ.

ცნობილი პოლონელი მეცნიერი იეჟი იასინსკი 1980 წელს ეწვია საბჭოთა კავშირს და ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობდა ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებში. შარშან იგი სტუმრად იყო თბილისში. საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მფლობელობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში ი. იასინსკი შეხვდა ქართველ სწავლულ იურისტებს და ესაუბრა მათ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე.

საქართველოდან წასვლის წინ მან რედაქციას გადმოსცა გამოკვლევა, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, შედარებითი კრიმინოლოგიის თვალსაზრისით არის საინტერესო, თუმცა მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შრომა-გასწორების სამართლის, კრიმინალური სტატისტიკისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესახებ. იგი ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს ნაკლოვანებებზე, რომლებმაც უკანასკნელ წლებში თავი იჩინა პოლონეთის კანონმდებლობასა და იუსტიციის ორგანოთა პრაქტიკაში. სტატიაში გამოყენებულია დანაშაულის განმეორებისა და რეციდივის შესწავლის საინტერესო მეთოდოლოგია, რომლის გათვალისწინება უთუოდ სასარგებლო იქნება საბჭოთა იურისტებისთვისაც. მკითხველს ვთავაზობთ ი. იასინსკის სტატიას.

1. დანაშაულის განმეორებამ კრიმინოლოგთა ყურადღება სხვადასხვა მიზეზის გამო მიიპყრო. ზოგიერთი მოელის რეციდივისტის პიროვნების შესწავლით უპასუხოს კითხვას: რატომ იწყებს კაცი დანაშაულის სისტემატურად ან მრავალჯერ ჩადენას: რა იწვევს იმას, რომ დანაშაულში მონაწილეობა ხდება პიროვნების პროფესიისა?

მონაცემები, რომლებიდანაც მკვლევარებს გამოაქვთ თავისი დასკვნები, ემყარება რეციდივისტთა საქმეების საგულდაგულოდ გაცნობას, აქედან მიღებულ ცნობებს მათი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ, აგრეთვე დაკვირვებებს, რომლებიც წარმოებს საპატიმროში მათი ხანგრძლივი და მის გარეთ მათი ხანმოკლე უოფნის მანძილზე. ამ გამოკვლევებში, ჩვეულებრივ, გამოყენებულია საქმეთა შესწავლის ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური მეთოდები.

სწავლულნი, რომლებსაც დანაშაული აინტერესებთ როგორც მასობრივი მოვლენა, დანაშაულის განმეორებას მრავალი კუთხით უცქერიან. მაგრამ, სხვათაგან ერთად, ისინი იკვლევენ თუ დანაშაულობის მთელი მოცულობის რა ნაწილი მოდის რეციდივისტებზე და როგორია ამ პირობა წილი, რომელთა ცხოვრებაში დანაშაული უმნიშვნელო ეპიზოდია და არ შედის მათი ჩვეულებრივი საქმიანობის რეპერტუარში. მკვლევარებს აინტერესებთ, როგორია თანფარდობა იმათ შორის, ვინც მსჯავრდებულია სხვადასხვა დანაშაულთათვის და ვინც წინათ იყო ან არასოდეს ყოფილა ნასამართლელი. თავის დასკვნებში მეცნიერები ემყარებიან მასალას, რომელიც დანაშაულობის რეალური ფონის საგანგებო გამოკვლევების შედეგად მიიღეს, ან, თუ საქმე ეხება განხილვად დანაშაულსა და მხილებულ დამნაშავეებს — სასამართლო სტატისტიკის მონაცემებს.

უნდა ითქვას, რომ რეციდივი წარმოადგენს დამნაშავეობის, როგორც მასობრივი მოვლენის, ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს. სწორი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ დანაშაულის შესახებ მოცემულ დროსა და ქვეყანაში, აუცილებელია, რომ ზოგი რამ მხინც ვიცო-



დეთ დამნაშავეებზე იმ თვალსაზრისით, დანაშაულს ისინი სჩადიან მუდმივად და სისტემატურად, თუ მათთვის დანაშაული გამოჩაკლისია, რომელიც არ შეესაბამება ამ ხალხის ქცევის ნორმალურ მოდელს. უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ პრობლემა, განვიხილოთ უკიდურესობაშიდგე გავვიადებულები ორი შემთხვევა.

დავუშვათ, არსებობს ორი ქვეყანა, სადაც დანაშაულობის მოცულობა, სტრუქტურა და „წონა“ ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს. ერთ ქვეყანაში დანაშაულს სჩადიან მცირერიცხოვანი, მაგრამ მეტად აქტიური დამნაშავეები (ანუ რეციდივისტები), ხოლო მეორეში — დანაშაული ფართოდ გავრცელებულია და მას ჩვეულებრივ შემთხვევით სჩადიან კანონის მორჩილი მოქალაქენი (ანუ ისინი, ვინც მხოლოდ ერთხელ იყო მსჯავრდადებული).

მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები იგივეობრივია დანაშაულის რაოდენობის და სახეობის მიხედვით, ისინი მაინც წარმოადგენენ სრულიად განსხვავებულ მოვლენას, მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას. მათი თავიდან აცილება და დაძლევა განსხვავებული გზებით უნდა წარმართოს, რადგან საქმე შეეხება სოციალურად და ფსიქოლოგიურად ძალიან განსხვავებულ ხალხს, რომლებსაც სოციალური კიბის სხვადასხვა საფეხური უკავიათ. ასეთი ვითარება შეიძლება არც წარმოიშვას რეალურად. მრავალ ქვეყანაში, მათ შორის პოლონეთშიც, დანაშაულს სჩადიან ორივე კატეგორიის დამნაშავეები. ეს ნათელიყო როგორც ლატენტური დანაშაულობის, ისე მრავალჭერ ნასამართლეთვი სხვადასხვა ჯგუფის რეციდივისტთა გამოკვეთვებმა. ამ მსჯელობის ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დადგინდეს თანაფარდობა დამნაშავეთა იმ ორ ჯგუფს შორის, რომლებსაც ჩვენი გამოკვლევის მიზნებისათვის, პირადად ვუწოდებთ „შემთხვევით“ და „სისტემატურ“ დამნაშავეებს. დამნაშავეთა ამ ჯგუფების შესწავლა უნდა მოხდეს სხვადასხვა ასპექტით: მოცულობისა და ჩადენილი დანაშაულის ხასიათის მიხედვით.

პრობლემა სხვა სახეს იღებს, როდესაც საქმე ეხება გამოვლენილ დანაშაულს. აუცილებელი არ არის, რომ „შემთხვევით“ და „სისტემატური“ დამნაშავეების პროცენტული რაოდენობა გახსნდეს დანაშაულთა შორის შეესაბამებოდეს დამნაშავეების იმ რიცხვს, რომლებსაც რეალურად უდევთ წილი ჩადენილ დანაშაულთა საერთო რაოდენობაში. ეს პროცენტი ბევრად არის დამოკიდებული სავამოძიებო ორგანოების ოპერატიულობაზე. თუ დიდი უფრო ადრე ექცევა მცირემნიშვნელოვან დანაშაულთა გახსნას და მათ ჩამდენ პირთა დასჯას, მაშინ „შემთხვევით“ დამნაშავეთა რიცხვი მსჯავრდადებულ პირთა შორის, ცხადია, მეტი იქნება, ვიდრე მაშინ, როდესაც ყურადღება ძირითადად გამახვილებულია მძიმე დანაშაულობათა ან ისეთ საქმეთა გახსნაზე, რომლებიც სავანებეო პროფესიულ ცოდნას მოითხოვს.

„შემთხვევით“ დამნაშავეთა მხრივ დანაშაულის განმეორება ნაკლებად არის მოსალოდნელი, თუ ისინი გზას არ ასცდნენ იმის გამო, რომ განაჩენია მათ უარყოფითი დადი დასვა, ან თუ მათზე უარყოფითი ზეგავლენა არ მოახდინა სასჯელის აღსრულებამ თუ საპატიმროს გარემოცვამ. თუ ასეთ დამნაშავეთა წილი მსჯავრდადებულთა საერთო რაოდენობაში დიდია და სხვა გარემოებებმაც არ გაართულა საქმე, მაშინ რეციდივისტების დონე შედარებით დაბალი იქნება. საჭიროა, რომ ეს მიდგომა ნათლად იქნეს ნაჩვენები და ხაზგასმული ორი მოსაზრების გამო:

პირველი. წინათ მსჯავრდადებულთა რიცხვი ჩვეულებრივ განიხილება როგორც სოციალიზაციის პროცესის ეფექტიანობისა და სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა შემაკავებელი ზემოქმედების ზოგადი მაჩვენებელი. ასეთი მიდგომა, მშტი რომ არა ვთქვათ, არ არის სანდო მანამდე, ვიდრე დატული არ იქნება მკაცრად განსაზღვრული დამატებითი პირობები. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ წინათ მსჯავრდადებულ დამნაშავეთა რიცხვის შემცირება დამნაშავედ ცნობილ პირთა საერთო რაოდენობაში მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ მოხდება რესოციალიზაციის ღონისძიებათა ინტენსიფიკაციის ამაღლება, რაც ამცირებს რეციდივისტს, ან კიდევ — თუ უფრო ხშირად დასდებენ პარალს ყოფილ „შემთხვევით“ დამნაშავეებს. ბოლო გზა, ცხადია, უფრო იოლია წარმატებისათვის. მეორე მხრივ, რეციდივისტთა პროცენტული რაოდენობის ზრდა შესაძლოა უფრო იმიტომ მოხდეს, რომ იკლო „შემთხვევით“ დამნაშავეთა სამართლის მიცემის ან მსჯავრდადების შემთხვევებმა (მაგალითად, პირადად შეწყდა საქმის შემდგომი წარმოება), ვიდრე იმის გამო, რომ შემცირდა შეფარდებული სასჯელის ეფექტიანობა.

მეორე. წინათ მსჯავრდადებულ პირთა პროცენტული რაოდენობა გულისხმობს ძირითად ინფორმაციას მათი წინანდელი ბრალდების შესახებ. ეს ინფორმაცია ფართოდ გამოიყენება სასამართლო სტატისტიკაში.

ტ ა ბ უ ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი

განაჩენები იმ დამნაშავეთა მიმართ, რომლებიც წინათ არ ყოფილან მსჯავრდადებულნი და იმათ მიმართ, ვინც წინათ მსჯავრდადებული იყო 1955-1978 წლების პერიოდში

წელი	გამოტანილი განაჩენთა საერთო რაოდენობა	იმ დამნაშავეთა მიმართ გამოტანილი განაჩენები, რომელთა სარეგისტრაციო ბარათი უნდა აუქმებულიყო	100	წინათ მსჯავრდადებულ დამნაშავეთა მიმართ გამოტანილი განაჩენები %
1955	207 146	170 465	100	33 259 19.5
1956	135 743	114 017	100	27 244 23.6
1957	176 697	150 303	100	28 833 19.2
1958	257 004	223 635	100	38 072 17.0
1959	280 761	250 193	100	45 159 18.0
1960	301 927	275 135	100	55 073 20.0
1961	328 490	302 045	100	70 685 23.4
1962	298 090	276 628	100	73 375 26.5
1963	271 545	253 100	100	71 320 28.2
1964	191 933	182 474	100	57 144 31.3
1965	222 323	207 976	100	56 024 26.2
1966	264 377	248 447	100	64 392 25.9
1967	245 932	231 786	100	66 369 28.3
1968	232 466	220 520	100	66 459 30.1
1969	157 807	150 668	100	47 583 31.6
1970	172 753	166 449	100	49 723 29.9
1971	204 318	197 334	100	61 685 31.3
1972	177 378	169 321	100	57 805 34.1
1973	159 125	152 176	100	52 399 34.4
1974	152 354	147 469	100	49 904 33.8
1975	167 134	161 286	100	56 178 34.8
1976	164 212	159 363	100	55 943 35.1
1977	140 692	137 847	100	49 017 35.6
1978	160 803	157 463	100	57 497 36.5

2. დანაშაულის განმეორების შესახებ ძირითადი ინფორმაცია, რომელსაც სასამართლო სტატისტიკა შეიცავს, პოლონეთში, ისევე როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში. ეს არის წინათ მსჯავრდადებულ პირთა პროცენტული რაოდენობა, იგი ასახავს ასეთ პირთა მიმართ გამოტანილი განაჩენების წილს განაჩენთა საერთო რიცხვში ერთი წლის განმავლობაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი ცნობები საკმარისი არ არის. პირველი ტაბულა გვიქმნის ერთგვარ წარმოდგენას ამ პროცენტებზე. მათი აღწერიდან ადვილად შეიმჩნევა, რომ ისინი მეტად მცირე ინფორმაციას შეიცავენ. სასამართლო სტატისტიკის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ პროცენტული რაოდენობა აქ გამოიყენება მსჯავრდადებულ პირთა განაჩენების ოდენობის შეფარდებით იმ კონტინგენტთან, რომელიც განაჩენთა მთლიან ოდენობას შეადგენს ერთი გარკვეული წლის განმავლობაში.

ამ საკითხის სწორი გადაწყვეტა მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრება, ვინ განეუთვნება ძირითად კონტინგენტს, (ე. ი. ვის შეეხება განაჩენთა მთლიანი ოდენობა მოცემული კალენდარული წლის განმავლობაში). ხოლო შემდგომ კი დადგინდება, რამდენ მსჯავრდადებულს კვლავ დაედო მსჯავრი ამ საერთო ოდენობიდან მომდევნო ვთქვათ, სამ-ოთხ წელიწადში.

დავუბრუნდეთ ახლა პირველი ტაბულის მონაცემებს. ორი რამ იმთავითვე შეინიშნება. წინათ მსჯავრდადებულ პირთა მაჩვენებლები, გარკვეული ზომით, შეესაბამება მსჯავრდადების საერთო ტენდენციას. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ პირთა საერთო რაოდენობის ზრდის წლებში წინათ მსჯავრდადებულთა რიცხვიც იზრდებოდა. ეს შეიმჩნევა მსჯავრდადებულთა რაოდენობის კლების შემთხვევაშიც. გარდა ამისა, წინანდელ მსჯავრდადებულთა წილი გასამართლებულთა საერთო რაოდენობაში განუწყვეტლივ იზრდება. ამ ფაქტს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ იგი პოლონეთში გამოიყენება როგორც განმეორებითი დანაშაულობის ზრდის დამადასტურებელი საბუთი. მაგრამ ეს თვალსაზრისი სანდო არ არის. ვინაიდან მსჯავრდადებულ პირთა რაოდენობის ამ ზრდას თან ახლდა დანაშაულის რეგისტრაციის გა-





უმჯობესება, დახვეწა და დაზუსტება. მეორე არგუმენტი კი ის არის, რომ ყოველ მომღვეწო წელს, როდესაც მსჯავრდადებულთა საერთო რიცხვი კლებულობდა, წინათ მსჯავრდადებულთა ოდენობაც შემცირდა. მხედველობაშია მისაღება ზედიზედ ამნისტიის რამდენიმე კანონის გამოცემაც. ამნისტიის გამოსვლის თითოეულ წელს (1956, 1964 და 1969) აღინიშნა განმეორებითი დანაშაულობის ზრდა, რაც აშკარად იმის შედეგია, რომ რეციდივისტთა ზოგიერთი კატეგორიისათვის ამნისტია უშედეგო გამოდგა. ამნისტიის მომღვეწო წლებში განმეორებითი დანაშაულობის დონე მნიშვნელოვნად დაეცა.

სხვა ვითარება შეიქმნა 1974 და 1977 წლების ამნისტიის შემდეგ. განმეორებითი დანაშაულობის დონე ამჯერადაც ისევე მცირდებოდა, როგორც იმ წლებში, როცა ეს ამნისტიები გამოიცა და მოქმედებდა, ან საერთოდ არ არსებობდა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამნისტიის ბოლო კანონები განსხვავდებოდა წინამორბედებისაგან. ისინი მოცემული კატეგორიის ყველა იმ დანაშაულთა დაუქსადლობას კი არ ითვალისწინებდნენ, რომლებიც ბარბაქაძე მამდამე იუო ჩაღვინილი, არამედ მხოლოდ ისეთებს, რომლებიც ცნობილი გახდა კოლიციონისტების დათქმულ თარიღამდე, აი, რატომ მოხდა, რომ 1974 და 1977 წლების კანონებმა ამნისტიის შესახებ ვერ მოახდინა ზეგავლენა, შესაბამისად, 1975 და 1977 წლებში მსჯავრდადებულთა ოდენობაც.

სხლა მოკლედ შევაჯამოთ ჩვენი დასკვნები. წარსულში მსჯავრდადებულ პირთა ხვედრითი წილის ზრდა პოლინეთში 1955-დან 1978 წლამდე მოასწავებს გადახრას დანაშაულობას სტრუქტურაში „სისტემატურ“ დამნაშავეთა ოდენობის ზრდის მიმართულებით. მაშ რითდა უნდა აიხსნას არასახარბიელო ცვლილებანი დანაშაულის სტატისტიკურ მაჩვენებლებში? იმით, რომ უფრო სრულყოფილია დანაშაულის რეგისტრაცია, აგრეთვე იმით, რომ ბოლო რამდენიმე წელია მიღებულია ზომები, რათა სასამართლომდე არ მიაღწიოს საქმეებმა ნაკლებად სერიოზული დანაშაულის ჩამდენი პირებისა, რომელთა შორის „შემთხვევით“ დამნაშავეთა წილი უთქლოდ მეტად დიდია.

3. შემდეგი საკითხი, რომელიც აქ უნდა განვიხილოთ, შეეხება წარსულში მსჯავრდადებულ დამნაშავეთა მიმართ გამოტანილი განაჩენების სიმრავლეს (იხ. ტაბულა მეორე).

ტაბულა მეორე

წინათ მსჯავრდადებულთა მიმართ გამოტანილი განაჩენები და მსჯავრდებათა რაოდენობა ზოგიერთი წლების მიხედვით 1955-1978 წლების პერიოდში.

უწინდელ მსჯავრდადებათა ოდენობა	წ ე ლ ი					
	1955	1965	1975	1976	1977	1978
მთლიანად	35 604	56 024	56 178	55 943	49 017	57 497
1	20 924	20 947	28 650	28 073	23 920	27 976
2	6 989	13 179	11 789	11 840	10 471	12 451
3	3 399	7 793	6 303	6 294	5 704	6 726
4	1 701	4 582	3 595	3 630	3 316	3 928
5		2 885	2 060	2 187	2 002	2 292
6		1 976	1 356	1 393	1 271	1 449
7		1 379	819	879	799	915
8	2 591	907	522	580	516	619
9		2 376	332	355	336	371
10 და მეტი			752	712	682	766

მეორე ტაბულაში წარმოდგენილი მაჩვენებლები მიუთითებს, რომ რამდენადაც საქმე ეხება მსჯავრდადებულთა სიმრავლეს, მდგომარეობა პოლინეთში ერთბაშად სტაბილურია. წინათ მსჯავრდადებული ყოველი ორი პირიდან ერთს ოფიციალური რეგისტრაციით აქვს ერთი ნასამართლობის ბარათი, ხოლო ხუთიდან ერთი დამნაშავე უწინ ორჯერ იყო მსჯავრდადებული. წინათ გასამართლებული ყოველი ექვსი პირიდან ერთს აღმოაჩნდა სულ ცოტა ხუთი ნასამართლობა. შედარებით მეტია წინა მსჯავრდადებული ისეთი პირები, რომლებსაც, უპირატესად, 1965 წელს გამოუტანეს მსჯავრი, ნაწილობრივ ეს იმით აიხსნება, რომ 1965 წელი იყო ამნისტიის მომღვეწო წელი.

მეორე ტაბულა სხვა უფრო ზოგად მოსაზრებებსაც აღძრავს, რომლებიც შეეხება წინათ მსჯავრდებულ დამნაშავეთა სხვადასხვა ჯგუფს. გავყვეთ მსჯელობას ამ მიმართულებით. ამოსავალ პუნქტად აქ ავიღოთ მსჯავრდებულთა სიმრავლის აღმნიშვნელი მაჩვენებლები, რომლებიც მოიცავს პირველ ექვს წელს პოლონეთის ხისხლის საპარტის კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ (1970-1975 წ. წ.) ამ ხნის განმავლობაში სულ ცოტა ორჯერ მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა (რაც უფროს მათ მიმართ გამოტანილ განაჩენთა რაოდენობას) დაუფიქროსა ქვეჯგუფებად, რომლებსაც შეადგენენ 2-ჯერ, 3-ჯერ... და 11-ჯერ ნასამართლევი პირები (იხ. მე-სამე ტაბულა).

ტაბულა მე-სამე

1970-1975 წლების პერიოდში მსჯავრდებულ პირთა საერთო რაოდენობა

სქესი	მსჯავრდებულნი	რაოდენობა	ახალი მსჯავრდებულნი ალბათობითი თანაფარდობა							
			1-ჯერ	2-ჯერ	3-ჯერ	4-ჯერ	5-ჯერ	6-ჯერ	7-ჯერ	
მთლიანად	2-ჯერ	175223	1.000	1.000	—	—	—	—	—	—
	3-ჯერ	68837	0.893	0.393	1.000	—	—	—	—	—
	4-ჯერ	33585	0.192	—	0.488	—	—	—	—	—
	5-ჯერ	18208	0.104	—	—	0.542	1.000	—	—	—
	6-ჯერ	10939	0.062	—	—	—	0.601	1.000	—	—
	7-ჯერ	6983	0.040	—	—	—	—	0.638	—	—
	8-ჯერ	4473	0.026	—	—	—	—	—	0.641	1.000
	9-ჯერ	3009	0.017	—	—	—	—	—	—	0.672
	მამაკაცები	2-ჯერ	164137	1.000	1.000	—	—	—	—	—
3-ჯერ		65514	0.359	0.393	1.000	—	—	—	—	—
4-ჯერ		32198	0.196	—	0.491	1.000	—	—	—	—
5-ჯერ		17454	0.106	—	—	0.542	1.000	—	—	—
6-ჯერ		10501	0.064	—	—	—	0.602	1.000	—	—
7-ჯერ		6677	0.041	—	—	—	—	0.636	1.000	1.000
8-ჯერ		4276	0.026	—	—	—	—	—	0.640	1.000
9-ჯერ		2877	0.018	—	—	—	—	—	—	0.673
ქალები		2-ჯერ	11086	1.000	1.000	—	—	—	—	—
	3-ჯერ	3323	0.300	0.300	1.000	—	—	—	—	—
	4-ჯერ	1387	0.125	—	0.417	—	—	—	—	—
	5-ჯერ	754	0.068	—	—	0.44	1.000	—	—	—
	6-ჯერ	438	0.040	—	—	—	0.581	1.000	—	—
	7-ჯერ	305	0.028	—	—	—	—	0.699	—	—
	8-ჯერ	197	0.018	—	—	—	—	—	0.644	1.000
	9-ჯერ	132	0.012	—	—	—	—	—	—	0.670

ახეი მიდგომა არ არის საცხებით ზუსტი. ცნობილია, რომ ყველა განაჩენი არ აისახება დანაშაულის რეგისტრაციაში. ან, კიდევაც რომ აისახოს, დიდი ხნის განმავლობაში იქ არ შეინახება. განსაკუთრებით ეს ხდება ვადამდე გათავისუფლების შესახებ ინფორმაციის მიღების დროს. უმეტესწილად 2-მ წელიწადში ისინი უქმდება, განაჩენების დიდ რაოდენობას რეგისტრაციდან იღებენ იმის გამო, რომ ისინი ამნისტიის ძალით გაუქმდა. მიუხედავად ამისა, საცხებით შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე პირი რამდენჯერმე მოხვდეს სასამართლოსტატისტიკის მონაცემებში, როგორც, მაგალითად, ორჯერ ნასამართლევი: ჯერ როგორც მეორედ ნასამართლევი და შემდგომ... კვლავ როგორც მეორედ ნასამართლევი; ეს მაშინ, როდესაც სინამდვილეში იგი სამჯერ იყო ნასამართლევი. მაგრამ ინფორმაცია ერთ-ერთი ნასამართლობის შესახებ ამოღებულ იქნა კარტოთეკიდან. თუ ჩავთვლით, რომ ეს ვითარება თანაბრად შეეხება მსჯავრდებულების ყველა შემთხვევას, გასაგები გახდება, რომ იგი უფარესად მნიშვნელოვანია იმ დაცვებისათვის, რომლებიც შეიძლება გამოგვეტანა შემოთ წარმოდგენილი ფაქტებიდან.

როდესაც მესამე ტაბულის ციფრებს ვეცნობით, ადვილად შეინიშნება, რომ მათი შეჯამება შეუძლებელია. სხვანაირად რომ ვთქვათ, მათი შეჯამებით ვერ მიიღება იმ დამნაშავეთა რაოდენობა, რომლებსაც 2-დან 9-მდე ნასამართლობა ჰქონდათ 1970-1975 წლებში. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ ხნის განმავლობაში, მაგალითად, სუთჯერ გასამართლებულ დამნაშავეთა რაოდენობა...



რის ბევრია ისეთი. (უმრავლესობაც კი), რომლებიც იმავე პერიოდში დამნაშავედ ცნეს მეოთხედ, მესამედ და, შესაძლოა, მეორედაც. ეს არ შეეხება განსახილველი კატეგორიის ყველა დამნაშავეს, რადგან მეხუთედ მსჯავრდადებული ზოგიერთი დამნაშავე წინათ 1970 წლამდე იყო გასამართლებული. ამის შედეგად მესამე ტაბულის ურთიერთმომდევნო ხაზები ნაწილობრივ ფარავს ანუ მოიცავს ერთმანეთს; სხვანაირად, ზოგიერთი მათგანი დამნაშავეთა ერთსა და იმავე კონტინენტს შეეხება, ზოგი კიღევ — სხვადასხვას.

**ს**ხლა შევუდგეთ მესამე ტაბულაში წარმოდგენილი ციფრების ინტერპრეტაციას.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, რომელიც ოცდაათ წელზე მეტს მოიცავს, მსჯავრი დაედო დამნაშავეთა გარკვეულ (შუსტად დაუდგენელ) რაოდენობას. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ერთხელ ცნეს დამნაშავედ, დანარჩენი კი (გაცილებით მცირე ჯგუფი) — მრავალჯერ. ამ უკანასკნელთ, ცხადია, ორჯერ მინც დაედო მსჯავრი, მაგრამ ზოგიერთი მათგანი სამჯერ იყო მსჯავრდადებული. გარკვეული ნაწილი მეორეხარისხის იყო მსჯავრდადებული და ა. შ. ზუსტი მონაცემები არ მოიპოვება, მაგრამ მათი ცოდნა არც არის აუცილებელი ამისათვის, რომ ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ მსჯავრდადებულთა სიმრავლეზე. საკმარისია ამ შემთხვევაში იმ თანაფარდობის ცოდნა, რომელიც ტაბულა მესამედან გამოიყვანება სპეციფიკური გზით. იგი ისე უნდა განვიხილოთ, თითქოს მიღებული იყოს სხვადასხვა კონტინენტის წინათ მსჯავრდადებულ დამნაშავეთა ნებისმიერად შერჩეული  $n$  პროცენტიდან ( $n$  ერთნაირი უნდა იყოს ყოველი კონტინენტისათვის), ანუ მამაკაცებიდან და ქალებიდან, რომლებსაც 2-ჯერ, 3-ჯერ, 4-ჯერ... ან 9-ჯერ დაედო მსჯავრი. თითოეული წილი ნიშნულად შერჩეული კონტინენტიდან იმან წარმოშვა, რომ მსჯავრდადებულნი აღმოჩნდნენ სხვადასხვა ჯგუფის დამნაშავეები და განსახილველად აღებული პერიოდი განისაზღვრა 1970-1975 წლებით.

$n$ -ჯერ ნასამართლეთი (ანუ  $n$  ხარისხის) დამნაშავეთა წილი ნაჩვენებია მესამე ტაბულის მარჯვენა მხარეს. აქ მოყვანილი ციფრები გამოხატავს  $n$  ხარისხის რეციდივისტად გახდომის მიახლოებით ალბათობას. თუ იმ ვარაუდიდან გამოვალოთ, რომ დამნაშავე  $n$ -ჯერ იყო მსჯავრდადებული, შავალითად, ორჯერ მსჯავრდადებული მამაკაცისათვის მესამედ მსჯავრდების ალბათობა უდრის 0,399-ს, მაშინ როდესაც შესაბამისი მაჩვენებელი ქალისათვის უფრო ნაკლები იყო, კერძოდ — 0,800. რეციდივის ალბათობა ორჯერ ან სამჯერ მსჯავრდადებულ მამაკაცთა მხრივ უფრო დიდი აღმოჩნდა; ვიდრე ამავე კატეგორიის ქალებისა. მაგრამ განსხვავება უმნიშვნელოა, როდესაც რეციდივის ხარისხი აღწევს 4-ს ან აღემატება მას. საერთოდ კი წინამდებარე გამოკვლევამ ერთხელ კიდევ დაადასტურა მრავალ კრიმინოლოგიურ გამოკვლევაში დადგენილი კანონზომიერება, რომ ყოველი შემდგომი ნასამართლობის ალბათობა იზრდება წარსულში ნასამართლობათა რიცხვის ზრდის კვალობაზე.

ახალი მსჯავრდადების მაღალი ალბათობა იმ პირთა მიმართ, რომლებიც მრავალჯერ იყვნენ მსჯავრდადებულნი ( $> 0,866$ ), ცხადია, მცირე რაოდენობის კონტინენტს შეეხება. ეს ადვილი შესამჩნევია მესამე ტაბულაში მოყვანილი აბსოლუტური ციფრებისა და იმ პირთა სვედრითი წილის მიხედვით, რომლებიც ორჯერ ან მეტჯერ იყვნენ გასამართლებულნი. მაგალითად, ისეთი კაციც კი, რომელიც ორჯერ იყო მსჯავრდადებული, მესამედ უნდა გასამართლებულიყო ალბათობის ხარისხით, რომელიც უდრის 0,899-ს, ხოლო მეოთხედ კი — 0,192 ალბათობით, რაც მესამედ მსჯავრდადების ალბათობის ნახევარს თუ შეადგენს მხოლოდ. მეცხრედ მსჯავრდადების ალბათობა უმნიშვნელოა — 0,017. ამგვარად, მოსალოდნელი იყო, რომ დაახლოებით ორჯერ მსჯავრდადებულ მამაკაცების ნახევარს მესამედაც დაედებოდა მსჯავრი, მაშინ როდესაც ყოველი 1 მამაკაცი 10-დან 5-ჯერ ცნეს დამნაშავედ, ხოლო ყოველი 1 მამაკაცი 50-დან — 10-ჯერ.

იმ ფაქტმა, რომ წინათ მსჯავრდადებულ დამნაშავეებს კვლავ დაედო მსჯავრი, არ უნდა დაგვაიწყოს, რომ მათი უმრავლესობა არ ხდება მრავალჯერადი რეციდივისტი. აქ წარმოდგენილი მიდგომა დანაშაულის განმეორებისადმი იმაზე მიგვანიშნებს, რომ პერსპექტივაში ამ მოვლენის სრული მოცულობით განჭვრეტა, ეტყობა, შეუძლებელია.

**4.** დანაშაულის განმეორების სიხშირე ცვალებადია. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ განმეორება ქალკში უფრო ხშირია, ვიდრე სოფლად. მამაკაცებში მეტი, ვიდრე ქალებში, 80-დან 45 წლამდე ასაკის ადამიანებში უფრო მაღალი. განმეორების სიხშირე ცვალებადია აგრეთვე დანაშაულის სახეობათა მიხედვით. იგი შეიძლება სხვადასხვა თვალსაზრისით იქნეს შესწავლილი და სხვადასხვა მაჩვენებლით გაიზომოს. ზოგიერთი ეს მაჩვენებელი, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ მივიღეთ, მეოთხე ტაბულაშია წარმოდგენილი.

ტაბულა მეოთხე

წინათ მსჯავრდადებული მამაკაცებისა და ქალების მიმართ გამოტანილი განაჩენები ზოგიერთი წლების მიხედვით 1960-1978 წლების პერიოდში

წლები	სქესი	გამოტანილი განაჩენები	მსჯავრდადებულთა საშუალო რაოდენობა თითოეულ დანაშაულზე	წინათ მსჯავრდადებულითა მიმართ გამოტანილი განაჩენები	მსჯავრდადებულთა საშუალო რაოდენობა წინათ მსჯავრდადებულთა მიმართ	წინათ მსჯავრდადებულთა საშუალო რაოდენობა წინათ მსჯავრდადებულთა მიმართ
1960	მთლიანად	275135	1.40	55073	20.0	3-62
	მამაკაც.	226924	1.44	49739	21.9	3.01
	ქალები	48211	1.22	5334	11.1	3.03
1965	მთლიანად	207976	1.76	56024	26.9	3.83
	მამაკაც.	178462	1.83	52396	29.4	3.82
	ქალები	29514	1.36	3628	12.3	3.92
1975	მთლიანად	161286	1.78	56178	34.8	3.24
	მამაკაც.	143143	1.84	53079	37.1	3.26
	ქალები	18143	1.33	3099	17.1	2.95
1976	მთლიანად	159863	1.80	55943	35.1	3.27
	მამაკაც.	142208	1.85	52849	37.2	3.29
	ქალები	17155	1.35	3094	18.0	2.96
1977	მთლიანად	137847	1.83	49017	35.6	3.32
	მამაკაც.	123788	1.88	46556	37.6	3.34
	ქალები	14059	1.35	2461	17.5	3.02
1978	მთლიანად	157463	1.84	57497	36.5	3.31
	მამაკაც.	141312	1.90	54687	38.7	3.32
	ქალები	16151	1.32	2810	17.4	2.84

აქამდე ჩვენ ვიყენებდით მხოლოდ ერთ ინდექსს, სახელდობრ, წინათ მსჯავრდადებულ პირთა მიმართ გამოტანილი განაჩენების პროცენტს ერთი წლის განმავლობაში გამოტანილი განაჩენების საერთო რაოდენობიდან. ეს მაჩვენებელი გვაძლევს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რაოდენ მრავალრიცხოვანია და როგორ ნაწილდებიან წარსულში მსჯავრდადებული დანაშაულები გასამართლებულ პირთა ჯგუფში საერთოდ.

მეორე მაჩვენებელი, რომელიც მეოთხე ტაბულაშია მოცემული, ეს არის მსჯავრდადებულთა საშუალო რიცხვი წარსულში მსჯავრდადებულ თითოეულ დანაშაულზე. იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც დანაშაულის განმეორების „ინტენსიურობის“ ზომა სხვადასხვა დროს მსჯავრდადებულ პირთა შორის და მისი წილი მატულობს მრავალჯერ ნასამართლევ პირთა რაოდენობის ზრდის კვალობაზე ყველა წინათ მსჯავრდადებულ პირთა ჯგუფში.

მესამე მაჩვენებელი წარმოადგენს მსჯავრდადებულთა საშუალო რიცხვს თითოეულ მსჯავრდადებულ პირზე. იგი გულისხმობს დანაშაულის განმეორების გაზომვის ცდას წინა ორი ახეკტის კომბინირების საფუძველზე და განისაზღვრება ორთავე მომენტი: როგორც წინათ გასამართლებულ პირთა მიმართ გამოტანილი განაჩენების წილით მსჯავრდადებულთა საერთო რაოდენობაში, ისე წარსულში მსჯავრდადებულთა მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების სიმრავლით.

მეოთხე ტაბულაში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ადვილი შესამჩნევია, რომ დანაშაულის განმეორებათა რიცხვი თანდათან იზრდებოდა (სხვადასხვა მიმართულებით) 66-იან წლებში. 70-იან წლებში კი შეიმჩნევა ერთგვარი სტაბილურობა ამ ტენდენციისა, თუმცა ახლა უკვე ისე ჩანს, რომ დანაშაულის განმეორება ამ პერიოდში თანდათან მატულობს.

წინათ მსჯავრდადებულთა წილია ძალიან მოიმატა 1960-დან 1978 წლამდე (იხ. პირველი ტაბულა). ეს მატება შეიმჩნეოდა როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში, რომლებმაც მამაკაცების ნახევარი შეადგინეს.

წინათ მსჯავრდადებულ პირთა ჯგუფში სხვადასხვა ცვლილება მოხდა. 60-იან წლებში დანაშაულის განმეორების „ხარისხი“ ქალთა შორის უფრო მაღალი იყო, ვიდრე მამაკაცთა შორის;



მოგვიანებით კი მამაკაცებთან შედარებით დაეცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში წინათ მსჯავრდებულების პროცენტული რაოდენობა ქალებს შორის ნაკლები იყო, მაინც, მსჯავრდებულთა რაოდენობა თითოეულ ქალზე მეტია, ვიდრე თითოეულ მამაკაცზე. მაგრამ ამჟამად მამაკაცები თანდათანობით ამ მხრივ „დაწინაურდნენ“. მსჯავრდებულთა რიცხვი დამნაშავედ ცნობილ თითოეულ პირზე 1975 წელს ოდნავ მეტი იყო, ვიდრე 1965 წელს, როცა წინათ მსჯავრდებულ პირთა რიცხვი შედარებით შემცირდა, მაგრამ მსჯავრდებულთა რაოდენობა წარსულში ნახამართლევ თითოეულ პირზე გაიზარდა. ახლა ისეთი ვითარებაა, როდესაც წინათ მსჯავრდებულთა ხვედრითი წილი დამნაშავედ ცნობილ პირთა საერთო რაოდენობაში მალაღობა, თუმცა მრავალჯერ მსჯავრდებულების შემთხვევებშიათ შორის ოდნავ დაიკლო.

5. უკანასკნელი საკითხი, რომელსაც აქ განვიხილავთ, ეს არის რეციდივიზმის თანაფარდობა წინა მსჯავრდებულებთან. მონაცემები ამ საკითხზე მხოლოდ მას შემდეგ ვახლა ხელმისაწვდომი, რაც ძალაში შევიდა პოლიონეთის სისხლის სამართლის ახალი კოდექსი. ეს იმიტომ მოხდა, რომ სისხლის სამართლის ძველი კოდექსის მე-90 მუხლის საფუძველზე გამოტანილი განაჩენები უწინ არ იყო რეგისტრირებული სასამართლო სტატისტიკაში. ამგვარადვე, სისხლის სამართლის ახალი კოდექსის 52-ე მუხლის (იხ. დანართი) საფუძველზე გამოტანილი განაჩენებიც არ არის ამჟამად რეგისტრირებული. ეს გარემოებანი დიდ ხარვეზებს წარმოშობს სტატისტიკურ მონაცემებში და ამცირებს იმ ღონისძიებათა გაანალიზების შესაძლებლობებს, რომლებიც გამოიყენება რეციდივისტების მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის დებულებათა განსახორციელებლად.

ტ ა ბ უ ლ ა მ ე ხ უ თ ე

1975-1978 წლებში გამოტანილი განაჩენები იმ დამნაშავეთა მიმართ, რომლებიც წინათ არ ყოფილან მსჯავრდებულნი და რომლებიც იყვნენ მსჯავრდებულნი, აგრეთვე რეციდივისტების მიმართ

გამოტანილი განაჩენები	1975				1976				
	რაოდენობა	პროცენტი	მსჯავრდებულთა საშუალო რიცხვი	რაოდენობა	პროცენტი	მსჯავრდებულთა საშუალო რიცხვი	რაოდენობა	პროცენტი	მსჯავრდებულთა საშუალო რიცხვი
მთლიანად	161286	100	—	159363	100	—	159363	100	—
წინათ მსჯავრდებულების არმქონენი	105108	65.2	1	103420	64.9	—	103420	64.9	—
წინათ მსჯავრდებულნი	56178	34.8	200	55943	35.1	100	55943	35.1	100
რეციდივისტები (მთლიანად)	16740	10.4	9.8	15480	9.7	27.7	15480	9.7	27.7
„ (მუხ. 60, § 1)	13314	—	79.5	11695	—	—	11695	—	—
„ (მუხ. 60, §§ 3 და 1)	899	—	5.4	851	—	—	851	—	—
„ (მუხ. 61 და მუხ. 60 § 1)	993	—	5.9	1458	—	—	1458	—	—
„ (მუხ. 60, § 2)	303	—	7.8	1290	—	—	1290	—	—
„ (მუხ. 60, §§ 3 და 2)	54	—	0.3	687	—	—	687	—	—
„ (მუხ. 61 და მუხ. 60 § 2)	177	—	1.1	765	—	—	765	—	—
მთლიანად	137847	100	—	157463	100	—	157463	100	—
წინათ მსჯავრდებულების არმქონენი	88820	64.4	1	99966	63.5	—	99966	63.5	—
წინათ მსჯავრდებულნი	49017	35.6	300	57497	36.5	100	57497	36.5	100
რეციდივისტები (მთლიანად)	14827	10.8	0.2	16626	10.6	28.9	16626	10.6	28.9
„ (მუხ. 60, § 1)	11013	—	74.3	12604	—	—	12604	—	—
„ (მუხ. 60, §§ 3 და 1)	747	—	5.0	820	—	—	820	—	—
„ (მუხ. 61 და მუხ. 60 § 1)	1458	—	9.8	1428	—	—	1428	—	—
„ (მუხ. 60, § 2)	1417	—	9.6	769	—	—	769	—	—
„ (მუხ. 60 §§ 3 და 2)	48	—	0.3	635	—	—	635	—	—
„ (მუხ. 61 და მუხ. 60 § 2)	144	—	1.0	751	—	—	751	—	—

მეხუთე ტაბულას თუ გვეცნობით, ადვილად შევამჩნევთ, რომ ისინი, ვინც პირველად ცნეს დამნაშავედ, კვლავ დიდ წილს შეადგენენ მსჯავრდებულ დამნაშავეთა ჯგუფში (1978 წელს მათი რიცხვი 83,5 პროცენტს უდრიდა). დარჩენილი 8,5 პროცენტი ქმნის წარსულში ნახამართლევ პირთა მასას, რომელიც სამ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს. უკანასკნელი თავის მხრივ ქვეჯგუფებად დაიყოფა. პირველი ორი ჯგუფი, რომელიც წინათ მსჯავრდებულ პირთა საერთო რიცხვის 75 პროცენტს მოიცავს, შეადგენს კონტინენტს, რომლის მიმართ სისხლის

სამართლის კოდექსის VIII თავში ჩამოყალიბებული წესები არ გამოიყენება. ამ ორი ჭკუფიდან პირველში შედიან დამნაშავენი, რომელთა უწინდელმა მსჯავრდადებამ სისხლის სამართლის კოდექსის დადგენილი წესებით, არ უნდა მოახდინოს შეგავლენა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის სიმძიმეზე. მეორე ჭკუფს განეკუთვნებიან პირები, რომელთა მიმართ 52-ე მუხლის დადგენილებანი გამოიყენება და ამიტომ სასამართლო შვავლეთა უწინდელი ნასამართლობა მხედველობაში მიიღოს „სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად“. როგორც ზემოთ ითქვა, სსკ-ის 52-ე მუხლის გამოყენების მოწინააღმდეგეები არ არის ასახული სასამართლო სტატისტიკაში და ამიტომ ამ ჭკუფის მოცულობა უცნობი რჩება.

მესამე ჭკუფს განეკუთვნებიან რეციდივისტები, რომელთა წილი დამნაშავედ ცნობილ პირთა საერთო რაოდენობაში უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში ოდნავ გაიზარდა (7,5 პროცენტადან 10,6 პროცენტამდე). ეს ის კონტინგენტია, რომელზეც ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხლი. (იხ. დანართი). ყველა რეციდივისტის დაჯილდოებით 90 პროცენტი იხეთია, როგორც მე-60 მუხლის § 1-შია მოხსენიებული. მრავალჯერადი რეციდივისტების (მუხ. 60, § 2) რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდებოდა პირველი სამი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის კოდექსი ძალაში შევიდა. ამჟამადაც მათი წილი უცვლელია.

რეციდივისტების მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოს იმის მიხედვით, რომ ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულობანი მათთვის ჩვეული მოვლენა არ არის. მაგალითად, 1976 წელს სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხლის § 1-ის საფუძველზე მსჯავრდებული 17 დამნაშავედან მხოლოდ 1-მა ჩადინა მძიმე დანაშაული: ხოლო მე-60 მუხლის § 2-ის საფუძველზე მსჯავრდებული 29 მრავალჯერადი რეციდივისტიდან — აგრეთვე ერთმა. თუ ვავითვალისწინებთ გაძლიერებული სასჯელის მეთისმეტე სიმაკაცრეს. (იხ. მე-60 მუხლის § 1 და § 2), სასამართლოები ერთობ შეზღუდული მოცულობით იყენებენ რეციდივისტების მიმართ სასჯელის ექსტრაორდინარულ შემცირებას, რაც 61-ე მუხლით არის გათვალისწინებული. (იხ. დანართი) მაგალითად, 1976 წელს სასამართლოებმა იგი გამოიყენეს რეციდივისტთა მხოლოდ 16,4 პროცენტის მიმართ (მე-60 მუხ. § 1) და მრავალჯერადი რეციდივისტების 9,4 პროცენტის მიმართ (მე-60 მუხ. § 2).

უკანასკნელ ხანებამდე რეციდივისტული დანაშაულობის თქობაზე სტატისტიკური ინფორმაციის არსებითი ხარვეზია ის ფაქტი, რომ სრულებით არ იყო დადგენილი თანაფარდობა ამ ინფორმაციასა და წინათ მსჯავრდადებათა რიცხვს შორის. ამის გამოსასწორებლად პირველი ნაბიჯი 1978 წელს გადაიდგა. სწორედ მაშინ იქნა შემოღებული სათანადო გრაფები სასამართლო სტატისტიკაში, რამაც შესაძლებელი გახდა დადგენილიყო ორივე კატეგორიის რეციდივისტების მიმართ გამოტანილი უწინდელი მსჯავრდადების რიცხვი და წინათ მსჯავრდადებულ სხვა პირთა რაოდენობა. ეს მონაცემები, რომლებიც გამოხატულია მოცემული კატეგორიის დამნაშავედ ცნობილი თითოეული პირის მსჯავრდადებათა საშუალო რიცხვით, ნაჩვენებია მეხუთე ტაბულაში. ადვილი შესამჩნევია, რომ წინათ მსჯავრდადებულ დამნაშავეთა საერთო რაოდენობაში რეციდივისტები შეადგენენ ჭკუფს, რომელზეც მოდის მსჯავრდადებულთა საშუალო რაოდენობის დიდი წილი (4,22—4,38, 1975-დან 1978 წლამდე). ამ უკანასკნელთა შორის ყველაზე უფრო გამორჩეულია მე-60 მუხლის § 2-ით გათვალისწინებული რეციდივისტები, რომლებსაც საშუალოდ 7 ნასამართლობა აქვთ. ეს კი მათი მრავალჯერადი რეციდივისტობის თვალნათლივი მაჩვენებელია.

დანართი

პოლინეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი

**მუხლი 52.** განზრახი დანაშაულისათვის ან ისეთივე გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის წინანდელ ნასამართლობას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას; თუ კანონი აღტერნატიულ საწყობას ითვალისწინებს, სასამართლო მხოლოდ მაშინ დანიშნავს უფრო ლომბიერ სასჯელს, როდესაც ეს დასაშვები იქნება 50-ე მუხლის დებულების საფუძველზე.

**მუხლი 60.** § 1. თუ პირი, რომელსაც განზრახი დანაშაულისათვის თავისუფლების აკვეთა განეხადგრა, მისთვის დანიშნული სასჯელის სულ ცოტა ექვსი თვის მოხდის შემდეგ ხუთი

წლის განმავლობაში ჩაიდენს ისეთსავე განზრახ დანაშაულს, რომლისთვისაც იგი დაისაჯა, სასამართლო სასჯელად დანიშნავს ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ თავისუფლების აღკვეთას უმდაბლესი სასჯელის გაორმაგებული რაოდენობისა და უმაღლესი სასჯელის სანაწევროდ გაზრდილი ოდენობის ფარგლებში.

მუხლი 60 § 2. პირს, რომელიც ორჯერ დაისაჯა § 1-ით გათვალისწინებულ გარემოებებში და რომელმაც საერთო ანგარიშით მოიხალა არანაკლებ ერთი წელი თავისუფლების აღკვეთისა, თუ მან ბოლო სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაული ქონებრივი სარგებლობის მიღების მიზნით ან ხულიგანური ხასიათის დანაშაული და იგი ისეთივეა, როგორც თუნდაც ერთ-ერთი ადრე ჩაიდენილი დანაშაული, მაშინ სასამართლო დანიშნავს სასჯელს ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის გასამკაცრებულ ოდენობასა (მაგრამ ვადით არა ნაკლებ ორი წლისა) და სასჯელის მაქსიმუმის სანაწევროდ გაზრდილი ოდენობის ფარგლებში, ხოლო თუ უმაღლესი საზღვარი არ აღემატება 3 წლის თავისუფლების აღკვეთას. — მაშინ 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთის ფარგლებში.

მუხლი 60 § 3. § 1-ითა და § 2-ით გათვალისწინებული სასჯელის უმდაბლესი საზღვრის გადიდება არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ჩაიდენილია მძიმე დანაშაული: ასეთ შემთხვევებში დანაშაულის ჩაიდენას § 1-ითა და § 2-ით გათვალისწინებულ პირობებში სასამართლო განიხილავს როგორც სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას.

მუხლი 60. § 4. § 1-ის, § 2-ის და § 3-ის საფუძველზე დანიშნული სასჯელი არ შეიძლება აღემატებოდეს 15 წლის თავისუფლების აღკვეთას.

მუხლი 61. საგანგებო საფუძვლის არსებობისას, როდესაც მე-60 მუხლის § 1-ითა და § 2-ით დადგენილი უმცირესი სასჯელიც კი არათანაზომიერად მკაცრი იქნებოდა დამნაშავეს მოტივების, მისი პირადი თვისებების და ცხოვრების პირობების, აგრეთვე დანაშაულის ჩაიდენამდე და ჩაიდენის შემდეგ ქცევის ხასიათის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია არ გამოიყენოს სასჯელის დანიშვნის დროს მე-60 მუხლის § 1-ითა და § 2-ით გათვალისწინებული პრინციპები: ასეთ შემთხვევებში დანაშაულის ჩაიდენას მე-60 მუხლის § 1-ითა და § 2-ით გათვალისწინებულ პირობებში სასამართლო განიხილავს როგორც სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას.

# საქონლის რაოდენობის



## 1. საქონლის რაოდენობრივი მიღება უნდა მოხდეს საწარმო-ტექნიკური და- ნიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის რაოდენობრივი მაღების ინსტრუქციის შესაბამისი პუნქტების თანახმად

საცალო გაერთიანებამ „სამრეწველო საქონელი“ სახელმწიფო არბიტრაჟს მიმართა სარჩელით „ცეკავშირის“ რესპუბლიკური საჯარო ბაზისათვის 566 მანეთის გადახდევინების შესახებ, რაც შეადგენდა საქონლის დანაკლისის ღირებულებას.

№474491 სარკინიგზო ზედნადებით მომსახურებ მოსარჩელის მისამართით გაგზავნა საგალანტერეო საქონელი, რომლის მიღების მომენტში დადგინდა ამ საქონლის დანაკლისი ზემოაღნიშნული თანხის ოდენობით.

ვინაიდან დანიშნულების სადგურში კონტინერი წესიერულ მდგომარეობაში მიიღეს რაც იმით გამოიხატა, რომ ტრანსპორტირების პროცესში ტვირთის ხელნლება არ მომხდარა, ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა გამგზავნის წარედგინა.

ეს უკანასკნელი უარყოფდა თავის ბრალს დანაკლისში და მიუთითებდა, რომ სარკინიგზო

ზედნადებზე გაკეთებული აღნიშვნის თანახმად, ტვირთი გაიცა ერთი ღებოთ აღრე მიმღების მიერ აქტის შედგენამდე და არ ჩანდა, როგორ ინახებოდა საქონელი ამ ხნის განმავლობაში.

გაერთიანების მიერ კონტინერის გადმოტვირთვა და ტვირთის მიღება მოხდა კომისიურად, საზოგადოებრივი წარმომადგენლის მონაწილეობით და სახალხო მოხმარების საქონლის რაოდენობრივი მიღების ინსტრუქციის მე-8 და მე-9 პუნქტების თანახმად.

მიღების აქტში ფიქსირებულია, რომ კონტინერი ტექნიკურად გამართულია, ხოლო გამგზავნის მიერ კონტინერზე დადებული პლომბი — წესიერული. ასეთ გარემოებაში დანაკლისი გამგზავნის ბრალს ადასტურებს.

სარკინიგზო და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებს 37-ე მუხლის თანახმად, ქონებრივი პასუხისმგებლობა გამგზავნის დაეკისრა.

## 2. უხარისხო პროდუქციის მიწოდების ფაქტთან დაკავშირებით მიწოდებელი ვალდებულია აუნაზღაუროს მყიდველს მიყენებული ზარალი და გადაიხადოს ჯარიმა დადგენილი ოდენობით ზარალის თანხის ჩაუთვლილად.

№129471 სარკინიგზო ხელშეკრულებით სამტრედიის ხის დამმუშავებელმა კომბინატმა მორღვეთის ასსრ საწარმო გაერთიანებას მიაწოდა ხის პროდუქცია.

დანიშნულების სადგურში ტვირთი მივიდა ტექნიკურად გამართული ვაგონით გამგზავნის წესიერული პლომბებით.

სატრანსპორტო ორგანიზაციის მხრივ ტვირთის გაცემის მომენტში მიმღებმა კომისიამ დაადგინა, რომ მიწოდებული პროდუქციის ხარისხი არ შეესაბამებოდა 2977-77 სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს ზედმეტი ოდენობით ტენიანობის შემცველობის გამო.

სათანადო წესების დაცვით შედგენილი მი-

ღების აქტითა და კალკულაციით დადგინდა, რომ საჭირო იყო დამატებითი ხარჯები რათა პროდუქცია შესაბამისი ხარისხისა გამხდარიყო! თანხა, რომელიც ამისათვის დაიხარჯა, ზარალის ოდენობას შეადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროდუქციის მიმღებმა მოითხოვა გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით ზარალის ანაზღაურება და პროდუქციის მიწოდების დებულების 72-ე და 104-ე პუნქტების თანახმად ხუთი პროცენტი ჯარიმა უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის, რაც 3525 მანეთს შეადგენდა.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა.



3. სსრ კავშირის რკინიგზების წესდების 119-ე მუხლის თანახმად შერეული გადაზიდვის დროს ტვირთის უხარისხობისათვის პასუხს აკებს რკინიგზა, ხანაონო ან ავტოსატრანსპორტო ორგანიზაცია იმის შესაბამისად, თუ რომელი სახეობის ტრანსპორტის ბრალია დადგენილი

სვერდლოვსკის ოლქის სატყეო გაერთიანებამ გუდაუთის „კურორტვაქრობას“ გამოუგზავნა ხე-ტყე. ტრანსპორტირება მოხდა შერეული გადაზიდვის გზით — რკინიგზითა და სამდინარო ტრანსპორტით.

დანიშნულების სადგურში ტვირთი მოვიდა ჩაბარების ვადის უხეში დარღვევით, რის გამოც შემოწმდა მისი ხარისხი (როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ხე-ტყე გადასაზიდად მიიღეს 1980 წლის აპრილში, ხოლო დანიშნულებისამებრ ჩაბარდა 1981 წლის მარტში). ექსპერტიზის აქტით დადგინდა 640 მანეთის ხე-ტყის უხარისხობა.

თავის ახსნა-განმარტებაში რკინიგზის ტრანსპორტის წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ვადაცეცილების მიზეზი ის არის, რომ ვოლგოგრა-

დის სამდინარო ნავსადგურში ხე-ტყე უმოძრაოდ იყო 313 დღე-ღამეს, ხოლო რკინიგზას ტრანსპორტირების ვადა არ დაურღვევია.

ამ გაცხადების დასადასტურებლად რკინიგზა ვალდებული იყო წარმოედგინა მისთვის ტვირთის გადაცემის მომენტში შედგენილი კომერციული აქტი, რომელშიც ხე-ტყის მდგომარეობა ზუსტად იქნებოდა აღწერილი.

რკინიგზამ ვერ წარმოადგინა ამის საბუთი და პასუხისმგებლობაც მას დაეკისრა სსრ კავშირის რკინიგზების წესდების 119-ე მუხლით, რომლის თანახმად პასუხისმგებლობა ტვირთის წესდებულობისათვის ფაქტობრივი გადაცემის მომენტამდე ეკისრება ჩამბარებულ მხარეს, ხოლო გადაცემის შემდეგ—მიმღებ მხარეს.



## გალაკტიონ ტაბიძე – ლიტერატურული ექსპერტი

ჩვენი საუკუნის ოციან წლებში თბილისში დაიბეჭდა ალექსანდრე გორგაძის მოთხრობა „შავგულა“ (ლევენდა ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებიდან).

ეტყობა, ამავე ხანებში „შავგულას“ შესახებ ხელთნაწერის სახით არსებული მეორე ნაწარმოები (მოთხრობა), რომელიც მწერალ ივანე საათაშვილს ეკუთვნოდა. ამ უკანასკნელს მიუჩნევია, რომ ალექსანდრე გორგაძემ როგორღაც მოახერხა ესარგებლა მისი ხელთნაწერით, რომელიც რამდენიმე მწერალს ჰქონდა წაკითხული.

წარმოიშვა დავა „შავგულას“ ავტორობის თაობაზე. ალ. გორგაძე და ივ. საათაშვილი ამ მოთხრობას ცალ-ცალკე თავისად მიიჩნევენ. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ივ. საათაშვილმა ალ. გორგაძე სამედიატორო სასამართლოში გამოიწვია. საჭიროებამ მოითხოვა საქმის გარჩევამდე დანიშნულიყო ლიტერატურული ექსპერტიზა. ალ. გორგაძის ნაბეჭდი მოთხრობისა და ივ. საათაშვილის ხელთნაწერის შედარებითი ანალიზისათვის სიტყვათა ფორმის, სტილის, ფაბულის იგივეობისა თუ სხვაობის დასადგენად და სხვა.

სამედიატორო სასამართლომ პოეტ გალაკტიონ ტაბიძის თავმჯდომარეობით დანიშნა კოლექტიური ექსპერტიზა. კომისიაში შედიოდნენ მწერლები: ტრიფონ რამიშვილი, ნიკო კურდღელაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი და ვანო ტატიშვილი.

ცალკე დავალების წესით ნიკო კურდღელაშვილმა თავის მხრივ შეადარა ალ. გორგაძისა და ივ. საათაშვილის ხელთნაწერების დედნები და თავისი მოსაზრება წერილობით ტექსტებთან ერთად გადასცა გალაკტიონ ტაბიძეს რათა ექსპერტთა ჯგუფს გამოეთანა საბოლოო დასკვნა.

ლიტერატურულ ექსპერტთა ჯგუფმა გალაკტიონის თავმჯდომარეობით ხელახლა შეადარა ორივე ხელთნაწერი და ნაბეჭდი ტექსტი, გამოიტანა სათანადო დასკვნა და დადგენილად მიიჩნია, რომ ორივე ნაწარმოების თემა ერთი და იგივეა, აქ მხოლოდ თემატურ ერთიანობასთან გვაქვს საქმე, ამიტომ ეს სრულიად არ უშლიდა ხელს შექმნილიყო ორი სხვადასხვა ნაწარმოები, ისიც ხალხური გადმოცემის (ლევანდის) საფუძველზე, რაც ცხადად ირკვევა ქვემოთ მოყვანილი წერილიდან, (1920 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე“. (№ 163).

აი, ეს წერილიც.

„ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში მოგვითავსოთ შემდეგი წერილი:

ამხანაგებო! ტრიფონ, გიორგი, გალაკტიონ და გიორგი!

„შავგულას“ გარშემო შექმნილი გარემოების გამო, სიამოვნებით ვიზიარებთ თქვენს აზრს და ამასთანავე გიგზავნით ხელთნაწერ დედანს. შეადარეთ და თქვენი დასკვნა გამოუგზავნეთ. მე კი დღეიდან ყოველგვარი პასუხისმგებლობა მომიხდია ამ საგნის გამო. დედანი მეც შევადარე.

მარად თქვენი ერთგული: ნიკ. კურდღელაშვილი.

აქვე მოთავსებულია ლიტერატურული ექსპერტიზის შემდეგი დასკვნა:

„შევადარეთ ალ. გორგაძის „შავგულას“ დაბეჭდილი წიგნაკი ივ. საათაშვილის ხელთნაწერს და მათ შორის ვნახეთ მსგავსებაც და განსხვავებაც. მსგავსება იმას მიეწერება, რომ შინაარსად აღებულია ერთიდაიგივე ლეგენდა ოსმალთა ცხოვრებიდან, რომელიც გავრცელებული ყოფილა ქართველ მაჰმადიანთა შორის. განსხვავებაც არის ჟანრში. გარეგან ფორმაში და სტილში. ასე, რომ, ეს ორი სხვადასხვა ავტორის დამუშავებული ლეგენდაა.“

**გ**ალაკტიონ ტაბიძე. ტრიფონ რამიშვილი. გიორგი ქუჩიშვილი. ვანო ტატიშვილი.

1 დეკემბერი 1920 წ.

ასეთი ლიტერატურული ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ ივ. საათაშვილმაც ირწმუნა, რომ ალ. გორგაძე, როგორც წიგნის „შავგულას“ ავტორი, მიბაძვასა თუ სხვაგვარ მოქმედებაში არაფერ შუაში ყოფილა.

ვანათან სიღამონიძე.

## ნარსულის ფურცლებიდან

**90** წლის წინათ, 1892 წელს დაარსდა ქუთაისის სამედიცინო საზოგადოება, რომელიც რუსეთის იმპერიაში 72-ე ასეთი საზოგადოება იყო, კავკასიაში — მეორე, ხოლო დასავლეთ საქართველოში — პირველი. არსებითად, იგი დასავლეთ საქართველოს ექიმთა საზოგადოებას წარმოადგენდა.

ამ საზოგადოებამ პრაქტიკული მედიცინისა და სამედიცინო მეცნიერული აზროვნების განვითარების პარალელურად, მრავალი პროგრესული საკითხის გადაწყვეტაში მიიღო მონაწილეობა. მათ შორის საინტერესოა ქუთაისის ყოფილ გუბერნიაში ფსიქიკური დაავადებით შეპყრობილ პირთა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის წარმოებასთან დაკავშირებით წარმოშობილი აზრი უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებზე სასამართლო ფსიქიატრიის სწავლების შემოღების შესახებ, რაც თავის დროს ქუთაისის სამედიცინო საზოგადოების საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა.

როგორც ქუთაისის მედიცინის ისტორიის მუზეუმში დაცული მასალებიდან ირკვევა, ქუთაისის სამედიცინო საზოგადოებამ 1912 წლის 1



თებერვალს თავის სხდომაზე განიხილა საზოგადოების წამდვილი წევრის, გუბერნიის ექიმის ერმილე სოფრომის ძე ხუნდაძის მოხსენება თემაზე: „მწვავე სწრაფმიმდინარე ალკოჰოლური ფსიქოზი, როგორც დამნაშავის შეურაცხადობის მიზეზი“.

**ფ**სიქიკურ დაავადებათა შორის მწვავე სწრაფმიმდინარე ალკოჰოლურ ფსიქოზს, ე. წ. მწვავე ალკოჰოლურ ჰალუცინოზს (ალკოჰოლური პარანოია) ანუ ლოთების ჰალუცინატორულ შემოღობას ახასიათებს დევნითი ბოდვები და მოჩვენებები. ასეთ პირებს ირგვლივ მყოფთა დამოკიდებულებაში ეკარგებათ ზომიერების გრძნობა, თავისი მოქმედებისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, ვარდებიან დეპერსონალიზაციის ვითარებაში, უშიშვლდებთ ინსტიტუტები, უჩნდებათ პარადოქსული და ულტრაპარადოქსული ფაზური მდგომარეობა (როდესაც თავისთავად უმნიშვნელო ფაქტი ინფერს შეუფერებლად ძლიერ, ანდა ვაუკუღმართებულ აფექტურ რეაქციებს). აზროვნება კარგავს თანამიმდევრობას, ადამიანი აგრესიული ხდება და სჩადის სხვადასხვა არამოტივირებულ დანაშაულს. დანაშაულის ასეთი ხასიათი იძულებულს ხდის ბრალმდებელ ორგანოს სასამართლო ექსპერტი ექიმების წინაშე დააყენოს საკითხი, დამნაშავე პირის შეურაცხადობის ან შეურაცხადობის დადგენის შესახებ.

ამის საილუსტრაციოდ ქუთაისის სამედიცინო საზოგადოების სხდომაზე ექიმმა ე. ს. ხუნდაძემ წარმოადგინა შემთხვევა, როდესაც სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების დავალებით მან, ორ სხვა ექიმ სპეციალისტთან ერთად, მოახდინა ალკოჰოლური ფსიქოზით შეპყრობილი პირის სასამართლო-სამედიცინო შემოწმება და უპასუხა კითხვას: შეეძლო თუ არა სულიერ დაავადებას დამნაშავის ფსიქიკაზე (დანაშაულის ჩადენის მომენტში) მოეხდინა ისეთი ზეგავლენა, რომ ანგარიში აღარ გაენია თავისი მოქმედებისათვის. მაშასადამე, ექსპერტს დაევალა გამოეთქვა მოსაზრება იურიდიული კრიტერიუმის შესახებაც და დაედგინა შემოწმებული პირის შეურაცხადობა თუ შეურაცხადობა. სასამართლო-სამედიცინო დასკვნა იუნყება, რომ: „შემოწმებული მოქალაქე შეპყრობილია ქრონიკული ალკოჰოლიზმით და დანაშაულის ჩადენის მომენტში იმყოფებოდა მწვავე სწრაფ მიმდინარე ფსიქოზის (ჰალუცინოზის) მდგომარეობაში, რის გამოც არის შეურაცხადი“.

ასეთი დასკვნის მიუხედავად, სასამართლო ორგანოებმა დამნაშავე პირი მცდარად მიიჩნიეს შეურაცხადად და მის მიმართ გამოიტანეს გამამტყუნებელი განაჩენი.

**ჩ**ვენს მიზანს არ შეადგენს მსჯელობა იმის შესახებ, უფლებამოსილი იყო თუ არა ექსპერტი ექიმი გადაეწყვიტა ბრალდებულის შეურაცხადობა-შეურაცხადობის საკითხი არა დანაშაულის ჩადენის, არამედ ექსპერტიზის ჩატარების დროს (თუმცა სამედიცინო-ფსიქიატრიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ექსპერტი უფლებამოსილია გადაწყვიტოს პირის შეურაცხადობა-შეურაცხადობის საკითხი თვით ექსპერტიზის ჩატარების მომენტში). ხაზგასმით აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სასამართლო ორგანოების მიერ საპირისპირო განაჩენის გამოტანა იმით იყო გამოწვეული, რომ, როგორც ექიმი ე. ს. ხუნდაძე ამბობდა, იურისტები არ იყვნენ სათანადოდ განსწავლულნი, საერთოდ ფსიქიატრიისა და, კერძოდ, სასამართლო

ფსიქიატრიის ძირითად საკითხებში. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით ექიმმა ე. ს. ხუნდაძემ სამედიცინო საზოგადოების წინაშე დააყენა საკითხი უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებზე სასამართლო-ფსიქიატრიის სწავლების შემოღების აუცილებლობის შესახებ.

მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობდნენ: სამედიცინო საზოგადოების თავმჯდომარე ექიმი ს. ხეჩინაშვილი, საზოგადოების ნამდვილი წევრები, ექიმები ვ. წერეთელი, გ. გოკიელი, გ. ქორქაშვილი, ე. როძევიჩი, ა. რელიგიონი, გ. ჩხენკელი, ს. ტერტეროვი, ი. ჩარექიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, გ. ნასარიძე, ი. ბოკერია. მათ მოიწონეს ექიმ ე. ხუნდაძის წინადადება და მხარი დაუჭირეს მას.

სამედიცინო საზოგადოებამ გამოიტანა გადაწყვეტილება ამ საკითხის შესაბამის ინსტანციაში დაყენების შესახებ.

ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ მასალებს, რომელთა მიხედვითაც შეიძლება იმის დადგენა თუ, რა ბედი ეწია შემდგომ საექიმო საზოგადოების ამ გადაწყვეტილებას. რევოლუციამდელ პერიოდში, რუსეთის უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებზე ყველგან არ იყო გათვალისწინებული სასამართლო მედიცინისა და, კერძოდ, სასამართლო ფსიქიატრიის სწავლება, რამაც განაპირობა გაუგებრობა იმ პერიოდში ქუთაისის გუბერნიაში მომუშავე უმაღლესი განათლების იურისტებსა და ექსპერტ ექიმებს შორის.

**მ**ოყვანილი ცნობების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ იდეა უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებზე სასამართლო ფსიქიატრიის სავალდებულო სწავლების შემოღების აუცილებლობის შესახებ 1912 წლის დასაწყისში იშვა ქუთაისის ექიმთა საზოგადოებაში, კერძოდ, ამ საზოგადოების ნამდვილი წევრის ექიმ ერმილე სოფრომის ძე ხუნდაძის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით.

**3. ბიორგაძე,  
საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი**

# ინფორმაცია

## საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენუმი

1982 წლის 24 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ვ. ედუარდ-შვილის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის რ. კიტაშვილის მოხსენება — „ზიანის ანაზღაურების სარჩელების განხილვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 28 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

პლენუმზე აღინიშნა, რომ სასამართლოები ძირითადად სწორად იხილავენ ამ კატეგორიის საქმეებს. მაგრამ ჯერ კიდევ უშვებენ მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევებს, რაც ზიანს აყენებს მოქალაქეების, საწარმოების და დაწესებულებების კანონიერ ინტერესებს.

სასამართლოები ზოგჯერ, როგორც პირველ სასარჩელო განცხადებებს ისე განმეორებითს, წარმოებაში იღებენ და იხილვენ ისე, რომ არ არის დაცული მათი წინასასამართლო განხილვის წესი, რითაც ირღვევა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 228-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა.

ბევრჯერ საწარმოს, დაწესებულების აღმინისტრაცია და პროფკავშირის ადგილკომი წინააღმდეგი არ არის ანაზღაურებს ზიანი, ე. ი. ფაქტობრივად მხარეთა შორის დავა არ არსებობს. მაგრამ მუშაკს მაინც უსაფუძვლოდ უარს ეუბნებიან და სურთ ეს ანაზღაურება მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სახალხო სასამართლოები კი ასეთი ფაქტების მიმართ არავითარ რეაგირებას არ ახდენენ. ზოგჯერ სასამართლოები ზარალის ანაზღაურებას აკისრებენ საწარმოებს და დაწესებულებებს მათი ბრალის დაუდგენლად და გადაწყვეტილებებს ასახულებენ მხოლოდ იმით, რომ მუშაკი დასახიჩრდა წარმოებაში. არის შემთხვევები, როდესაც ამის გაურკვევლად საწარმოებს და დაწესებულებებს აკისრებენ აგრეთვე მოვ-

ლისა და სხვა დამატებითი ხარჯების ანაზღაურებასაც.

სასამართლოები ყოველთვის არ სთხოვენ დაზარალებულს ხელფასის ცნობას და ზარალს პენსიის დანიშვნის შესახებ ანგარიშობენ. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე, ეს ეწინააღმდეგება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომის და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტისა და საქავშირო პროფსაბჭოს 1961 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული „სამუშაოებთან დაკავშირებით მუშა-მოსამსახურეთათვის დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესების“ მე-12 პუნქტის მოთხოვნებს.

ზოგი სასამართლო მუშა-მოსამსახურეთათვის მიყენებული ზარალის დადგენისათვის იღებს არასათანადო პერიოდის ხელფასს, ან მის იხეთ სახეს, რომელიც წესების მე-18 პუნქტის თანახმად არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ზარალის გამოანგარიშებას.

ვხვდებით ზარალის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებას ისე, რომ საერთოდ არ არის წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნა პროფესიული და საერთო შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის შესახებ.

არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები დაზარალებულებს არასწორად ეუბნებიან უარს მოვლის ხარჯების ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ მათ პენსიაზე დარიცხული აქვთ მოვლის დანამატი ან რეალურად არ ჰყავთ აუვანილი მომვლელი.

სასამართლოები შეცდომებს უშვებენ სახელმწიფო ბაჟის განსაზღვრაშიც.

არადამაკმაყოფილებელია პროფილაქტიკური მუშაობა, სარჩელების უმრავლესობა დაკმაყოფილებულია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საწარმოები და დაწესებულებები არღვევენ შრომის პაროებსა და ტექნიკური უსაფრთხოების წესებს. მიუხედავად ამისა, სასამართლოები ძალზე იშვიათად მიიქცევენ თანამდებობის პირთა ყურადღებას ამ ფაქტების მიმართ, არაფერს ღონობენ ტრავმატიზმის

68  
69



შემცირების მიზნით პროფილაქტიკური ღონისძიებების განსახორციელებლად. შესაბამის ორგანოებში არ შეაქვთ წარდგინებები, სათანადო ყურადღებას არ უთმობენ კანონმდებლობის პროპაგანდას და სხვა.

შემდეგ მოხსენებით „საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1981 წლის 27 ნოემბრის დადგენილების — „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებასთან ბრძოლაში სასამართლოების როლის ამაღლების შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა“ გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი **მ. ბეზინა**.

პლენუმზე ითქვა, რომ ამ დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის სასამართლოები დიდ მუშაობას ეწევიან.

ამასთანავე სასამართლო პრაქტიკის განვითარების მასალები გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი სასამართლო ჯეროვან მნიშვნელობას არ ანაჭებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ქურდობით გატაცების მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას. რაც უარყოფითად მოქმედებს ამ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობაზე.

სასამართლოები ყოველთვის ყოველმხრივ სრულად და ობიექტურად არ იკვლევენ საქმის გარემოებებს. ხშირად არღვევენ საპროცესო ნორმებს. შეცდომებს უშვებენ დანაშაულის კვალიფიკაციაში, დანიშნული სასჯელის მოხდის რეჟიმის განსაზღვრაში. ტექნიკური საშუალების ცნების გაგებაში.

განაჩენები ხშირად იცვლება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის დაუცველობის გამო. რაც მოწმობს, რომ სასამართლოები ჯეროვნად არ ითვალისწინებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 ივლისის დადგენილების 24-ე პუნქტის მოთხოვნას სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის შვაცრად დაცვის აუცილებლობის შესახებ.

სასამართლო პროცესები ვერ ახდენენ საქირო აღმზრდელით შემოქმედებას. რომ გამწვავდეს და გაძლიერდეს ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ. საქმეების მცირე ნაწილი განიხილება გამსვლელ სხდომაზე, აგრეთვე საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და დამცველების მონაწილეობით.

სასამართლოები ჯეროვნად არ ასრულებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს და რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მითითებებს და ყოველთვის არ გამოაქვთ კერძო განჩინებანი გატაცების ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად.

ხოლო თუ გამოაქვთ კანონით დადგენილ ვადაში არ ითხოვენ პასუხს მიღებული ზომების შესახებ. სათანადოდ არ არის გამოყენებული პრესა, რადიო, ტელევიზია დანაშაულის პროფილაქტიკისთვის.

მოხსენება — „სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის სიმძიმის ცენტრის ადგილობრივ ორგანოებში გადატანის თაობაზე სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ — გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ვ. ელქიშვილმა**.

მოხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ წანს რესპუბლიკის სასამართლოებში ერთგვარად გაუმჯობესდა მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხი.

სასამართლო განაჩენების კანონიერების და დასაბუთებულობის აგრეთვე სასამართლო პროცესების აღმზრდელითი როლის გაძლიერების შედეგად 1982 წლის ხუთ თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, შემცირდა სასამართლო განაჩენების საკასაციო წესით გასაჩივრების და გაპროტესტების შემთხვევები. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში საკასაციო წესით განსახილველად 128 საქმით ნაკლები შემოვიდა. გაუმჯობესდა განაჩენების სტაბილობა.

ამაღლდა სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის საკასაციო ინსტანციის მუშაობის ხარისხი. მისი ზეგავლენა სახალხო სასამართლოების საქმიანობაზე.

საკასაციო ინსტანცია ძირითადად უზრუნველყოფს პროცესის მონაწილეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების განუზრკლად დაცვას. სახალხო სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომების ოპერატიულად გასწორებას. დიდი ყურადღება ეთმობა გამოვლენილ შეცდომებზე რეაგირებას. ამ მიზნით კოლეგიას გამოაქვს კერძო განჩინებები. სახალხო სასამართლოებს უგზავნიან წერილებს. სისტემატურად ანალიზდება პრაქტიკა. შეცდომები აღინიშნება მიმოხილვებში. რომლებიც რეგულარულად ეგზავნებათ სასამართლოებს.

1982 წლის ხუთ თვეში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში საკასაციო კოლეგიის მიერ გამოტანილი განჩინებების გაუქმებისა და შეცვლის მაჩვენებელი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით #1.7 პროცენტით შემცირდა.

ამ მხრივ რადიკალური ცვლილებები შეიმჩნევა აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო და თბილისის საქალაქო სასამართლოებში. სადაც უახლოეს წარსულში ბევრი სასამართლო განაჩენები საქმეების საკასაციო წესის განხილვის შემდეგაც სწორდებოდა ზედამხედველობის წესით, რაც მიუთითებდა კასაციის არასაკმარის ეფექტურობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო მნიშვნელოვან პრაქტიკულ დახმარებას უწევს ძირეული რგოლის სასამართლოებს. უმაღლესი სასამართლოს წევრები ადგილზე უოფენის დროს ღრმად აანალიზებენ სასამართლოების მუშაობის ხარისხს, სწორ ორიენტაციას აძლევენ მოსამართლეებს მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენების სადავო საკითხების გადაწყვეტაში. ქმედით ზომებს ახორციელებენ გამოვლენილი შეცდომების აღმოსაფხვრელად. ამ საქმეში საკასაციო ინსტანციაში მომუშავე წევრების გვერდით ნაყოფიერად მონაწილეობენ უმაღლესი სასამართლოს წევრები, რომლებიც საქმეებს იზიარებენ პირველი ინსტანციით. უმაღლესი სასამართლოს წევრები რეგულარულად გამოდიან სემინარებზე, მოსამართლეთა თათბირებზე, ხელმძღვანელობენ მოსამართლეთა სტაჟირებას, სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკას, კითხულობენ ლექციებს იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ კურსებზე. სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის საკასაციო ინსტანციის ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობდა ახლად ასარჩევ სახალხო მოსამართლეთა სტაჟირებაში.

საგანგებო ყურადღება ეთმობა აქტუალურ პრობლემებზე სასამართლო პრაქტიკის განვითარებას, უკვე განვითარებული მასალების შედეგად მიღებული რეკომენდაციების რეალიზაციას, რაც წარმოადგენს სასამართლო შეცდომების გამოვლენისა და თავიდან აცილების, პრაქტიკაში წამოჭრილი სადავო საკითხების გადაჭრის ეფექტიან საშუალებას. მთელი ეს მუშაობა კოორდინირებულია რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან.

ამასთან ერთად რესპუბლიკის სასამართლო

ორგანოების საქმიანობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანიც, რაც ხელს უშლის სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

ჭეროვან სიმაღლეზე არ არის აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვის ხარისხი.

სასამართლო ორგანოები კვლავაც ხშირად უშვებენ შეცდომებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე, 94-ე, 104-ე, 105-ე, 110-ე, 117-ე, 134-ე, 150-ე, 186-ე, 228-ე, 241-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების განხილვისას.

იმის გამო, რომ დაბალ დონეზე ეწეობა სასამართლო პროცესები, მოსამართლეები სათანადოდ ვერ განმარტავენ კანონს, ვერ ასახელებენ განაჩენების კანონიერებას, შეფარდებული სასჯელების საქართველოს, ზოგჯერ კი აშუარად უხეშ შეცდომებს უშვებენ, რესპუბლიკის სასამართლოებიდან ბევრი განაჩენი საჩივრდება.

განსაკუთრებით მაღალია განაჩენების და განჩინებების გასაჩივრების დონე ბორჯომის, უაზბეგის, კასპის, ახმეტის, ადიგენის, ახალციხის, ქაანეთის, ორჯონიკიძის, ლენტიხის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, ვანის, ზესტაფონის, ლანჩხუთის და თერჯოლის რაიონების, ქალაქების ჭიათურის, ფოთის, ტუაშულის, ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოებში. აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოებში, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის წევრები ღრმად არ აანალიზებენ გამოტანილი განაჩენისა და განჩინებების გასაჩივრების მიზეზებს. რის გამოც უოველთვის ვერ ერკვევიან თუ რა გარემოებები უწყობს მას ხელს.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. სპჰანიძე, საქართველოს სსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ვ. რაჭმაძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ბ. შუშანაშვილი.





# დაჯილდოება

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებით სსრ კავშირის პროკურატურის მესამეოცე წლისთავის გამო სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულების, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების და სამართალდარღვევებთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ:

**საჩუქრამით:** **ჯორჯია ზ. ვ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი; **ხარაიშვილი ო. ე.** — ლაგოდეხის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი; **ჩიქოვანი ბ. ლ.** — ჩხოროწყუს რაიონის პროკურორის თანაშემწე; **ჩხვიშიანი ნ. ბ.** — ზუგდიდის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი; **შათაშვილი ი. კ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი; **აბაშაძე მ. ვ.** მახარაძის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი; **ბერიძე გ. შ.** — თბილისის პირველი მაისის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი; **ჭაყელი თ. ა.** — ქუთაისის ლენინის რაიონის პროკურორის თანაშემწე **ქადიშვილი თ. შ.** — თბილისის პირველი მაისის რაიონის პროკურორის თანაშემწე; **კვიციანი მ. ვ.** — სოხუმის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი; **ქირია ც. დ.** — ზუგდიდის პროკურორის თანაშემწე; **მეგრელიშვილი მ. ი.** — თბილისის პირველი მაისის რაიონის პროკურორის მოადგილე; **სააკოვა ს. ა.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი; **ხიდუშელი ქ. ი.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილე; **წოწოლაური პ. თ.** — დუშეთის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი.

**ფულადი პრემიით:** **ანდრიაშვილი დ. რ.** — თელავის რაიონის პროკურორის თანაშემწე; **გაბაძე ი. ბ.** — აჭარის ასსრ პროკურორის უფროსი თანაშემწე; **ძაბტაშვილი ც. მ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი; **ყიფიანი კ. შ.** — ტყეზის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი; **ქობულაძე პ. ვ.** — ქუთაისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებით **გამოცხადათ მადლობა:** **არშაყსიაის მ. ვ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი; **ასიგვილს ე. გ.** — თბილისის ტრანსპორტის პროკურორი; **დანელიას გ. ნ.** — თბილისის კიროვის რაიონის პროკურორის თანაშემწე; **გიორგობიანი ი. ი.** — თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურორის მოადგილე; **კვიციანი ა. მ.** — თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურორის თანაშემწე; **ლომიძის თ. შ.** — ხაშურის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი; **მესხის ც. გ.** — ლანჩხუთის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი; **ჭუმბურიძის ნ. გ.** — თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორი.

\* \* \*

სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ:

**ბაკურაძე ა. პ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის კანცელარიის კონსულტანტი; **ბალუაშვილი ა. კ.** — თბილისის პროკურატურის განყოფილების უფროსი, **ბეჟანოვი ა. ვ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი; **ბოგვერაძე ქ. პ.** — ქუთაისის პროკურატურის კანცელარიის გამგე; **ბორჩხაძე გ. გ.** — აჭარის ასსრ პროკურორი; **გვაჭავაძე თ. ვ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის კანცელარიის უფროსი კონსულტანტი; **გოგია ა. ა.** — ოჩამჩირის რაიონის პროკურორის მოადგილე; **გუბელიაძე ზ. გ.** — ტყეზის პროკურორი; **დანელია ო. ი.** — მახარაძის რაიონის პროკურორი; **დარბაძე გ. ა.** — თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორი; **დავარაშვილი ი. მ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო ნაწილის უფროსი; **დულაშვილი ლ. ი.** — თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურორი; **კვაშალი ტ. ა.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი პროკურორი; **კვიციანი ზ. მ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის სამმართველოს უფროსი; **ყიფიანი რ. ვ.** — ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორი; **კობიაშვილი უ. ლ.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი; **ქურდაძე მ. ზ.** — რუსთავის პროკურორი; **ქუთათელაძე ლ. ს.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი; **მამულაშვილი ა. ს.** — ყუარლის რაიონის პროკურორი; **მარჯანიშვილი თ. ვ.** — ამბროლაურის რაიონის პროკურორი; **მახარაძე თ. ი.** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი; **მახარაძე ი. ა.** — ქუთაისის პროკურორი; **ნადარეიშვილი გ. ფ.** —

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურორი: სულჟენკო ვ. პ. — ქ. გავრის პროკურორის თანაშემწე; თალაკვაძე ზ. შ. — საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწე; თოიძე ს. ლ. — თბილისის პირველი მაისის რაიონის პროკურორის თანაშემწე; ტულუში თ. ს. — თბილისის პროკურორის მოადგილე; ტუშური ჯ. ა. — წითელწყაროს რაიონის პროკურორი; ხარებოვა მ. ვ. — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურის საერთო ნაწილის უფროსი; ხახანაშვილი შ. მ. — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი; წიკლაური ი. გ. — თბილისის გლდანის რაიონის პროკურორი; წურწუშია გ. რ. — საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი; ჭავჭავაძე ე. ე. — თბილისის ლენინის რაიონის პროკურორის თანაშემწე; ქანია ა. ს. — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი; ჩიტლოვი დ. ს. — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი; შარაშენიძე ვ. ა. — საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე; შონია ე. ვ. — თბილისის პროკურორის უფროსი თანაშემწე; შოშიაშვილი ნ. ს. — თბილისის კირავის რაიონის პროკურორი; ერქომაიშვილი ნ. ი. — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი.

\* \* \*

სსრ კავშირის პროკურატურის სამოცი წლისთავთან დაკავშირებით, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებით მიეკუთვნათ საკლასო ჩინი:

**იუსტიციის უზროსი მრჩეველის** — გუგუჩიას რ. ა. — აფხაზეთის ასსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი; კავსაძეს გ. ვ. — თბილისის ლენინის რაიონის პროკურორი; დომიძეს ა. ბ. — თბილისის საქარხნო რაიონის პროკურორი; მეტრეველს ტ. ი. — აიღლავის რაიონის პროკურორი; მეშვილდიშვილს ა. ს. — თბილისის პროკურორის უფროს თანაშემწეს; წურწუშიას გ. რ. — აფხაზეთის ასსრ პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილეს.

**იუსტიციის მრჩეველის** — კოტუას გ. ი. — აფხაზეთის ასსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი; ნონიკაშვილს ჯ. გ. — აჭარის ასსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი.

**იუსტიციის უმცროსი მრჩეველის** — კობიაშვილს ი. მ. — თბილისის პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილეს; მანჯგალაძეს მ. ა. — საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწეს; მაჭავარიანს ს. ვ. — გარდაბნის რაიონის პროკურორი; მოშიაშვილს ა. ი. — საქართველოს სსრ პროკურორის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს; მთვარელიძეს გ. გ. — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილეს; ჭეღვიას ე. ე. — საქართველოს სსრ პროკურორის განყოფილების პროკურორი.

**პირველი კლასის იურისტის** — კუხალაშვილს ა. ი. — საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს.

**მეორე კლასის იურისტის** — ტაბაღუას ნ. ი. — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი.

\* \* \*

სსრ კავშირის პროკურატურის სამოცი წლისთავთან დაკავშირებით პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხაზატიო სიგელით დაჯილდოებული არიან:

**სილაბაძე დ. ს.** — აფხაზეთის ასსრ პროკურორის მოადგილე; **ბესელია ს. ბ.** — აფხაზეთის ასსრ პროკურორის განყოფილების გამგე; **სტილიდი ს. ი.** — აფხაზეთის ასსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი; **გომბი ბ. ბ.** — ოჩამჩირის რაიონის პროკურორის მოადგილე; **შამბატაშა ბ. ს.** — ვალის რაიონის პროკურორის თანაშემწე.

სსრ კავშირის პროკურატურის სამოცი წლისთავთან დაკავშირებით პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის აფხაზეთის ასსრ დამსახურებული იურისტის წოდება მიენიჭათ:

**ბბანბას ს. დ.** — აფხაზეთის ასსრ პროკურორის მოადგილეს; **ჩიქძეშვილს უ. დ.** — აფხაზეთის პროკურატურის განყოფილების გამგეს; **ბგბასლიას შ. ბ.** — აფხაზეთის ასსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი; **ბარბაღბასიანს შ. ბ.** — გულრიფშის რაიონის პროკურორი.



სსრ კავშირის პროკურატურის სამოცი წლისთავთან დაკავშირებით პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი დაჯილდოვდნენ:

მიქელაძე ვ. ვ. — ხელვაჩაურის რაიონის პროკურორი; გოშაძე ზ. ლ. — ხულოს რაიონის პროკურორი; გურიელიძე ბ. მ. — ქ. ბათუმის პროკურორის მოადგილე, დიასამიძე გ. ი. — აჭარის ასსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი; მემარნე რ. ი. — ქობულეთის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი; ქაჯაია მ. ლ. — აჭარის ასსრ პროკურორის ყოფილი უფროსი თანამემწე.

სსრ კავშირის პროკურატურის სამოცი წლისთავთან დაკავშირებით პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით მიენიჭათ საპატიო წოდებები. აჭარის ასსრ დამსახურებული იურისტი სპ. აჭარის ასსრ პროკურორის უფროს თანამემწეს იმნაძეს ლ. კ.; აჭარის ასსრ დამსახურებული ბუღალტრისა აჭარის ასსრ პროკურატურის მთავარ ბუღალტერს ბზეკალავას დ. გ.; აჭარის ასსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკისა აჭარის ასსრ პროკურატურის მძღოლს კოკობინაძეს დ. ს.

\* \* \*

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, იუსტიციის ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი ა. მ. რეკუნიკოვის 1982 წლის 10 თებერვლის ბრძანებით გაერთიანება „საქთევზმრეწვის“ ქუთაისის თევზდამამუშავებელი ქარხნის მუშაკების მიერ სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცებისათვის და სხვა ბოროტმოქმედების გამო საქმის წარმატებით გამოძიებისათვის, ამასთან ინიციატივისა და მაღალი პროფესიული ოსტატობის გამოჩენისათვის, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში საქმის განხილვისას სახელმწიფო ბრალდების კვალიფიციურად მხარდაჭერისათვის ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებული არიან: თბილისის ტრანსპორტის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი სპირიდონ ზაბრატის ძე ტვილდიანი, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი მახტანა ვიქტორის ძე სინბარულიძე, ქ. თბილისის პროკურატურის საგამომძიებო განყოფილების პროკურორი ალბერტ დავითის ძე ჩხატარაშვილი.

## დანიშვნები

გიორგი გივის ძე მიქანაძე დანიშნა აპარტეზალს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი პროკაბანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსად. საპარტეზალს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის დეკემბრის 10-დღიანი დადგენილებით იგი დამტკიცებულია საპარტეზალს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრად.

იგი დაიბადა 1949 წლის 12 ივნისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანაში. 1962 წლიდან 1965 წლამდე სწავლობდა ბათუმის საბავშვო სამხატვრო სკოლაში. 1966 წელს დაამთავრა მახინჯაურის საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლას განაგრძობს ქ. თბილისში მოსე თოდის სახელობის სამხატვრო-პროფტექნიკურ ხანსწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1969 წელს.

1969 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი წარჩინებით დაასრულა 1974 წელს და მიიღო იურისტის კვალიფიკაცია.

1973 წელს მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის საფაკულტეტთაშორისო დაბო-რატორიაში ლაბორანტად. იმავე წელს გადამ-წახალისებული კარგი მუშაობისათვის,

ვანილ იქნა უნივერსიტეტის ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის პრობლემების კვლევის ლაბორატორიის ლაბორანტად. 1976 წლიდან საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელი ბითი მუშაობის სამმართველოს უფროსი ინსპექტორია. შემდეგ კი ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილე. 1981 წლის სექტემბრიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელია.

სკკპ წევრია 1974 წლიდან. არის თადარიგის ოფიცერი.

სწავლისა და მუშაობის პერიოდში არაერთხელ ყოფილა არჩეული კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების ბიუროს წევრად, დაჯილდოებულია სიგელებით. მრავალჯერ არის დაჯილდოებულია სიგელებით. მრავალჯერ არის დაჯილდოებულია სიგელებით. მრავალჯერ არის დაჯილდოებულია სიგელებით.



ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, 1989 წლიდან სკკპ წევრი ისიდორე სამსონის ძე ლოლიძე.

ი. დოლიძე დაიბადა 1915 წლის 15 აპრილს ყოფილი ოსურგეთის მაზრის სოფელ ხვარბეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ 1933-1938 წლებში სწავლობდა ჯერ თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ხოლო შემდეგ სვერდლოვსკის იურიდიულ ინსტიტუტში. 1941 წელს იგი ამთავრებს მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის ასპირანტურას და იცავს საკანდიდატო დისერტაციას ქართული სამართლის ისტორიის

სპეციალობით. 1941 წლიდანვე ი. დოლიძე კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ზოგადი სამართლის თეორიაში, სახელმწიფო სამართალში, შრომის სამართლის ისტორიასა და ზოგადი სამართლის ისტორიაში; 1947-1948 წლებში იგი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი და ერთ-ერთ კათედრას ხელმძღვანელობს, ხოლო 1952-1958 წლებში საბჭოთა სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგეა. ამავე დროს, 1942-1944 წლებში ი. დოლიძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურა-განმანათლებლო სექტორის გამგედ მუშაობდა, 1944-1945 წლებში ხელმძღვანელობდა განყოფილებას. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროში, 1946-1947 წლებში კი მუშაობდა საბჭოთა საელჩოს თანამშრომლად ინგლისში. უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1949-1952 წლებში იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსია; 1954-1957 წლებში მუშაობს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ. 1957-1960 წლებში ი. დოლიძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანია. 1960-1966 წლებში — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, 1967 წლიდან კი აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებას ხელმძღვანელობს.

ი. დოლიძის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მოიცავდა ზოგადი სამართლის ისტორიის, კერძოდ დასავლეთ ევროპის ხალხებისა და ძველი აღმოსავლეთის სამართლის საკითხებს. ხოლო განსაკუთრებით — ქართული სამართლის ისტორიის პრობლემებს. მას მრავალი თვალსაჩინო მონოგრაფია და ქართული სამართლის ძეგლების პუბლიკაცია ეკუთვნის. ი. დოლიძემ საფუძვლიანი გამოკვლევა მიუძღვნა XIV ს. ძეგლებს. ბექა-აღბუჯას სამართლის წიგნს, ტექსტის დართვით („ძველი ქართული სამართალი“, 1953). და ამ ნაშრომმა მას იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მოუპოვა, მან. ვ. დონდუასთან ერთად ეს ძეგლი რუსულადაც თარგმნა და გამოსცა 1960 წელს.

ი. დოლიძემ წამოიწყო „ქართული სამართლის ძეგლების“ რვატომიანი სერია და მისი I-VII ტომები გამოსცა კიდევ (1968-82 წ.წ.) ეს გამოცემა საერო და საეკლესიო კანონმდებლობის თითქმის ყველა ძეგლსა და მრავალ შეტად საყურადღებო სასამართლო საბუთს შეიცავს. ი. დოლიძემ შეისწავლა და გამოაქვეყნა გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დაღება“ (1957 წ.), „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“ (1960 წ.), ახლად გამოსცა „ვახტანგ VI სამართალი“ (1982 წ.); შეკრიბა, რედაქცია გაუკეთა და გამოაქვეყნა XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწისა და მკვლევარის ნ. ურბნელის (ხიზანაშვილის) იურიდიული თხზულებანი (1982 წ.).

ი. დოლიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა ღირსეული შენაძენია ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერებისათვის.

ი. დოლიძე დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი სხვადასხვა დროს არჩეულ იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრად; საზოგადოებრივი დატვირთვის წესით 1960-1966 წლებში ასრულებდა კულტურის სა-



ხალხო უნივერსიტეტის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას, იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და სამართლის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს სამეცნიერო საბჭოსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის წევრი და სამართლის ძეგლების სერიის რედაქტორი, აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიის, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოების, უურნალ „მაცნეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და სხვ.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს ი. დოლიძის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით.

ი. დოლიძის სახელი მხარად დარჩება ქართველი საზოგადოების სსოვნაში.

- ა. ბ. შავარდნაძე, ბ. ბ. გილაშვილი, დ. ლ. ძარბაზიანი, გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მანთავაძე, თ. ე. ჩიქოვანი, ე. პ. ხარაძე, ბ. ვ. სანთაძე, დ. ი. ჩხიკვიანი, ვ. მ. თაყაიშვილი, ს. ვ. დუნიანი, ნ. ბ. ლანდია, გ. ნ. ჯიბლაძე, ბ. ს. ფრანკოვილი, ე. ა. სანთაძე, ი. მ. ანდრონიკიძე, ბ. მ. აბაშიძე, ბ. ლ. გუნიანი, ნ. ა. შვანიძე, ვ. ნ. ძაბაძე, ვ. ვ. კახიანი, ს. მ. ჯორბენანი.

## გამოსათხოვარი

მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ისიდორე სამხონის ძე დოლიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი და ერთადერთი აკადემიკოსი სამართლის დარგში.

ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. ჩვენგან წავიდა მეცნიერი, მრავალი ნაშრომის ავტორი, აღსავსე შემოქმედებითი ენერგიით, რომელსაც კიდევ დიდი სარგებლობა შეეძლო მოეტანა ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერებისათვის. იგი წავიდა შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში და განუხორციელებელი დარჩა მრავალი გეგმა. განსაკუთრებულია აკად. დოლიძის ცნობრების აღმავლობითი სვლა მეცნიერულ და საზოგადოებრივ სარბიელზე. სადაც და რა თანამდებობაზეც უნდა ემუშავა მას, იგი ყოველთვის თავს ვალდებულად თვლიდა თავისი დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მეცნიერებისათვის დაეთმო. მას ყველგან და ყოველთვის ახსოვდა ქართული მეცნიერების სატივარი და შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა ხელი შეეწყოს მისი განვითარებისათვის. მისი აქტიური მხარდაჭერით დაარსდა სერია: „უცხო წყაროები საქართველოს შესახებ“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, უურნალები „საბჭოთა სამართალი“ და „საქართველოს ეკონომისტი“. ი. დოლიძის და თ. წერეთლის ერთობლივი ინიციატივით და მხარდაჭერით 1975 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან შეიქმნა ჯერ სამართლის განყოფილება, ხოლო შემდეგ სამართლის მთელი სექტორიც. სამედნიერო განყოფილებითურთ მისივე ინიციატივით ეკონომიკის ინსტიტუტი გარდაიქმნა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტად.

მრავალმხრივი იყო მისი საზოგადოებრივი მოვალეობანიც: წლების განმავლობაში იგი იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და სამართლის მეცნიერებათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და „ქართული სამართლის ძეგლების“ სერიის რედაქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიის წევრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს სამეცნიერო საბჭოს წევრი, უურნალ „მაცნეს“ ეკონომიკისა და სამართლის სერიის სარედაქციო კოლეგიის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი

საბჭოს, იურიდიული ფაქულტეტის სამეცნიერო საბჭოს, ეკონომიკისა და საპარტიო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

საზოგადოების წინაშე მოვალეობის შეგნების გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოებაც, რომ ისიღორე დოლიძემ და მისმა მეუღლემ აღისა ნიკოლოზის ასულმა უღენტმა სამშობლოს აღუზარდეს ოთხი შვილი, რაც თანამედროვე ქართული ინტელიგენტური წრის ოჯახისათვის იშვიათი გამოცდისია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეუღლისა და შვილების დაუხმარებლად რთული იქნებოდა იმ დიდი მოცულობის სამუშაოს განხორციელება, რომელიც „ქართული სამართლის ძეგლების“ გამოცემით შეასრულა.

მას მეგობრები დიდი საზოგადოებრივი ასპარეზისათვის დაბადებულ კაცად მიიჩნევდნენ. მას მეტად მდიდარი ბიოგრაფია ჰქონდა. ღარიბი გლეხის შვილი მიდის შორეულ სვერდლოვსკში უმაღლესი განათლების მიხედვად, შემდეგ მოსკოვში ასპირანტურაში აბარებს მისადღებ გამოცდებს. 26 წლისა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატია, დოცენტი. 25-29 წლისა — ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე, საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების ხელმძღვანელი, 31 წლისა — სსრ კავშირის ინგლისის საელჩოს პასუხისმგებელი თანაშრომელი, 32 — წლისა — რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, 41 წლისა — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, 42 წლისა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, 45 წლისა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. მთხუნიდავად სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობისა, იგი დიდი შრომის მოყვარობის წყალობით უკვე 35 წლის ასაკში აქვეყნებს თავის პირველ, ცალკე წიგნად გამოცემულ ნაშრომს „ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები“ (თსუ გამომც. თბილისი, 1950). აქ თარგმნილია სალიკური სამართალი, ფრანგულენოვანი სხვა ე. წ. ბარბაროსული სამართლის წიგნებიდან (რიშუარების, ბურგუნდების, ვესტგუთების, ალმანების, ბავარიელების და სხვა გერმანული ტომების საკანონმდებლო ძეგლებიდან). რასაც თან ახლავს სათანადო გამოკვლევა. დასავლეთ ევროპის ფეოდალური ხანის სამართლებრივი ძეგლების თარგმანს ჩვენთან სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. მთელი XIX საუკუნე და XX საუკუნის პირველი ნახევარიც ისე გავიდა, რომ არც ერთი უცხოური წარმოშობის სამართლის წიგნი არ გამოცემულა ქართულ ენაზე. ავტორმა მის წინაშე მდგომი ტრამინოლოგიური სიძნელეებიც წარმატებით დაძლია, რაშიც მას დახმარებას უწევდა კვალიფიკაციური რეაქტორი ალ. ვაჩი-შვილი.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანის (XI-XVI სს.) სამართლის ძეგლების შემდეგი თარგმანი სახელწოდებით — „შუასაუკუნეების სამართალი“, ტ. 2 გამოქვეყნდა 1962 წელს. ეს 644-გვერდიანი წიგნი შეიცავს ინგლისური, ფრანგული და გერმანული სამართლის უმთავრეს ძეგლებს. თსულებში ასახულია ფეოდალური სამართლის მთავარი დარგები: სახელმწიფო, სამოქალაქო და სისხლის სამართალი. გარკვეული ადგილი აქვს აგრეთვე დათმობილი სპაროცესო სამართლის ნორმებსაც. იგი კარგ სამსახურს უწევს ყველა იმ პირთ, ვინც დაინტერესებულია გაცნოს ფეოდალური ევროპის ყოფაცხოვრების ამა თუ იმ ასპექტს. გარდა ამისა, განსვენებულ მეცნიერს გამოუქვეყნებელი დარჩა ფეოდალური ეპოქის დასავლეთ ევროპის სამართლებრივი ძეგლების ქართული თარგმანები. ავტორს გამოსაცემად მომზადებული ჰქონდა შუასაუკუნეების სამართლის სერიის კიდევ სამი ტომი.

1960 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა ი. დოლიძის „ძველი აღმოსავლეთის სამართალი“, ეს წიგნი განკუთვნილი იყო დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის. პირველი წიგნი, რომელიც ავტორმა ქართული სამართლის ისტორიის საკითხებს უძღვნა. XIV საუკუნის მესხეთის საკანონმდებლო ძეგლია — ბექასა და აღბუღას ცნობილი კანონები. ნაშრომი 1958 წელს გამოაქვეყნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობამ სახელწოდებით: „ძველი ქართული სამართალი“. ეს გახლდათ ი. დოლიძის სადოქტორო დისერტაცია. რომელიც მან 1956 წელს დაიცვა.

ამ დისერტაციის ოპონენტი აკად. ნ. ბერძენიშვილი თავის წერილობით დასკვნაში წერდა: „ი. დოლიძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს სამართლის წიგნის შედგენილობისა და სისტემის საფუძვლიანი გარკვევა“. ნ. ბერძენიშვილის აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა ი. დოლიძის მიერ გამოთქმული ახალი მოსაზრება ბაგრატი სამართლის შესახებ. სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელოვან ღირსებად ოპონენტმა მიიჩნია ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის საკანონმდებლო წყაროების გამოკვლევა. ნ. ბერძენიშვილმა გაიზიარა ი. დოლიძის დასკვნა, რომ ბექა-აღბუღას სამართალმა, როგორც ქართული სამართლის მნიშვნელოვანმა წყარომ, შეინარჩუნა თავისი სავალდებულო ძალა მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში. ი. დოლიძემ დააუხსტა ბევრი ცნება ძველი ქართული სამართლიდან, რომელსაც



დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების შესწავლისათვის. ჩვენი მხრივ უნდა დადგინოთ, რომ ქართულ სამართალში მიღებულ ნივთების კლასიფიკაციაში კარგად ჩანს, თუ როგორ ორიგინალურად სდებოდა ქართულ სინამდვილეში მაშინდელი სამყაროს სამართალგანვითარების უმთავრესი მესვეურის — ბიზანტიური სამართლის ნორმების ათვისება-გადამუშავება ადგილობრივი პირობების შესაბამისად. ნივთების ქართულ კლასიფიკაციას გარკვეული ანალოგი ეძებნება „დიგესტებში“.

1957 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა ი. დოლიძის ნაშრომი „გიორგი ბრწყინვალის სამართალი“, რომელსაც ერთვის გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ ტექსტი ლექსიკონითურთ. მისი რედაქტორი იყო პროფ. ილია აბულაძე. არსებითად, ბეჭას: და აღბუღას სამართლის წიგნის გამოცემის შემდეგ გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დების“ გამოცემა, ხოლო შემდეგ „საქართველოს ჩვეულებითი სჯულის“ გამოქვეყნება შემდგომში განხორციელებული „ქართული სამართლის ძეგლების“ გამოცემის მოსამზადებელი საფეხური იყო.

1968 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ დაბეჭდა „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. 1, „ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული“. ამ კრებულს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული სამართლის ისტორიისათვის, არამედ მსოფლიო სამართლის ისტორიისათვისაც: „კრებულ(ს) კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ერთი მხარე ის არის, — აღნიშნავდა ი. დოლიძე. — რომ იგი შეიცავს საქრისტიანო მსოფლიოში მოქმედ სამართლის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს — მოხეს სჯულს, სირიულ-რომაულ, ბიზანტიურ და სომხურ კანონებს, რომელნიც საქართველოში, საქრისტიანო მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ქვეყანაში, ვახტანგის კრებულის შედგენამდე დიდი ხნით ადრე მოქმედებდნენ. ვახტანგ მეექვსის განკარგულებით შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის დასადგენადაც. სამართლის მეცნიერების სხვადასხვა დარგის ცნებების შემუშავებისა და სრულყოფისათვის. ამგვარად, ამ წიგნის გამოცემას თეორიული ისტორიულთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

1981 წ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დასტამბა ნაშრომი „სამართალი ვახტანგ მეექვსისა“, რომლის ტექსტი დაადგინა. გამოკვლევა და სპიხებლები დაურთო ისიღორე დოლიძემ. წიგნის მეორე ნაწილში წარმოდგენილია მხოლოდ და მხოლოდ თვით ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ოთხი უძველესი ნუსხის მიხედვით.

1965 წელს გამოქვეყნდა „ქართული სამართლის ძეგლების“ მეორე ტომი, რომელშიც შესულია X-XIX საუკუნეების ქართული სამართლის უმნიშვნელოვანესი საერო საკანონმდებლო ძეგლები. წიგნი შეიცავს 164 დასახელების სხვადასხვა საკანონმდებლო ძეგლს. შათ შორის XIII საუკუნეში შედგენილ „დარბაზობის განკებას“. „მეფეთ კურთხევის წესსა და განგებას, ერისთავთა კურთხევის წესს, „ხელმწიფის კარის გარიგებას“ და სხვა...

„ქართული სამართლის ძეგლების“ მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე წიგნებში გამოქვეყნებულია საეკლესიო კანონმდებლობის შემცველი დოკუმენტები. სასამართლო განჩინებები და სასამართლო არზა-ოქმები. ი. დოლიძეს გამოუქვეყნებელი დარჩა „ქართული სამართლის ძეგლების“ სერიის ბოლო მერვე ტომიც. სულ „ქართული სამართლის ძეგლების“ ტომები შეიცავს 3478 საბუთს, რომელთაგან დაახლოებით ნახევარი პირველად გამოაქვეყნა ავტორმა.

ამ ტომებში მოცემულია უძვირფასესი მასალა ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად, და არა მარტო ქართული სამართლის ინსტიტუტებისა. ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა საკითხის გასაშუქებლად „ქართული სამართლის ძეგლები“ შეიცავს მეტად საყურადღებო და უნიკალურ მასალას. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული სამართლის ძეგლების“ გამოცემული ტომები დაზღვეული არ არის ცალკეული ნაკლოვანებებისაგან, მათი მნიშვნელობა განუზომელია ქართული სამართლის ისტორიის საკითხებით დანტერსებული მკითხველებისა და სპეციალისტთა მკვლევარებისათვის.

ხანგრძლივი, ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ი. დოლიძემ თავისი ბრწყინვალე ლექციებით აღზარდა ქართველი იურისტების არაერთი საუკეთესო პლედია.

ისიღორე დოლიძის, დეწაწამილი მეცნიერის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მადლიერი ქართველი ერის გულში. მომავალი თაობა მას სათანადო ადგილს დაუმკვიდრებს ქართული მეცნიერების შატანეში.

# საქართველოს სსრ იუსტიციის საინისტროს შენობა

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მიხეილის (ახლანდელი პლენანოვის) პროსპექტის გაყოლებით აშენდა რამდენიმე მრავალბინიანი საცხოვრებელი და შემოსავლიანი სახლი, რომელთა პატრონიებიც მდიდარი ვაჭრები და გერმანელი კოლონისტები იყვნენ. შენობა, რომელიც 1973 წლიდან გადაეცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (ყოფილი სასტუმრო „რუსთავი“), აგებულია იმავე პერიოდში არქიტექტორ ლეობოლდ ბილფელდის პროექტით, შენობა თავიდანვე აიგო, როგორც შემოსავლიანი სახლი, მდიდარი გერმანელი კოლონისტების — ვეტცელების ოჯახის დაკვეთით (სასტუმროს მაშინ ერქვა „ვეტცელი“, შემდეგში „ნოე“, „ვეროპა“).

ნაგებობის ავტორი ლეობოლდ ბილფელდა ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო თბილისელი არქიტექტორთაგანი იყო, რომელიც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მუშაობდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის არქიტექტორად. ჩვენს დედაქალაქში დღესაც დგას მისი პროექტებით აშენებული ნაგებობები (პლენანოვის პროსპექტზე № 46 და № 77 სახლები და სხვ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია ლ. ბილფელდის პროექტით აგებული ქაშვეთის ახლანდელი ტაძარი (მისი მშენებლობა 1910 წელს დასრულდა).

ვეტცელების სასტუმროს შენობის მთავარა ფასადი პლენანოვის პროსპექტზე გამოდის, ხოლო საქმაოდ წაგრძელებული გვერდის ფასადი შეროზიას ქუჩის საერთო განაშენიანების მჭკრივეში დგას. მართალია, შენობა პროსპექტის მხრიდან ცალკე მიიკულობდა არ აღიქმება, მაგრამ თავისი გაფორმებითა და დანაწევრებით მკაფიოდ გამოიყოფა საერთო განაშენიანებაში.

ნაგებობის სამართლიანი ფასადი თავისი შუა (ოღნავ გამოყოფილი) და გვერდის რიზალიტებით (შეროზიას ქუჩისკენ ფრთა უფრო განიერია) კიდევ უფრო ამაღლებულია მანსარდისებრი, მრგვალსამრცხულებიანი სახურავით. გვერდის რიზალიტებს შორის შექმნილია ექვს სვეტზე დაყრდნობილი სამი ღრმა თაღოვანი შესასვლელი, რომლის ზემოთ, მეორე სართულის დონეზე, გამართულია მოზრდილი ტერასა. შუა, მთავარი შესასვლელი, სიღრმეში აქცენტირებულია ოქროსფრად შედებილი ორი ჰორიზონტული ატლანტის გამოსახულებით. მთლიანად ფასადი დაქუცმაცებულია ხორკლიანი და გლუვზედაპირიანი რუსტიანი სიბრტყეებით, კარ-სარკმელთა ხაზგასმული რელიეფიანი საპირეებითა და სამკუთხა ფრონტონებით; მრავალი ნაბერწი ბაროკული სამკაულით (ნიჟარები, დეკორატიული სკულპტურები, მცირე აუზები, ორნამენტური ფრეზები, გერბი და სხვ.), რკინის აყურულრიკულებიანი აივნებითა და დანაწევრებული კარნიზით — ყველაფერი ეს ერთად აღებული მთელ ფასადს პომპეურსა და პლასტიკურ-ბუტაფორიულ იერს ანიჭებს. შეროზიას ქუჩაზე მდებარე ფასადი ერთიანი სტილით არის გადაწყვეტილი (ისევე რუსტიანი ზედაპირი, ქვევით — მაღალი, მთლიანბინიანი ჩარჩოები, ცალკე შესასვლელი სადარბაზოები; ზევით-სამკუთხა ფრონტონიანი და საპირიანი სწორკუთხა ფანჯრები, აყურულრიკულებიანი რკინის აივნები, დანაწევრებული ნაძერწი კარნიზი, დაყოფილი მანსარდა — მრგვალი სარკმლების მწკრივით; ამავე მხარეს არის სარდავის დონეზე განთავსებული რესტორანი „სალხინო“, მაგრამ საქმაოდ დატვირთული.

მიუხედავად შესრულების კარგი პროფესიული დონისა, მთლიანად შენობა ბაროკული ელემენტების ტიპური წარმომადგენელია და მკაფიოდ წარმოგვიჩენს იმ ხაზს, რომელიც XIX საუკუნის ბოლო ათეული წლებისა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის თბილისური არქიტექტურისათვის იყო დამახასიათებელი.

დღეისათვის საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გარდა ამ შენობაში მოთავსებულია საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი, უფრონალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია და თბილისის ქართული თოჯინების სახელმწიფო თეატრი.

ნუგზარ ანდლუშაძე  
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი



# ცნობები ავტორთა შესახებ



- თამარ ზაღვას ასული კაპულაშვილი — სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- სოსო გრიგოლის ძე კაჭარაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის და კრიმინალური ფსიქოლოგიის განყოფილების უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, მეორედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ანტონილე ვლადიმერის ძე კობახიძე — თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 12 მეცნიერული შრომის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- გულნარა რომანოვის ასული ფარულაშვილი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსის მოადგილე, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ზორბა ინილოვის ძე სარბი — ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ვახტანგ იულოვის ძე გომრბაძე — ქუთაისის ფიზიო-თერაპიული საავადმყოფოს ექიმი კარდიოლოგი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, 52 შრომისა და 5 წიგნის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ზაღვა ამბროსის ძე ნათელაშვილი — თბილისის კლინიკის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ვლადიმერ გომრბის ძე მახაშვილი — ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამართლის რედაქციის ხელმძღვანელი, 60-ზე მეტი შრომის, მათ შორის 4 წიგნის ავტორი, სისტემატურად იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.
- იმიე იბსინსკი — პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიის განყოფილების გამგე, პროფესორი, მრავალი შრომის, წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ვახტანგ ბლემხანაძის ძე სილაგონიძე — ადვოკატი, 10 შრომისა და 2 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- ნონა სიმონის ასული შლამბაძე — თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

## მკითხველთა საყურადღებოდ!

დაიწყო ხელმოწერა ჟურნალ „საბჭოთა სამართალზე“ 1982 წლისათვის. ჟურნალი, რომელიც საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, რესპუბლიკის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს ორგანოა, განკუთვნილია სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციისა და საბჭოთა აპარატის მუშაკებისათვის. მას მკითხველთა ფართო აუდიტორია ჰყავს: ადვოკატები, სახალხო მსაჯულები, ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეები, სახალხო რაზმეულების ხელმძღვანელები; ამას გარდა, უკმა ვისაც აინტერესებს საბჭოთა სამართალმცოდნეობის ორგანოების საქმიანობა, საზოგადოებრიობის მონაწილეობა დამნაშავეობასთან ბრძოლაში, მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და საბჭოთა სამართლის თეორიის საკითხები და სხვა.

რედაქციას ჟურნალში თანამშრომლობისათვის მოწვეული ჰყავს კვალიფიციური ავტორები, სწავლული და პრაქტიკოსი იურისტები, მწერლები და პუბლიცისტები, საბჭოთა მუშაკები.

ხელმოწერა მიიღება შეუზღუდავად „სოიუშპეჩათის“ და კავშირგაბმულობის უკმა განყოფილებაში. აგრეთვე საზოგადოებრივ რწმუნებულებთან. ხელმოწერის ვადა მთავრდება მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს. ხელმოწერის ფასია — ერთი წლით 3 მან. 60 კაპ; ნახევარი წლით 1 მან. 80 კაპ. გამოიწერეთ ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“!

გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს  
შენიშნა. გ. სეირანიანის სლაიდი, ცნობა ამ შენობის შესახებ იხილეთ უფრონაღის  
79-ე გვერდზე.

---

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 4, 1982 (на грузинском языке).  
Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокура-  
туры ГССР, Верховного Суда ГССР.

---

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел.: 95-58-87, 95-88-49.

---

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

---

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

